# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 21 იანვარი 2000 №9 (1031) | ფასი 50 თეთრი


2

## სახელები აღარ თამაშობენ

„დინამო“ მოსკოვში შელიას, გოგიჩაიშვილის, ლობჟანიძის და კერძევაძის გარეშე წავიდა

2

## ფოცხვერია სიკვდილს გადარჩა

„შახტარმა“ აღთქმულ მიწამდე სასწაულით ჩააღწია

7

## თურქეთი — საბერძნეთი 2008?

დიპლომატიურ მეტოქეებს ევროპის ჩემპიონატის ერთობლივად ჩატარება განუზრახავთ

8

## ესეც აფრიკა



GhanaNigeria2000

ხვალ განასა და ნიგერიაში აფრიკის თასის გათამაშება დაიწყება

13

## ევროპა იწყებს, საქართველო ამთავრებს

დღეიდან ზაგრები ევროპელ ხელბურთელთა ჩემპიონატს უმასპინძლებს, ქართველები კი ბელარუსთან მატჩებით მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს ემშვიდობებიან

EURO LEAGUE

# ჟალგირისი — ცსკა: ეს იყო, ეს არის

## დიდინი ფაჩულიას დიდ კალათბურთს ჰპირდება

გუშინ საკალათბურთო ევროლიგაში სამი დერბი გაიმართა.

*ექსსაბჭოური:* კაუნასში საბჭოთა კალათბურთის ფლაგმანები, „ჟალგირისი“ და მოსკოვის ცსკა შეიბნენ. ამ ისტორიულ დავაში ჯერჯერობით ბოლო სიტყვა „ჟალგირისმა“ თქვა — 84:76 დაამარცხა რუსი არმიელები.

*ექსიუგოსლავიური:* ბელგრადში ახალი იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდამ“ 83:77 მოუგო დამოუკიდებელი სლოვენიის „ოლიმპიას“.

*სტამბოლური:* თურქეთის უდიდესი ქალაქის ახალი ტალღის გუნდების დავაში „ულქერმა“ 93:87 აჯობა „ეფესს“. ამ მოგებით სხვებზე არანაკლებ გაიხარა 16 წლის ქართველმა კალათბურთელმა ზაზა ფაჩულიამ, რომელსაც „ულქერის“ მწვრთნელი მურათ დიდინი მომავალი სეზონისთვის გუნდის ძირითადში ჰპირდება ადგილს. ევროლიგის გუშინდელი მატჩების ანგარიშები და ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდებზე



LIETUVOS RYTAS

ჟალგირისი — ცსკა 84:76. ორი ლიტველის ორთაბრძოლა: ჟალგირისელი ეურელიუს ჟუკაუსკასი (№9) და მოსკოვის არმიელი გინტარას ეინიკისი



REUTERS

ალექს კორეტხა

# სიკვდილით დასჯა ცენტრალურ კორტზე

ერთ დროს მსოფლიოს მეორე ჩოგანსა და როლან გაროსის ფინალისტ ალექს კორეტხას ამ მატჩის მოგონება, ალბათ, არაერთხელ გამოაღვიძებს „არა!“-ს შეძახილით. გუშინდლამდე ესპანელი ღამეულ კოშმარში თუ წარმოიდგენდა, რომ დიდი სლემის ტურნირზე, ათასობით მაყურებლის თვალწინ 18 წლის პირტიტველა ლეიტონ ჰიუიტთან სამარცხვინოზე სამარცხვინოდ დამარცხდებოდა და ერთი გეიმის მოგებაც კი სანატრელი გაუხდებოდა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

თბილისი
20 იანვარი
14 საათი
დიღმის საწვრთნელი ბაზა

**ახ. ნაკრები 2:2 დინამო**

0:1 წიტაიშვილი (38), 1:1 დილმელაშვილი (49), 1:2 ალექსიძე (57 პ), 2:2 ასათიანი (63)
ახალგაზრდული ნაკრები: ლომაია (ბათიაშვილი), საჯაია (ჯ. მუჯირი), ქემოკლიძე, ხიზანიშვილი, რუხაძე (კოხრეიძე), ბურდული, გველესიანი (ასათიანი), გ. კვარაცხელია, დილმელაშვილი, წიტაიშვილი (ძოძუაშვილი), გ. შენგელია (იმედაძე)
დინამო: ა. ჩიხრაძე, ხიზანეიშვილი, ნემსაძე (რუხაძე), დიდავა, სიჭინავა (ჯინჭარაძე), შაშიაშვილი, სახვაძე, ანჩაბაძე (შენგელია), დათუაძე (გადელია), ქებაძე (წიტაიშვილი), ალექსიძე
მსაჯი: მ. მალაღურაძე


გაიდო ქეთილაძის ფოტო

ვახტანგ კოპალეიშვილი, მურთაზ ხურცილავა და სერგო კუტივაძე

# საქართველოში იბადებიან...

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა მურთაზ ხურცილავამ გუშინ დიღმს ბაზაზე შეგირდები მიიწვია, სპარინგ-პარტნიორად „დინამო" აირჩია და ბურთაობაც კარგი გაჩაღდა.

თოვდა გუშინ თბილისში. დიღმის ბაზის სათადარიგო მინდორიც თოვლს გადაეთეთრებინა. გვარიანადაც ციოდა და ფეხბურთელებს უქმად ყოფნის საშუალებაც არ მისცემია.

„დინამო" მოსკოვში გამგზავრებამდე გენერალურ რეპეტიციას ატარებდა, ხურცილავა, კოპალეიშვილი და კუტივაძე ნაკრების კანდიდატთა მზადყოფნას ამოწმებდნენ.

ორი 35-წუთიანი ტაიმი ბრძოლაში გაილია. პირველი ნახევარი უგოლოდ დამთავრდა. შესვენებაზე ახალგაზრდული გუნდის რამდენიმე წევრმა დინამოელთა რიგებში გადაინაცვლა, ხურცილავამ კი სხვა კანდიდატებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება.

პირველი გოლი „დინამომ" გაუტანა ახალგაზრდებს. კობა წიტაიშვილმა, რომელმაც საწყისი 35 წუთი ახალგაზრდათა რიგებში გაატარა, კლუბში დაბრუნება გოლით აღნიშნა. კომბინაციაც კარგი იყო და დაგვირგვინებაც უნაკლო, ოღონდ თამაშგარე მდგომარეობას მიაგავდა შემტევის პოზიცია.

ნაკრებმა დილმელაშვილის შორეული დარტყმით გაქვითა. ჩიხრაძემ რეაქცია კი მოასწრო, მაგრამ მის წინ უხერხულად დაცემულ ბურთს ვერაფერი მოუხერხა.

ჩემპიონები რატომ დააწინაურა. ალექსიძის დარტყმულ თერთმეტმეტრიანს ბათიაშვილმა ხელი კი წაატანა, მაგრამ ბურთის შეჩერება ვერ შეძლო.

თანაფარდობა ასათიანმა აღადგინა. ახალგაზრდამ დინამოელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობისას ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო, კარში დაარტყა და თანაგუნდელთა მილოცვებიც სამართლიანად დაიმსახურა.

მე არაფერს ვიტყვი დინამოზე და დინამოელებზე. ოთარ კორღალიძეს უკეთ მოეხსენება თავისი მოთამაშეების ავ-კარგი. ალბათ, მწვრთნელმა უკეთ უწყის რა არის გასასწორებელ-დასამუშავებელი, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, ახალგაზრდული ნაკრების დიდი პოტენციალი არ აღმენიშნა.

ძალიან ნიჭიერი, იმედისმომცემი თაობა გვყავს. ისინი თამაშობენ არა მარტო ტექნიკურად, არამედ ხისტად და ძალისმიერადაც. ეს უკვე თანამედროვე ფეხბურთია — სისწრაფე და სიზუსტის ელემენტები ნებისმიერ სათამაშო სიტუაციაში.

ისე არავინ გამიგოს, თითქოს ეს ტალიკ-ტალიკი ბიჭები ჩამოყალიბებული მოთამაშეები იყვნენ. არამც და არამც, მათ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი უნდა ისწავლონ, იშრომონ... თუ ზოგიერთებივით ვარსკვლავომანია არ შეეყრებათ და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ შეექმნებათ, მაშინ დიდ ფეხბურთს ითამაშებენ.

ერთიც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ და, საბედნიეროდ, ეს ახალგაზრდული ნაკრების უმრავლესობას არ ეხება. არ იქნებოდა ურიგო, თუ ორიოდ კანდიდატი ცოტა ზრდილობას მოუხმობდა. ამჯერად მათი გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებთ, მაგრამ თუ კიდევ მსგავს ენაბილწობას ვიხილავთ, საქვეყნოდ გამოჭენებასაც არ მოვერიდებით. არა აქვს მნიშვნელობა, რა გვარია და ვისი შვილია, მათ ჯერ არაფერი გაუკეთებიათ ისეთი თანაგუნდელებს, მოწინააღმდეგეს, მსაჯს აგდებით ელაპარაკონ, ზემოდან უყურონ.

ახალგაზრდულის მწვრთნელთა თქმით კი, გუნდში უკვე არის სამიოთხი ისეთი მოთამაშე, რომელთაც ახლავე შეუძლიათ ქვეყნის უპირველეს ნაკრებში ღირსეულად დაიმკვიდრონ ადგილი. ეს კანონზომიერიც იქნება. ძველი მუდამ მიდის, მის ადგილს კი ახალგაზრდა იჭერს.

ეროვნული ნაკრების თავკაცებიც, რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი, გუშინ დიღმის ბაზაზე იყვნენ. ისინი ყურადღებით აკვირდებოდნენ ახალგაზრდების გარჯას.

რევაზ ძოძუაშვილი სულაც აღტაცებას ვერ ფარავს — საქართველოდან რამდენიმე წლით „გადახვეწილს", არ ეგონა, თუ ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი დახვდებოდა. ბატონ რევაზს ტაიმებს შორის შესვენების დროსაც არ დაუსვენია, ხან კვარაცხელიას აძლევდა მითითებებს, ხანაც მოგვარე ძოძუაშვილს არიგებდა ჭკუას.

მართალია, საქართველოში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ყველა თბილისურ „ლოკომოტივში" არ დაეტევა. ამიტომ გული ნუ დაგწყდებათ, ბატონო რევაზ, ვინმეს თუ ვერ გადაიბირებთ, მთავარია, ისინი კარგი ფეხბურთელები და პიროვნებები დადგნენ.

იმაში კი ეჭვი არავის შეეპაროს, საქართველოში მუდამ იბადებოდნენ და დაიბადებიან ტალანტები. ისინი ქართულ ფეხბურთს არასდროს დააკლდებიან, მთავარია, მათ როგორ გაწვრთნიან, რა პირობებში გაიზრდებიან.

**მამუკა ქვანტალიანი**


გაიდო ქეთილაძის ფოტო

დინამოელი ოთარ ხიზანეიშვილი ოლეგ გველესიანისა (მარცხნივ) და გიორგი შენგელიას წინააღმდეგ

# მოსკოვში, პრესტიჟის აღსადგენად

დღეს თბილისის „დინამო" მოსკოვში მიემგზავრება ესენგეს თასზე მონაწილეობის მისაღებად. შარშანდელ გათამაშებაში უხეირო ასპარეზობამ ეს შედეგი მოიტანა — „დინამო" რანგით დაქვეითდა და ახლა უძლიერესთა შორის დაბრუნებისთვის მოუწევს ბრძოლა.


გაიდო ქეთილაძის ფოტო

ოთარ კორღალიძე

ოთარ კორღალიძის განკარგულებაში სულ 18 ფეხბურთელია:

*მეკარეები: ალექსანდრე ჩიხრაძე და სოსო გრიშიკაშვილი;*

*მცველები: ოთარ ხიზანეიშვილი, გივი დიდავა, გიორგი ნემსაძე, რევაზ ქემოკლიძე, გიორგი შაშიაშვილი, არჩილ სახვაძე, პაატა ჯინჭარაძე, ირაკლი ვაშაკიძე;*

*ნახევარმცველები: თენგიზ სიჭინავა, თორნიკე რუხაძე, გიორგი ანჩაბაძე, რატი ალექსიძე, დავით დათუაძე;*

*თავდამსხმელები: გიორგი შენგელია, ლევან ქებაძე, კობა წიტაიშვილი.*

ამათ გარდა „დინამოში" მურთაზ შელია, კახა გოგიჩაიშვილი, შოთა ჩომახიძე, ნუგზარ ლობჟანიძე, როინ კერძევაძე და სხვებიც ვარჯიშობდნენ, მაგრამ ოთარ კორღალიძის თქმით, მათ ვერ აღიდგინეს სპორტული ფორმა. მწვრთნელის განცხადებით, დღეს ფეხბურთის სახელები არ თამაშობენ, ამიტომ მოსკოვში დღეისთვის საუკეთესოები მიჰყავს.

გამგზავრებამდე მწვრთნელმა ესენგეს ჩემპიონთა თასზეც გაგვიზიარა თავისი აზრი:

— ტურნირის II ჯგუფში რომ დავქვეითდით, ჩვენი ბრალია და საქმეს ჩვენს გარდა არავინ გამოასწორებს. ვეცდებით ისევ უძლიერესთა შორის დავბრუნდეთ, იქ, სადაც „დინამოს" ადგილია.

ტურნირში მონაწილეობა გუნდს, ალბათ, სასიკეთოდ წაადგება. სხვას თუ არაფერს გამოვრჩებით, იმას მაინც დავინახავთ რა დონეზე ვართ, დანარჩენებთან შედარებით.

ისე, მართლაც რომ საინტერესოა, რა დონისაა ჩვენი უცვლელი (ჯერჯერობით, რა თქმა უნდა) ჩემპიონი, თუმც ძალების გამოცდა გაცილებით ძლიერ და ტიტულიან გუნდებთან სჯობს. „დინამო" შუა აზიურ კლუბებთან გაანაწილეს ჯგუფში. მათთან აუტსიდერობა, გნებავთ ჯგუფიდან გაუსვლელობა ხომ კატასტროფის ტოლფასი იქნება.

**მამუკა ქვანტალიანი**

# სფფ-სგან შერისხული რუსეთში გადაიხვეწა

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის „ლოკომოტივი" — „დინამო" დღესაც ბევრს ახსოვს. ანაც იმ მატჩის მხილველს ქართული ფეხბურთისთვის სამარცხვინო ლაქას რა დაავიწყებდა. რა არ ითქვა მაშინ, რა არ დაიწერა, მაგრამ დასჯილი მხოლოდ სამად სამი კაცი გამოვიდა. დისკვალიფიკაციას გურამ ასკაროღლი (მსაჯი) და ლოკომოტიველები — გიორგი ბალაშვილი და ლევან მიქაძე იხდიან.

ვერ გეტყვით, რა ელით ასკაროღლისა და ბალაშვილს, მაგრამ სფფ-სგან მესამე შერისხულს, ლევან მიქაძეს მგონი ეშველა. სხვათაგან განსხვავებით, მას ფედერაციამ მხოლოდ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა. ოთხიდან სამი თამაშის გამართვა „ლოკომოტივმა" (რა თქმა უნდა, უმიქაძეოდ) ჩემპიონატში შესვენების გამოცხადებამდე მოასწრო. ასე რომ, მიქაძეს სასჯელად ერთი მატჩიღა დარჩენია. თუმც ლოკომოტიველს დისკვალიფიკაციის გასრულებისთვის აღარ დაუცდია და თავი რუსეთისთვის შეუფარებია.

პირველიდან უმაღლეს ლიგაში ახალაღზევებული მახაჩკალის „ანჟი", რომელიც წინასაჩემპიონატო შეკრებაზე იმყოფება, სასურველი ფეხბურთელების შერჩევითაა გართული. სწორედ იმ გუნდში ისინჯება მიქაძეც.

ჩვენებურმა უკვე მოასწრო საკონტროლო შეხვედრებში მონაწილეობა და მახაჩკალელთა გუნდის ხელმძღვანელებსაც თურმე თავი მოაწონა.

„ანჟის" თავკაცი გაჯი გაჯიევი მიქაძის გარჯით უკმაყოფილო არ გახლავთ და ამბობს, მეტი ლეგიონერიც აღარ მჭირდებაო.

შეგახსენებთ, რომ მახაჩკალელთა გუნდში კიდევ ერთი ქართველი, ყოფილი დინამოელი ალექსანდრე გოგობერიშვილი ირიცხება. ალეკო „ანჟიში" შარშანაც თამაშობდა და კლუბის წარმატებაში მისი წვლილიც ურევია.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ფოცხვერია გადარჩა

შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილს გადაურჩა საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი მიხეილ ფოცხვერია. მისი დონეცკის „შახტარი", რომელიც ისრაელში შეკრებაზე მიფრინავდა, ჯერ ლამის დონეცკ — კიევის მარშუტისას დაიღუპა. იაკ-42 ჟულინის აეროპორტში დასაჯდომ ბილიკს ასცდა და თოვლის გროვას შეეჯახა. თელ ავივის აეროპორტის თავზე კი ახლა უკვე „ბოინგი" კინაღამ ჩამოვარდა. ავიალაინერი, რომელსაც „შახტარი" გადაჰყავდა, ისეთ ქარბუქში მოჰყვა, რომლის მსგავსიც, როგორც ამტკიცებენ ბოლო ათი წელია, არავის უნახავს.

საბოლოოდ ფოცხვერიამ და „შახტარმა" მშვიდობით ჩააღწიეს თელავივში და სასტუმრო „დონ კიისარიაში" დაბინავდნენ. დღეს „შახტარი" საკონტროლო მატჩს გამართავს სიმფეროპოლის „ტავრიასთან". გუნდის ახალი თავკაცის, ვიქტორ პროკოპენკოს განკარგულებაში 32 ფეხბურთელია, რომელთაგან მან 22 უნდა შეარჩიოს.

**სიმონ მენაბდე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლოდინის ათი დღე

რუსთავის „გორდა“, თბილისის „დინამო“, საქართველოს ეროვნული ნაკრები, მოსკოვის ცსკა...

მოდით, დროებით აქ გავჩერდეთ. ეს ის გზაა, რომელიც ქართველმა ფეხბურთელმა ნუგზარ ლობჟანიძემ გაიარა.

ამ გზაზე მას არაერთი წინააღმდეგობა შეხვედრია. შეცდომაც ბევრჯერ დაუშვია — განა გინახავთ სადმე შემცდარი ფეხბურთელი?!

მის ცხოვრებაში კიდევ მრავალი თავგადასავალი იქნება, მაგრამ ერთი და მთავარია საკითხავი — ითამაშებს თუ არა ნუგზარ ლობჟანიძე ფეხბურთს?

ბევრს ახსოვს მისი მოსკოვში გადაბარგება. არცთუ ურიგო დებიუტი, კარგი პრესა და ასე შემდეგ.

„სკილეტა“ (მეგობრების მიერ შერქმეული მეტსახელი) კიდევ უფრო წინსვლას გეგმავდა. რუსმა ჟურნალისტებმა მისი სახელი რომ შეიტყვეს, იმ წამსვე თავისუბურად თარგმნეს, ყველაზე კეთილი სკილეტი — ცსკა-ს დაცვის ბურჯი.

ერთ მშვენიერ დღესაც ყველა ოცნება ხუხულასავით დაინგრა, ლობჟანიძე ფეხბურთიდან გაქრა.

არა, მას ტრავმა არ მიუღია, არც ავადმყოფობა ყოფილა მიზეზი, დღესაც ჯანმრთელადაა და არც ფეხბურთის მიტოვება განუზრახავს, მაგრამ...

ის თითქოს ერთი ჩვეულებრივი ტრანსფერი იყო. ნუგზარ ლობჟანიძემ თითქოს კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ თავის საფეხბურთო კარიერაში. „ბოლო გაჩერება“ საბერძნეთის ჩემპიონატის უძლიერესთა მარაქაში გარეული „ქსანტი“ უნდა ყოფილიყო და აირია მონასტერი...

მოსკოვურმა ცსკ-ამ, ლობჟანიძე ჩვენია, დაიჟინა. ბერძნებმა თქვენი კი არა, ჩვენია, კონტრაქტი ჩვენთან გააფორმაო.

პროფესიული ხელშეკრულება ერთდროულად ორ გუნდთან, აგორდა ამბავი და უეფას ყურამდეც მიაღწია.

განაჩენი ულმობელი იყო, დისკვალიფიკაცია, ფეხბურთიდან მოკვეთა.

თითქმის სამი წელი გავიდა მას აქეთ. ლობჟანიძისთვის თვალი არსად მომიკრავს.

ჟურნალისტებთან მუდამ კეთილი დამოკიდებულების მქონე, ბოლო დროს გაგვიუცხოვდაო — ჩიოდნენ კოლეგები.

ნუგზარი გუშინ ვნახე დიღმის ბაზაზე. თურმე „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშობს. გუშინ საკონტროლო თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, გარედან ადევნებდა თვალს ბურთაობას. მოწყენილი, სევდიანი ჩანდა.

ალბათ, ათ დღეში გაირკვევა ჩემი საკითხი. თუ ბერძნები თანხმობას განაცხადებენ, მაშინ „დინამოში“ დავბრუნდები ნათხოვრობით. ვნახოთ...

კაცს სამი წელი მოუთმენია და ათი დღე რაღა ბედენაა. იქნებ არ გაჯიქდნენ „ქსანტის“ მესვეურები, იქნებ უეფამაც მოწყალე თვალით გამოიხედოს, მაშინ ლობჟანიძე ფეხბურთს დაუბრუნდება.

**მამუკა ქვანტალიანი**


გივი კვარაცხელიამ თავი ძოძუაშვილის „ლოკომოტივს“ შეაფარა

ბადრი კეთილაძის ფოტო

# ბოლო ქართველი ემშვიდობება სიტის

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი კახა ცხადაძე ისევ ტრავმირებულია. უიღბლობით გაწამებული ფეხბურთელი ხელჯოხით დაიარება. კახა ზაფხულამდე თამაშს ვერ შეძლებს. ისევ მუხლი აწუხებს, ისევ ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება.

ინგლისიდან ჩამოსული ცხადაძეს გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შევხვდით. ადმინისტრაციული კორპუსიდან გამოვიდა ყავარჯნებით და ახლობლის დახმარებით ნელ-ნელა წავიდა საკუთარი ავტომანქანისკენ.

...დაგვინახა, მოგვესალმა, სახიდან ნაღვლიანი ღიმილი არ მოშორებია. გამოგველაპარაკა, მოგვიკითხა და თავისი გასაჭირი გაგვიზიარა: — ექიმებს თავი ვერ დავაღწიე, სულ ასეთ დღეში ვარ. ახლაც ზაფხულამდე იძულებითი დასვენება მკურნალობა მომიწევს.

იმ დროისთვის კი „სიტისთან“ კონტრაქტი დამიმთავრდება და იმედია, იქაურობას თავს დავაღწევ. ბუცების ჩამოკიდებაზე არც მიფიქრია, ჩემთვის კიდევ მოიძებნება კლუბი, კიდევ ვითამაშებ ფეხბურთს.

იმედით აღსავსემ თქვა ეს სიტყვები . იქნებ ბევრს არც სჯერა მისი. რაღა დაგიმალოთ, გულის სიღრმეში მეც მეეჭვება, რომ ის უწინდელ ფორმას აღიდგენს, მაგრამ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, კახა ცხადაძეს სჯეროდეს და იმედი ჰქონდეს, რომ ის ფეხბურთს ითამაშებს, თანაც უწინდელივით საიმედოდ.

**მამუკა ქვანტალიანი**


კახა ცხადაძე

# განშორების ჟამი...

ვერ გეტყვით რა ტრიალებს „დინამოს“ თავს. იქნებ სულაც არაფერი და ეს კანონზომიერება გახლავთ. მიდიან „დინამოდან“ ახალგაზრდა ფეხბურთელები.

არა, გაყიდულ-გასხვისებულებზე არაფერს მოგახსენებთ, იმათზე გეტყვით, ვისაც წლობით ლოდინი და სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მობეზრებიათ.

პირველნი, რომელთაც ჩემპიონებთან უქმად ყოფნას სხვა გუნდში თამაში არჩიეს, გივი კვარაცხელია და გიორგი ლომაია არიან. ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეები უკლუბოდ ერთ წუთსაც არ დარჩენილან. „დინამოდან“ განთავისუფლების ფურცლით ხელდამშვენებულებმა რევაზ ძოძუაშვილის „ლოკომოტივში“ იპოვეს თავშესაფარი.

დღე დღეზე სანატრელ ფურცელს ელის ახალგაზრდული ნაკრების კიდევ ერთი წევრი ზურაბ ხიზანიშვილიც. როგორც ამბობენ, ზურაბს „თავისუფლება“ თითქმის გარანტირებული აქვს. კლუბიც გამზადებული ჰყოლია — თბილისის „ლოკომოტივი“.

გათავისუფლდა კახა ებარლიძეც. მან „დინამოს“ ხელმძღვანელებთან გუშინ მოაგვარა საქმეები.

როგორც შევიტყვეთ, წასვლას სხვებიც ეშურებიან და თუ ასე გაგრძელდა, მაშინ „დინამოს“ დანაკლისის შევსება გაუჭირდება.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ტორპედომ აბრამიძე უკან გამოუშვა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ვალერი აბრამიძე, რომელიც მოსკოვის „ტორპედოში“ გასასინჯად იმყოფებოდა, კარიერას თბილისის „დინამოში“ გააგრძელებს. ტორპედოელთა თავკაცმა ვიტალი შევჩენკომ 19 წლის ქართველი მცველი დაიწუნა.

აბრამიძემ, მოგეხსენებათ, მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი „თბილისში“ ჩაატარა. დეკემბრის მიწურულს „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ იგი თავისთან მიიწვია, თუმცა აბრამიძეს „დინამოში“ არც უვარჯიშია. ქართველით მოსკოველები დაინტერესდნენ. ვალერიმაც უმალ რუსეთს მიაშურა. 4 იანვარს შევჩენკომ იგი კვიპროსზეც წაიყვანა, სადაც „ტორპედომ“ ორკვირიანი შეკრება მოაწყო. კუნძულზე მოსკოველებმა, ცხადია, საწვრთნელ-საკონტროლო მატჩებიც გამართეს. პირველ ორ შეხვედრაში აბრამიძემ თითო-თითო ტაიმი ითამაშა, მესამეში კი მინდორზე 90 წუთი დაჰყო. ჩვენც ის იყო, ვიფიქრეთ, აბრამიძემ შევჩენკოს თავი მოაწონაო, რომ ქართველი მცველი „ტორპედოს“ მატჩებში საერთოდ აღარ გამოჩენილა.

აღსანიშნავია, რომ აბრამიძის ბედი გაიზიარა „ტორპედოს“ კიდევ ოთხმა ახალწვეულმა — კიევის „დინამო 2“-ის ფეხბურთელმა ბერმუდესმა და სამმა იუგოსლაველმა, პეჩიჩმა, ვიდეოვიჩმა და სტეფანოვიჩმა, რომლებიც მოსკოვურ კლუბს შეკრებაზე ახლდნენ.

ისე, ვიტალი შევჩენკო რომ ცოტა უცნაური კაცია, ეს „ტორპედოს“ მოსამზადებელი გეგმიდანაც ჩანს. გუნდმა პირველი შეკრება 4 იანვარს დაიწყო და 18-ში დაასრულა. მოსკოვში დაბრუნებულმა ფეხბურთელებმა ორი დღე დაისვენეს, ახლა კი ისევ კვიპროსში მიდიან, სადაც შევჩენკომ მეორე შეკრების მოწყობა ბრძანა. მწვრთნელები ამჯერად სხვა ახალწვეულებს გაიყოლებენ და მათ გასინჯავენ.

თუმცა შევჩენკოსა და „ტორპედოზე“ მეტად ჩვენ ვალერი აბრამიძის ბედი გვაწუხებს, რომელმაც „დინამოსთან“ ერთად მოსამზადებელი პერიოდი ვერ გაიარა და ახლა ამის გამო დსთ-ს ტურნირსაც დააკლდება. ყოველივე ამის შემდეგ, არც ისაა გამორიცხული, აბრამიძე კვლავ „თბილისში“ აღმოჩნდეს.

**ვანო ოქროპირიძე**


ვალერი აბრამიძე

# რევაზიშვილმა ოპერაცია გაიკეთა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და გორის „დილას“ ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად მოლდოვური „შერიფის“ მოთამაშე გიორგი რევაზიშვილი ექიმების ხელში ჩავარდნილა. გიორგიმ გუშინ თბილისში მენისკის ოპერაცია გაიკეთა.

ჩვენებურს ტრავმა ადრეც აწუხებდა, მაგრამ მენისკი არასოდეს. მან ერთხელ უკვე დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, თუმც თავისი შრომისმოყვარეობით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ძირითად თერთმეტეულში ადგილის დაბრუნება არ გასჭირვებია. ახლა ისევ იძულებითი დასვენება.

— „შერიფი“ მეორე წრისთვის ანთალიაში ატარებდა შეკრებას. ავსტრიულ „შტურმთან“ მორიგი საკონტროლო მატჩისათვის ვემზადებოდი. მოთელვა დავასრულეთ და მოედანზე გასვლას ვაპირებდი, თანაგუნდელებმა ბურთი მომიგორა, მეც ფეხი გავკარი და უკან დავუბრუნე, მაგრამ უცაბედად მუხლი შემიტრიალდა.

ექიმებმა მენისკი დამიდგინეს. „შერიფის“ ხელმძღვანელებმა ოპერაციის კიშინიოვში გაკეთება შემომთავაზეს, მაგრამ მე თბილისი ვარჩიე. აქ უკეთესი სპეციალისტები არიან.

ჩამოვედი და დიღომში არსებულ კლინიკაში ოპერაციაც გავიკეთე. ექიმები მპირდებიან, რომ ორ კვირაში ფეხზე დავდგები და ვარჯიშსაც დავიწყებ. ასე რომ, დროებით გუნდს მოვწყდი.

სხვა ჩვენებურებზე რევაზიშვილმა ეს გვითხრა:

— თარხნიშვილს სიცხეები აწუხებს, მუჯირს ფეხები სტკივა. საერთოდ, „შერიფში“ ცუდი სიტუაციაა, სერგეი ბაროვსკის განთავისუფლების შემდეგ, კლუბმა კვალიფიციური მწვრთნელის პრობლემა ვერ მოაგვარა. საწვრთნელი პროცესი ჩავარდა, არასწორად მიმდინარეობს, ამიტომ ჩემპიონობის მოპოვება გაგვიჭირდება.

შეგახსენებთ, რომ პირველი წრის შემდეგ, ჩვენებურთა ძალისხმევით, „შერიფი“ გათამაშებას ლიდერობს.

**მამუკა ქვანტალიანი**

# დინამომ ქებაძე დაიბრუნა

ლევან ქებაძე — ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ზესტაფონის „მარგვეთსა“ და ქუთაისის „ტორპედოში“ ნათამაშევი. კონტრაქტით „დინამოს“ საკუთრება და „ლოკომოტივში“ განათხოვრებული.

ქებაძე მეთერთმეტე ეროვნულში „ლოკომოტივის“ მთავარ თავდამსხმელად ითვლებოდა, მასზე დიდ იმედებსაც ამყარებდნენ, მაგრამ...

თავდამსხმელმა სამეორეწრეო სამზადისი რკინიგზელთა გუნდში დაიწყო, თითქმის ერთი თვე ინტენსიურად ემზადებოდა ახალი მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით, მაგრამ კლუბი და ფეხბურთელი უეცრად გაიყარნენ.

უჭირს ახლა „დინამოს“, ფეხბურთელები შემოაკლდა, ალბათ ამიტომაცაა, კლუბმა გასხვისებულები უკან რომ გამოითხოვა.

ლევან ქებაძეც სამიოდ დღეა, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გამოჩნდა, „დინამოსთან“ ერთად ვარჯიშობს და ჩემპიონებთან ერთად ესპანეთს ჩემპიონთა ტურნირზეც მიემგზავრება. ერთი სიტყვით, „დინამომ“ ქებაძე დაიბრუნა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# გორელი შეიხებს ანცვიფრებს


სარბიელის არქივიდან

ალექსანდრე კაიდარაშვილი (მარჯვნივ)

ტერნოპოლის „ნივადან" ზაპორიჟიეს „მეტალურგში" გადაბარგებულმა ალეკო კაიდარაშვილმა და კახა დგებუაძემ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, სადაც „მეტალურგმა" ჯერჯერობით ორი ამხანაგური მატჩის ჩატარება მოასწრო.

პირველ თამაშში უკრაინული კლუბის მეტოქე დუბაის „ალ შაბაბი" იყო, რომლის ღირსებასაც ოთხი ბრაზილიელი ლეგიონერი იცავდა. მატჩს საამიროების უმდიდრესი შეიხებიც დაესწრნენ, თუმცა მთლად კმაყოფილები არ დარჩენილან.

„მეტალურგმა" 7:1 მოიგო. დგებუაძემ და კაიდარაშვილმა მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშეს, რომელიც 3:0 დასრულდა. მესამე გოლი 28-ე წუთზე კაიდარაშვილმა გაიტანა. ზაპოროჟიელთა მომდევნო მეტოქე რუსეთის პირველი დივიზიონის დებიუტანტი, მოსკოვის „სპარტაკ-ჩუკოტკა" იყო.

რუსულ გუნდს ჩუკოტკის ავტონომიური ოლქი აფინანსებს და ამ მხარის კლუბადაც ითვლება. თუმცა რადგან ჩუკოტკაზე ფეხბურთის თამაში შეუძლებელია, გუნდი მოსკოვში ბინადრობს და მოსკოვის „სპარტაკის" ფარმ-კლუბადაც იხსენიებენ.

რუსების წინააღმდეგ „მეტალუგრის" რიგებში ამჯერადაც ორივე ქართველმა ითამაშა. კაიდარაშვილმა 79 წუთი დაჰყო მინდორზე, დგებუაძე მხოლოდ პირველი ტაიმი.

ანგარიში მე-4 წუთზევე გახსნა კაიდარაშვილმა. მე-20-ზე „ჩუკოტკამ" გაათანაბრა. თუმცა მატჩის მიწურულს „მეტალურგმა" ივარგა და 3:1 მოიგო.

სიმონ მენაბდე


ბაქარ ქეთილაძის ფოტო

შალვა ლაცაბიძე

# ლაცაბიძე ჩამოვიდა, ზირაქიშვილი დარჩა

ბულგარეთში, უმაღლესი დივიზიონის ვარნის „სპარტაკში" გასინჯვაზე მყოფი თბილისის „არსენალის" ფეხბურთელი შალვა ლაცაბიძე ორიოდე დღის წინ თბილისში დაბრუნდა. მისი ტრანსფერი ბულგარულ კლუბში ბოლო წამს ჩაშლილა. მიზეზი „სპარტაკის" სამწვრთნელო შტაბში მომხდარი ცვლილება გახლდათ. კონტრაქტის გაფორმებამდე ცოტა ხნით ადრე „სპარტაკს" მთავარი მწვრთნელი შეეცვალა, კლუბის ახალმა თავკაცმა კი ლაცაბიძის გუნდში დატოვება არ ისურვა.

ლაცაბიძე ბულგარეთში დაახლოებით ორი კვირის წინ თბილისის „დინამოს" თავდამსხმელ ზაზა ზირაქიშვილთან ერთად გაემგზავრა. ვარნელები ამ ფეხბურთელებს თავად დაუკავშირდნენ და გასასინჯად ჩასვლა შესთავაზეს. ისინიც სიამოვნებით დაეთანხმნენ. საქმე მოგვარებული ჩანდა, რადგან ბულგარელები ლამის ერთი წელია, ზირაქიშვილითა და ლაცაბიძით დაინტერესდნენ. რამდენიმე იქაური კლუბის ხელმძღვანელობას ქართველ ფეხბურთელთა დუეტი „არსენალის" ბულგარულ შეკრებაზე მოეწონა. მაშინ მათ ტრანსფერებს „არსენალის" უფროსობა აღუდგა წინ, ჯერ ჩვენ გვჭირდებითო. მოთამაშეთა გადასვლაც სამომავლოდ გადაიდო, ახლა კი მწვრთნელთა ცვლილება ჩაერია თითქმის ბოლომდე მოგვარებულ საქმეში.

თუმცა მიუხედავად ამისა, სავსებით შესაძლებელია ზირაქიშვილმა მაინც ამ ქვეყანაში გააგრძელოს კარიერა. იგი ბულგარეთში დარჩა და სხვა კლუბში იმყოფება გასინჯვაზე. რა გუნდია, არ ვიცით, ჯერ არაფერია გარკვეულიო, გვიპასუხეს ზაზას ოჯახში. როგორც თავად ზირაქიშვილს შემოუთვლია, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ვანო ოქროპირიძე

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I-VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი(სიონი),კ.ჯანაშია(სამგურალი),ვ.მაისურაძე(თბილისი),ჩხაბერიძე(თავისუფალი აგენტი) | | |
| დინამო<br>*ოთარ კორღალიძე* | აშვეთია(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი),ზირაქიშვილი(სპარტაკი,ვარნა,ბულგარეთი),ხომერიკი(ბათუმი),თ. კობიაშვილი(ვიტ ჯორჯია) | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, (თბილისი), დათუაძე(სიონი), შელია(მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჯანიძე(უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია(ბათუმი) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 2:2 |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ჭოხონელიძე (თსუ) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი) | |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნევალე* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაშს მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე(?) | ხომერიკი(დინამო),ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი),პეტრიაშვილი(სამგურალი),ბარნოვი(ლოკომოტივი),გ.ნოზაძე(საუ), კაკაბაძე(ცხუმი) | |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კუტრიკაძე* | კ. ალადაშვილი(გორდა),მაზიაშვილი(ლოკომოტივი) | ლ.მელქაძე(თბილისი),ი.ხაჭაპურიძე(სამგურალი),მერლანი,ახალაძე(თსუ),თ. კობიაშვილი(დინამო), ვ. კაკაშვილი(თბილისი) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0 |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე(დინამო),დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი),ნ. მინდიაშვილი,მ. მინდიაშვილი(?) | მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი) | |
| დილა<br>*მერაბ კოჭლაშვილი* | | | ვიტ ჯორჯია 0:1 |
| იბერია<br>*სოსო ფრუიძე* | | | |

| IX-XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი,ქებაძე(დინამო),მ. ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი),ბარნოვი(ბათუმი), ლ.მიქაძე (ანჟი,რუსეთი),დ. ჯანელიძე,დოლაბერიძე(?) | ლომაია(დინამო),კვარაცხელია, ზ.ხიზანიშვილი (თბილისი),ხურომე(სკონტო,ლატვია),ძოძუაშვილი (სამგურალი),რ. ახალკაცი(შუმენი,ბულგარეთი),გამცემლიძე(ტრავმის გამო არ თამაშობდა),დ. გოდერძიშვილი(სიონი),პარამონოვი(თბილისი 2),მაზიაშვილი(ვიტ ჯორჯია),ჯულელი(მეტალურგი, ლიპეცკი,რუსეთი) | დინამო 2:1, მერანი 2:2 |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | | კ. ალადაშვილი(ვიტ ჯორჯია) | |
| თსუ<br>*თენგიზ კაკია* | მერლანი,ახალაძე(ვიტ ჯორჯია),ნინუა(?) | ფუტკარაძე(ინტერი),ჯავახიშვილი(განთიადი),ნანიშვილი(ცხუმი),სულავა(ნორჩი დინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| მერანი<br>*სერგო გაბელაია* | ხარებავა,ე.ალადაშვილი(არსენალი) | კოშკაძე,ავალიანი,მელიქია,კვანტალიანი,მიკუჩაძე(ამირანი),თ.დოლიძე,ქორავა,მოსულიშვილი(?) | ლოკომოტივი 2:2 |
| თბილისი<br>*რამაზ შენგელაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი(ლოკომოტივი), ისიანი(სიონი),ლ.მელქაძე(ვიტ ჯორჯია),ვ.გაგუა(სკონტო,ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი) | |
| სამგურალი<br>*იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი.ხაჭაპურიძე(ვიტ ჯორჯია),პეტრიაშვილი(ბათუმი),კოპალიანი(XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| ხობი<br>*ფრიდონ გოცირიძე* | | | |
| არსენალი<br>*მამუკა გეგეჭკორი* | ჩლაიძე,თარგამაძე(ბათუმი),გონჩაროვი(თბილისი), დაუშვილი(სიონი) | ხარებავა,ე.ალადაშვილი(მერანი) | |

შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის

# მაგიური 35, მარაკანა და გაყინული ტრადიცია

**ძველი ამბავია, გაგონილი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პატარა თბილისელ ბიჭებს გამორჩევით შეჰყვარებიათ ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა. მისი ძველი სახელი დრომ წაიღო, მაგრამ მაშინ ორჯონიკიძის ქუჩას თურმე ყველა იოლად აგნებდა. ამ ქუჩას თავის სავიზიტო ბარათი ჰქონდა — 35-ე საფეხბურთო სკოლა.**

ერთი მამის ტოლი კაცის ნათქვამი მახსენდება — „ტრიციტპიატელი" ვინც იყო, შვილო, კაციც ის იყო, უბანში დაფასებული და ზომაწონიანი, მის გზაზეც ბევრი ოცნებობდაო.

მაინც ასეთი, რა ხიბლი ჰქონდა ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, ინტერნატის ტიპის საფეხბურთო სკოლას? საფეხბურთო იყო და მთელი მისი არაჩვეულებრიობაც ეს გახლდათ. ბურთის სიყვარულით და თვალსაჩინო მაგალითებით გულანთებულ ყმაწვილებსაც გული იქით მიუწევდათ. მაგალითები კი, იცოცხლეთ იყო: მესხი, იამანიძე, კოტრიკაძე... ამათი ეშხით რა გასაკვირია, რომ 35 ბევრისთვის მაგიური ციფრი იყო. ფეხბურთის სიყვარულს რა დაულევდა საქართველოს და მოდიოდნენ ყიფიანი, მაჩაიძეები, არველაძეები, ნემსაძე, ჯამარაული... 35-ე საფეხბურთო სკოლა ყოველთვის ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ მძლავრ სამჭედლოდ რჩებოდა.

1945-ში დაარსებულმა სკოლამ ოთხი ათეული წლის შემდეგ მისამართი შეიცვალა და დღევანდელ ქავთარაძის ქუჩაზე დამკვიდრდა. ამას თავის საფუძვლიანი არგუმენტი ჰქონდა — მოძველებული ტექნიკურ-მატერიალური ბაზა ახლით უნდა შეცვლილიყო. მალე სკოლის ახალ მისამართზე სხვადასხვა ზომის სტადიონები აიგო, ახალმოსახლეებს ვაჟა-ფშაველას VI კვარტალში ახლად აშენებული მოედანი „მარაკანაც" გადაეცათ და ბურთიც მძლავრად გაგორდა...

ანდრო თურქია უკვე თოთხმეტი წელია, 35-ე საფეხბურთო სკოლას ხელმძღვანელობს. დღესაც იმ საქმეს ემსახურება, რასაც ამ ხნის განმავლობაში აკეთებდა, მაგრამ წლებს თავისი მიაქვს, ზოგჯერ უკეთესობისკენ მიდის ცხოვრება, ზოგჯერ (ჩვენს შემთხვევაში უფრო ხშირად) პირიქითაც ხდება... დღეს ასეა — გუშინდელ მასპინძელთან გაყინულ, ჩაბნელებულ ოთახში შეხვედრა რა მოსატანია, როცა იქვე, გვერდით, თოვლით დაფარულ მოედანზე აკანკალებული გადიოდა სავარჯიშოდ ქართული ფეხბურთის ხვალინდელი იმედი. ცხოვრება რას არ გასწავლის და დღევანდელმა ნორჩმა „ტრიციტპიატელებმაც" კარგად იციან, რომ სანამ ვარჯიშზე წავლენ, ზამთარში ტანსაცმლის შიგნით სავარჯიშო ფორმა უნდა ჩაიცვან. გაყინულ გასახდელში გამოცვლას ეს არ სჯობს?

*ანდრო თურქია:* „ეჰ, ადრე სხვა დრო იყო. რაიონულ ბალანსზე ვიყავით, შუქიც გვქონდა, ცხელი წყალიც, ფინანსურადაც უზრუნველყოფილნი ვიყავით, სისტემატურად ვმონაწილეობდით პრესტიჟულ უცხოურ ტურნირებში. ახლაც მახსოვს, რა მტკივნეულად განვიცდიდით მეორე-მესამე ადგილებზე გასვლას. დღესაც გვაქვს მიწვევები უცხოეთიდან, სათამაშოდ გვეპატიჟებიან ფრანგები, ჰოლანდიელები, იტალიელები, შვედები, მაგრამ ვერ ჩავდივართ, ბევრი-ბევრი, სადმე ახლომახლო გავეჯიბროთ ვინმეს. ამას წინათ ჩვენმა ოთხმოცდაოთხიანებმა (1984 წელში დაბადებულნი) ერევანში იმარჯვეს, ეს იყო და ეს... ტკბილ მოგონებადღა შემოგვრჩა დრო, თუნდაც 1989 წელი, ჩვენი კარის მძლავრად გაჯახუნება საბჭოთა ფეხბურთიდან. იმ წელს ჩვენი გუნდი, ყაველაშვილისა და ჯამარაულის თაობა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ოსტატობის კანდიდატებს შორის. დღეს კი „ნორჩ დინამოელთან", „ავაზასთან" და „ოლიმპიკთან" გაჯიბრებით ვიქცევთ თავს. მოწინააღმდეგეები უკვე იმდენად კარგად იცნობენ ერთმანეთს, რომ ჩვენი ამგვარი შეჯიბრი ვარჯიშს, საწვრთნელ პროცესს ჰგავს"...



ანდრო თურქია

35-ე საფეხბურთო სკოლას თითზე ჩამოსათვლელი მოედანი აქვს სავარჯიშოდ. „მარაკანა" ბალახის საფარიანია (პირობითად, რა თქმა უნდა), ვაჟა-ფშაველას III კვარტალში მდებარე და სკოლის ტერიტორიაზე არსებული ორი მოედანი კი წიდისაა. ამ ოთხ სარბიელზე 900-მდე ბავშვი ეუფლება დიდი ფეხბურთის საიდუმლოებას. სკოლაში სხვადასხვა ასაკის 55 ჯგუფი ფუნქციონირებს და 25 მწვრთნელი მუშაობს. მათ შორის არიან: გოგი მამალაძე, ოთარ შენგელია, თემურ ლორთქიფანიძე, გოჩა ავსაჯანიშვილი, ირაკლი გორგოშიძე, სოსო სირაძე. საფეხბურთო სკოლაში შეგირდებს ასაკის გათვალისწინებით სხვადასხვა კრიტერიუმებით ღებულობენ. 6-7 წლის ბავშვებს აღნაგობით და მოქნილობით არჩევენ, შედარებით უფროსებს კი გარკვეულ ტესტირებებს უტარებენ.

საფეხბურთო სკოლა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია და, ბუნებრივია, ბიუჯეტის შემყურეცაა, საიდანაც ძალიან მცირე შეწევნას ღებულობს. მდგომარეობა კი მართლაც დამაფიქრებელია. *ანდრო თურქია:* „არ გვყოფნის მოედნები, ხანდახან იძულებული ვართ, სავარჯიშოდ დარბაზი ვიქირაოთ, როცა საშუალება გვაქვს, იპოდრომის ტერიტორიის ერთ ნაწილს ვქირაობთ, სათამაშოდ მაუდ-კომვოლის კომბინატის მოედანს ვიყენებთ. ხშირად გვეხმარება სპორტკლუბი „დინამო", მათი დახმარებით დილმის ბაზის ხელოვნურ საფარზეც ვატარებთ ვარჯიშებს. ჩვენი სკოლის მოედნები კი საცალალო დღეშია, მათი სასწრაფო რეკონსტრუქციაა საჭირო... არ გვაქვს ცხელი წყალი, [illegible] არის ცენტრალური გათბობა. ჩვენს ხელთ ერთადერთი ბალახის მოედანია — „მარაკანა" და თუ მოვახერხეთ მასაც გადავაკეთებთ, ბალახს წიდის საფარით შევცვლით, რადგან წარმოიდგინეთ რა დღეში იქნება ეს მოედანი (განსაკუთრებით ზამთარში), როცა მასზე 500 ბავშვი ივარჯიშებს..."



რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ანდრო თურქიას თქმით, საფეხბურთო სკოლაში მოვარჯიშეთათვის, ოფიციალური, ყოველთვიური გადასახადი არ არსებობს. სკოლა რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროში, აქვს თავისი საბანკო ანგარიში, სადაც მიზერული თანხა შედის მშობლების მიერ ნებაყოფლობითი დახმარებიდან. ნიჭიერ ბავშვებს კი იქით ეხმარებიან — უზრუნველყოფენ კვებით, ეკიპირებით.

35-ე საფეხბურთო სკოლის ერთ-ერთ პრობლემას ტრანსფერების საკითხიც წარმოადგენს. საბჭოთა წყობის დროს სკოლიდან წაყვანილ ფეხბურთელში კლუბი 300 მანეთს იხდიდა, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ქართული ფეხბურთის მამებმა საკომპენსაციო თანხად 1500 დოლარის ექვივალენტი დათქვეს, ეს იყო და ეს. 35-ე საფეხბურთო სკოლის სასარგებლოდ ამ წესს დღემდე არცერთი ქართული კლუბი არ დამორჩილებია.

*ანდრო თურქია:* ეროვნულ ჩემპიონატში 50 პროცენტი ჩვენი სკოლის აღზრდილი თამაშობს, მაგრამ დღემდე თეთრიც კი არ აგვილია მათ სანაცვლოდ. რა უნდა მოვთხოვო სამტრედიის, ქუთაისის და სხვა გუნდებს, როცა თბილისის „დინამოც" ვერ იხდის საკომპენსაციო თანხას. არადა, ამ პრობლემის მოსაგვარებლად არანაირი დამცავი მექანიზმი არ არსებობს. ამ საქმეს ფეხბურთის ფედერაციამ უნდა მიხედოს, სხვა შემთხვევაში კი სასამართლოს იმედად თუ დავრჩებით, რაც ხანგრძლივი, ხარჯიანი და არასასიამოვნო პროცესია.

35-ე საფეხბურთო სკოლის მთავარი პრობლემა ისევ ფინანსურ სიდუხჭირეს უკავშირდება. ანდრო თურქიასთვის, მისი კოლეგებისთვის და მით უმეტეს მათი აღსაზრდელებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, საიდან გაჩნდება ფული — ბიუჯეტიდან, ფეხბურთის ფედერაციიდან თუ მეცენატებისგან. ფეხბურთი ხომ მძლავრი ინდუსტრიაა, ის ბებიაბაბუებიც კი, რომელთაც შვილიშვილი სავარჯიშოდ დაჰყავთ, ამ საქმეს კომერციული თვალსაზრისით უყურებენ... ფეხბურთს კი სიყვარულთან ერთად შენებაც უნდა. ჩვენში მადლიან ევროპასთან პარალელების გავლება უყვართ, ის კი გვავიწყდება, რამდენი ფულია საზღვარგარეთ დაბანდებული თუნდაც ბავშვთა ფეხბურთში. ამას წინათ 35-ე საფეხბურთო სკოლას ამერიკელი სტუმარი ჰყოლია, ხელები გაუშლია უცხოელ საფეხბურთო საქმოსანს და ქართულ პირობებში მოვარჯიშე ქართველი ბავშვების ნიჭით მოხიბლულს სულ „ბრავო, ბრავო" უძახია. საკითხავი ის არის, მარტო ნიჭიერებით ფონს როდემდე გავალთ...

მასპინძელს გამომშვიდობებისას საფეხბურთო სკოლის მუზეუმის დათვალიერება ვთხოვე. ბატონმა ანდრომ ბოდიში მომიხადა, უამრავი ჯილდო, თასი და სუვენირი ძველ, ჩაბნელებულ ოთახში გვაქვს გამოკეტილი, იმის სახსრებიც არ არის, თვალსაჩინოდ გამოვიტანოთ ჩვენი ნადავლი, ამასაც ფული უნდაო.

ფულიც უნდა და მონდომებაც.

**პაატა ქვანტალიანი**





მერე რა, რომ თოვლია... 35-ე სკოლის აღსაზრდელებს ვარჯიშის ჟინი არ განელებიათ

გურამ ფოლადაშვილის ფოტო



„ლა პრადერას“ კომპლექსი, ადგილი სადაც მარადონა დააბინავეს

REUTERS ჰავანიდან

# ბუნგალო, ბუნგალო

ბვაბნევენ, მაგრამ ნუ დავიბნევით. ოღონდაც ის კარგად იყოს და...

ახალთახალი ცნობების თანახმად პლანეტის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი დიეგო მარადონა კუბაში სამკურნალოდ ჩასვლის შემდეგ მოათავსეს არა ქალაქ ოლგინის საყოველთაოდ ცნობილ კლინიკაში სახელწოდებით „კინკე-კოკალ“, არამედ ქვეყნის დედაქალაქ ჰავანას დასავლეთ გარეუბანში მდებარე კომპლექს „ლა პრადერაში“.

ორიოდ სიტყვით ამ კომპლექსზეც ვთქვათ: ეს გახლავთ ბაღებით დაბურული, აუზიან-სარეაბილიტაციო რამერუმეებიანი ყოვლად კეთილმოწყობილი კომპლექსი მხოლოდ უცხოელი პაციენტებისათვის. მარადონა ნათესავებთან და კეთილის მსურველებთან ერთად „ლა პრადერაში“ გაშენებულ ერთ-ერთ ბუნგალოში დააბინავეს. ეს ბუნგალო სულ 170 ადამიანს იტევს, მაგრამ დღესდღეობით მარადონების გარდა მასში მხოლოდ 25 ავადმყოფია.

„დადასტურდა. ის ჩვენთან იმკურნალებს. ჯერჯერობით ანალიზებს ვუღებთ, რათა გავარკვიოთ კონკრეტულად რა ტიპის მკურნალობა დასჭირდება. შემდეგ კი, როგორც ნებისმიერ ავადმყოფს, მარადონასაც საგანგებო, პერსონალიზებულ მეთოდს შევურჩევთ“ — განაცხადა „ლა პრადერას“ მთავარმა ექიმმა პედრო ფა ლერენა ფერნანდესმა.

რაც შეეხებათ ოლგინელ ექიმებს, ისინი შიგადაშიგ ჩააკითხავენ ძვირფას პაციენტს და ჰავანელ კოლეგებს დახმარების სიტყვას შეაწევენ.

ვიმეორებთ, რაც გუშინდელ „სარბიელშიც“ ვთქვით: ფეხბურთელის მკურნალობის ხარჯებს კუბის ხელისუფლება კისრულობს.



დიეგო მარადონა

ახლა, რაც შეეხება კითხვას, რომელიც მკითხველთა ნაწილს შეიძლება ბუნებრივად გასჩენოდა: რატომ მკურნალობენ „ლა პრადერაში“ მხოლოდ უცხოელებს?

იმიტომ, რომ კუბა სოციალისტური სახელმწიფოა და შესაბამისად, მასში ყველაფერი არაბუნებრივადაა. ბუნებრივი იქნებოდა კომპლექსში მკურნალობა ძვირი რომ ღირდეს და იქ მდიდრების გარდა ვერავინ ხვდებოდეს, აქაურების და იქაურების მიხედვით დაყოფა კი რაღაც ძალიან საბჭოურია.

ასეა თუ ისე, იმ 40 წლის განმავლობაში, რაც კუბას კომანდანტე ფიდელ კასტრო მართავს, ქვეყანაში, როგორც ამბობენ, მედიცინა ერთობ განვითარდა. ვერ გეტყვით, რამდენად ხელმისაწვდომია ეს განვითარებული მედიცინა უბრალო კუბელთათვის, მაგრამ მყარი ვალუტის შემომტან უცხოელებს, აგერ, „ლა პრადერა“ ემსახურება.

ამბობენ, რომ მარადონა უკვე შეხვდა კომანდანტეს, თუმცა იმასაც მოისმენთ, რომ ეს შეხვედრა ჯერ არ შემდგარა. როცა შედგება, იგი იქნება ამ ორი პიროვნების მესამე ხელის ჩამორთმევა 1987 და 1994 წლების შემდეგ.

„ლა პრადერაში“ ჟურნალისტები ვერ შედიან. ეს კასტროს მზრუნველობის შედეგი გახლავთ. კუბის ლიდერმა განკარგულება გასცა, ჩემი დაძაბუნებული მეგობარი არ შეაწუხოთო.

„ეჭვი არ მეპარება, რომ მარადონას განვკურნავთ“ — განაცხადა ჰავანის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ხელმძღვანელმა, კუბის მთავარმა სპეციალისტმა ედუარდო ბერნაბე ორდასმა, რომელსაც რთული სამუშაო ელის, კოკაინს უნდა გადაარჩინოს კაცი, რომელიც ამ საქმეს 1983 წლიდან, „ბარსელონაში“ თამაშის დროიდან მისდევს.

**ბაჩუნა ქედია**

# ვის დაუჭერს მხარს აფრიკა?

ინგლისური ფეხბურთის ლეგენდამ, სერ ბობი ჩარლტონმა, თხოვნით მიმართა აფრიკული ქვეყნების წარმომადგენლებს, იმ შემთხვევაში, თუ ფიფა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის შავ კონტინენტს არ აირჩევს, მათ ინგლისის კანდიდატურას დაუჭირონ მხარი.

მოგეხსენებათ, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილს ინგლისიც გამოთქვამს და სერ ბობი ჩარლტონი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა. ამიტომ იგი ყოველმხრივ ცდილობს საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვას.

„იცით, რომ მაროკო და სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილს გამოთქვამენ, თუმც კენჭისყრის სისტემით თუ რომელიმე პრეტენდენტს უარს ეტყვიან, მას ხმის ხელახლა მიცემის უფლება ეძლევა. სწორედ ამიტომ მივმართეთ თხოვნით, უარის შემთხვევაში ინგლისის კანდიდატურას დაუჭირონ მხარი“ — აცხადებს ბობი ჩარლტონი.

ინგლისის, მაროკოსა და სამხრეთ აფრიკის გარდა მასპინძლობას ბრაზილია და გერმანიაც ცდილობენ. სერ ბობი ჩარლტონი ამის თაობაზე ამბობს:

„ობიექტური თუ ვიქნებით, როგორც აფრიკულ ქვეყნებს, ასევე ბრაზილიას, ჩემპიონატის მასპინძლობის უდავო უფლება აქვთ. მათი წვლილი დღევანდელ ფეხბურთში მართლაც დიდია, მაგრამ რეალურად, მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება უდიდეს ხარჯებსა და ინფრასტრუქტურას მოითხოვს, რაც ამ ქვეყნებს ნაკლებად ხელეწიფებათ. ამ მხრივ ინგლისსა და გერმანიას შედარებით უპირატესობა აქვთ და ამან იქნებ ბევრი რამ გადაწყვიტოს“.

ტურნირის მასპინძლის ვინაობას ფიფა მომავალი წლის ზაფხულში დაასახელებს, მანამდე კი საკმაო დროა და შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს...



სერ ბობი ჩარლტონი

## საფრანგეთი

გადადებული მატჩები

**სედანი 0:1 ლე ავრი**

0:1 ბეკანოვიჩი (26)

**სტრასბური 2:0 ტრუა**

1:0 კამადინი (30), 2:0 ეშუაფნი (50)

გაიმართა ჩემპიონატის ორი გადადებული შეხვედრა, რომლებიც დეკემბრის შუა რიცხვებისთვის უნდა ჩატარებულიყო. გათამაშების ცხრილში მე-5 ადგილზე მყოფმა „სედანმა“ ერთ-ერთ აუტსაიდერ „ლე ავრს“ უმასპინძლა და ყველასთვის გასაკვირად, 0:1 დამარცხდა, ხოლო „სტრასბური“ შინ ცხრილის უახლოეს მეზობელ „ტრუას“ ეპაექრა და მეტოქე 2:0 დაამარცხა.

მიღწეული წარმატებით „სტრასბურმა“ ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და ერთი პოზიციით წინ წაიწია. შეხვედრაში გატანილი ორივე გოლი სტრასბურელი დევიდ ზიტელის აქტიურობას მოჰყვა, რომელმაც 30-ე წუთზე ჯერ პასკალ კამადინის, ხოლო 50-ზე ოლივერ ეშუაფნის საგოლე პასები მიაწოდა და თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მაგრამ მას ზედმეტი მოუვიდა და 69-ე წუთზე წითელი ბარათი დაიმსახურა, შედეგად თავისიანები რიცხობრივ უმცირესობაში დატოვა. თუმც მხოლოდ 5 წუთით, რადგან 64-ე წუთზე „ტრუას“ მცველმა ედუარდ ტომასმა „სტრასბურის“ ფორვარდი პასკალ იოჰანსონი აკრძალული ხერხით შეაჩერა და მანაც წითელი მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტომასის ბოლო იმედის ჯარიმა გახლდათ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იოჰანსონი, ალბათ, მესამე ბურთსაც გაიტანდა.

როგორც მოგახსენეთ, „ლე ავრმა“ სტუმრად „სედანი“ დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა, რადგან ბოლოსწინა ადგილიდან მე-15 პოზიციაზე გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი გოლი იუგოსლაველი მილადინ ბეკანოვიჩის ანგარიშზეა, რომელმაც ჩემპიონატში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 22 | 15 | 3 | 4 | 48:19 | 48 |
| პსჟ | 22 | 11 | 5 | 6 | 33:25 | 38 |
| ოსერი | 22 | 11 | 5 | 6 | 28:23 | 38 |
| ლიონი | 22 | 11 | 5 | 6 | 27:22 | 38 |
| სედანი | 22 | 9 | 5 | 8 | 30:31 | 32 |
| ბორდო | 22 | 8 | 7 | 7 | 33:32 | 31 |
| სენტ ეტიენი | 22 | 8 | 5 | 9 | 32:32 | 29 |
| ნანსი | 22 | 8 | 5 | 9 | 28:28 | 29 |
| რენი | 22 | 8 | 5 | 9 | 29:30 | 29 |
| მარსელი | 22 | 6 | 10 | 6 | 27:25 | 28 |
| მეცი | 22 | 5 | 12 | 5 | 25:23 | 27 |
| ბასტია | 22 | 6 | 9 | 7 | 25:24 | 27 |
| ნანტი | 22 | 8 | 3 | 11 | 25:27 | 27 |
| სტრასბური | 22 | 7 | 6 | 9 | 23:30 | 27 |
| ლე ავრი | 22 | 7 | 5 | 10 | 21:31 | 26 |
| ტრუა | 22 | 8 | 2 | 12 | 23:37 | 26 |
| ლანსი | 22 | 6 | 6 | 10 | 18:27 | 24 |
| მონპელიე | 22 | 4 | 6 | 12 | 23:32 | 18 |

### თასის ოცდამეთორმეტედფინალის წილისყრა

21 იანვარი

ამიენი (I) — ოსერი; ლორიანი (I) — მონპელიე; რენი — შატორუ (I); გენიონი (I) — კრეტეი (I)

22 იანვარი

ნიმი (II) — ლუანი (II); სოშო (II) — ლე ავრი; ლავალი (II) — სედანი; ბეზანსონი (III) — ლანსი; პასი-სიურ-ერი (III) — მეცი; ტუარი (III) — ნანსი; გრენობლი (III) — სენტ ეტიენი; რასინგი (III) — მონაკო; სენტ კანტენი (IV) — ბასტია; ლიმოჟი (IV) — პსჟ; ვანი (IV) — ტრუა; ტური (IV) — ლიონი; სეგრი (IV) — მარსელი; შილტიგემი (V) — ბორდო; კარკასონი (V) — ნანტი; მარინიანი (V) — სტრასბური; კალე (IV) — ლილი (I); ლა როშ-სიურ-იონი (IV) — ტულუზი (I); ორილიაკი (IV) — კანი (I); მონდვილი (V) — ვალანსი (II); ლა დუშერი (VI) — ნიორი (I); ბომ-ლე-დამი (V) — ევრი (III); ლევალუა (V) — რედ სტარი (III); პონტივი (IV) — ბრესტი (IV); პორტო-ვეკიო (IV) — ვოლ-ან-ველენი (V); მონსო (IV) — ვეზული (V); ლე ერბიე (V) — კომპიენი (VI)

23 იანვარი

ლენგონ კასტე (V) — ლა მონტანიარდი (V)

### ლიგის თასის მერვედფინალის წილისყრა

28 იანვარი

მონაკო — სტრასბური

29 იანვარი

ნანსი — სოშო (II); სენტ ეტიენი — რედ სტარი (III); ბოვე (III) — სედანი; შატორუ (II) — პსჟ; გენიონი (I) — ტულუზი (I); ლიონი — ბორდო

30 იანვარი

ბასტია — მონპელიე

## ესპანეთი

თასის მერვედფინალი [illegible]

**სარაგოსა 0:0 რეალი**

**ლეიდა 2:3 რაიო ვალეკანო**

0:1 მიჩელ II (8პ), 1:1 პენია (9), 1:2 მიჩელ I (14), 1:3 ამაია (46პ), 2:3 მიკელი (76)

**ოსასუნა 1:0 დეპორტივო**

1:0 იბან პერესი (32)

**რეალ უნიონი 0:3 ატლეტიკო**

0:1 რობერტო (28), 0:2 პაუნოვიჩი (55), 0:3 ნიეგუსი (60)

**ესპანიოლი 2:1 სელტა**

1:0 მანელი (1), 1:1 გუსტავო ლოპესი (8), 2:1 გალკა (65)

**კომპოსტელა 3:0 ვილიარეალი**

1:0 სიონი (4), 2:0 ლეკუმბერი (25), 3:0 ანტონიო დიასი (87)

**მერიდა 1:0 ოვიედო**

1:0 პრიეტო (65)

მადრიდის „რეალმა“ ამ სეზონში თავისი პირველი სათასო მატჩი სტუმრად „სარაგოსასთან“ უგოლო ფრით დაასრულა. როგორც ჩანს, სამეფო კლუბს შეხვედრის ფრედ დასრულება თავიდანვე ხელს აძლევდა, რადგან თამაში მხოლოდ ერთი ფორვარდით — ფერნანდო მორიენტესით — დაიწყო.

უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლებმა თავიდანვე საკმაოდ იაქტიურეს, თუმც რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. მე-13 წუთზე ხავი აგუადოს ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული თავური ოდნავ ასცდა კარს. ამის შემდეგ „რეალი“ გამოფხიზლდა და ერთი-ორი სახიფათო შეტევა განახორციელა, მაგრამ ანგარიში მაინც ვერ შეცვალა. შეხვედრაც ფრედ დასრულდა — 0:0.

თასზე წარმატებით მოასპარეზე მეორედივიზიონელმა „ოსასუნამ“ პრიმერადივიზიონის ლიდერ „დეპორტივოს“ უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა. ალბათ გახსოვთ, რომ ამ გუნდმა წინა ეტაპიდან „ვალენსია“ გამოთიშა და არ არის გამორიცხული, ახლა „დეპორტივოსაც“ იგივე ბედი ეწიოს.

ჩატარებული შეხვედრებიდან კიდევ ერთი, მეორედივიზიონელი „მერიდას“ გამარჯვებაა აღსანიშნავი. მან შინ „ოვიედოს“ სძლია — 1:0.

საშინაო შეხვედრაში გაიმარჯვა „ესპანიოლმაც“, რომელმაც ვიგოს „სელტა“ დაამარცხა 2:1.

ერთადერთი დარჩენილი შეხვედრა მესამედივიზიონელ „ოურენსესა“ და „ბარსელონას“ შორის წუხელ გვიან ღამით გაიმართა.

## იტალია

თასის მეოთხედფინალი

I წრე

**ვენეცია 0:0 ფიორენტინა**

ვენეცია: კონსელი, კარდონე, ლუპი, დალ კანტო, ორლანდინი (განცი 61), ბერგი, ვოლპი, ნანამი (ბიანკი 83), პედონე, მანიერო (ბუდანი 56), ვალტოლინა

ფიორენტინა: ტოლდო, ადანი, ფირიკანო, რეპკა, დი ლივიო, როსიტო, ტაროცი (კ. ამორუზო 68), ჰაინრიხი, რუი კოშტა, კიეზა (ვაკუფცისი 68), ბატისტუტა

გაფრთხილება: ადანი, ტაროცი, ბატისტუტა

მსაჯი: როსი

## შოტლანდია

### თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა

ჰართსი — სტენუსემირი; სენტ მირენი — აბერდინი; ალბიონი — პარტიკ ტისტლი; სენტ ჯონსტონი — რეინჯერსი; სელტიკი — აინვერნსი; ფალკირკი — პეტერჰიდი; არბროთი — მოზერუელი; ქუინ ოფ საუთი — ლივინგსტონი; კლაიდი — რაითი; სტრანრერი — ბერვიკი; კლაიდბანკი — სტირლინგი; ჰიბერნიანი — დანფერმლაინი; კილმარნოკი — უიტეჰილ უელფარი; გრინოკ მორტონი — ბრენჩინი; დანდი იუნაიტედი — ეირდრიონიანსი; დანდი — ეირი

*მატჩები გაიმართება 29 და 30 იანვარს*

### ამხანაგური მატჩი

**მექსიკა 3:1 რუმინეთი**

0:1 დანჩიულესკუ (4), 1:1 პაველ პარდო (20), 2:1 მარიო მენდესი (33), 3:1 აბუნდისი (47)

## ინგლისი

### თასის IV ეტაპი

გადათამაშება

**ლესტერი 0:0 (პენ. 6:5) არსენალი**
**ჩელსი 2:0 ნოტინგემი**

1:0 ლებეფი (57), 2:0 უაიზი (86)

ლონდონის „ჩელსი“ გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდა, მას შემდეგ, რაც შინ პირველდივიზიონელი „ნოტინგემ ფორესტი“ 2:0 დაამარცხა. ანგარიში მეორე ტაიმში გაიხსნა: 57-ე წუთზე ჯანფრანკო ძოლას მიერ ჩაწოდებლი სახიფათო საჯარიმო ფრანგმა მცველმა ფრანკ ლებეფმა გამოიყენა და თავური დარტყმით მასპინძლები დააწინაურა. მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე კი დენის უაიზმა თავის გუნდს ორბურთიანი უპირატესობა და მე-5 ეტაპის საგზური მოუპოვა.

ლონდონურ კლუბს ანგარიშის გახსნა გაცილებით ადრეც შეეძლო, მაგრამ ჯანფრანკო ძოლა და გუსტავო პოიეტი ხელსაყრელ მომენტებს ზედიზედ აფუჭებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ორი გოლი გაუშვა ბრწყინვალედ გაისარჯა „ნოტინგემის“ მეკარე დეივ ბესანტი, რომელიც ადრე სწორედ „ჩელსის“ რიგებში ირიცხებოდა, ხოლო როდესაც გოლკიპერი უძლური იყო, სტუმრებს კარის ძელი შველოდათ

მატჩში არ უთამაშია ლონდონელთა ახალწვეულ ჟორჟ ვეას. თუმც მასპინძლებმა ამოცანას უიმისოდაც მშვენივრად გაართვეს თავი. გათამაშების მეხუთე ეტაპზე მონაწილეობის უფლება ირგუნეს და როგორც შემდგომ წილისყრით გაირკვა, მომდევნო სტადიაზე „ლესტერს“ შეხვდებიან.

„ლესტერი“ — „არსენალის“ გადათამაშებული შეხვედრა კი, პირველის მსგავსად, ფრედ დასრულდა და გუნდებს დამატებითი ორი ტაიმის თამაში მოუხდათ. გამარჯვებული აქაც ვერ გამოვლინდა, რაც იმას ნიშანვდა, რომ მეტოქეებს პენალტების სერიაში უნდა ეცადათ ბედი. აქ უფრო იღბლიანები ლესტერელი ფეხბურთელები გამოდგნენ — 6:5.



ლესტერი — არსენალი 0:0. ლესტერელი ემილ ჰესკი მეთოფე პატრიკ ვიეირას გაურბის

მატჩს გმირიც ჰყავდა — გამარჯვებული გუნდის მეკარე პეგი არპექსადი; რომელიც მეორე დამატებითი ტაიმის საწყის წუთებში სრულიად შემთხვევით შევიდა მინდორზე. მან დაშავებული ტიმ ფლაუერსი შეცვალა. პენალტების სერიაში „ლანსის“ ყოფილმა გოლკიპერმა ჯერ „მეთოფე“ ლი დიქსონის დარტყმა მოიგერია, ხოლო შემდეგ ჟილ გრიმანდის არ გაატანინა, რითაც თავისი გუნდი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა. ჩვენ კი დაველოდოთ „ჩელსი“—„ლესტერის“ 30 იანვრის მატჩს.

#### მერვედფინალის წილისყრა

29 იანვარი

ჯილინგემი (II) — შეფილდ უენსდი; ევერტონი — პრესტონი (II); ქოვენთრი — ჩარლტონი (I); კემბრიჯი (II) — ბოლტონი (I); ფულემი (I) — ტრანმერი (I)

30 იანვარი

ასტონ ვილა — ლიდსი; ჩელსი — ლესტერი

31 იანვარი

ბლექბერნი (I) — ნიუკასლი

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისურ** „არსენალს“ ტურინის „იუვენტუსიდან“ ურუგვაელი ფორვარდის დანიელ ფონსეკას გადაბირება სურს. ლონდონური კლუბი თანახმაა, სამხრეთამერიკელში 3 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. თუ „არსენალმა“ ფონსეკა არ იყიდა, სეზონის ბოლომდე მაინც ითხოვს. „მეთოფეები“ იმედოვნებენ, რომ თავდამსხმელი უახლოეს ორ დღეში ლონდონში ჩავა და ორშაბათს გასამართ პრემიერლიგის მორიგ ტურში ითამაშებს. ამ დღეს „არსენალს“ მეტად პრინციპული მატჩი ელის — იგი „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუპირისპირდება.

**იტალიურმა „ბოლონიამ“ „ვენეციიდან“ ნახევარმცველი ალესანდრო დელ კანტო შეიძინა. ფეხბურთელმა ახალ კლუბთან კონტრაქტი 2003 წლის ივლისამდე გააფორმა. დღეს დელ კანტო ბოლონიას ეწვევა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის. „ბოლონიას“ ხელმძღვანელობამ ამ დღეებში ერთი არასასიამოვნო ამბავი შეიტყო. გუნდის მცველი მასიმო ტარანტინო სერია A-ს ბოლო ტურში, „ბარის“ წინააღმდეგ შეხვედრაში საკმაოდ მძიმედ დაშავდა და მინიმუმ ხუთი თვე ველარ ითამაშებს. გართულებების თავიდან ასაცილებლად კლუბმა ფეხბურთელი სასწრაფოდ საოპერაციოდ გაუშვა.**

**შოტლანდიური** გლაზგოს „სელტიკის“ ახალშენაძენს, რაფაელ შეიტს აპენდიციტმა შეუტია და ორი თვე ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ 23 წლის ბრაზილიელი მცველი „სელტიკმა“ ერთი თვის წინ ბრაზილიური „გრემიოდან“ იყიდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ჯონ ბარნსი მომავალ კვირას „კილმარნოკის“ წინააღმდეგ გასამართ შეხვედრაში ახალ ფეხბურთელს სასტარტო შემადგენლობაში დაყენებასაც უპირებდა, მაგრამ შეიტს ბედმა უმუხთლა. „ექიმებმა გვაცნობეს, რომ შეიტი ჰოსპიტალს უახლოეს დღეებში დატოვებს, ხოლო შემდეგ დაახლოებით რვა კვირას სარეაბილიტაციო პერიოდს გაივლის“ — განაცხადა მთავარმა მწვრთნელმა.

**ბელგიურ „გენტში“ მოასპარეზე ფორვარდმა სედრიკ რუსელმა ინგლისის პრემიერდივიზიონელ „ქოვენთრისთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბელგიის 21-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელის შეძენას ერთდროულად სამი ინგლისური გუნდი — „ტოტენჰემი“, „სანდერლენდი“ და „ლიდს იუნაიტედი“ ცდილობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, „ქოვენთრიმ“ „გენტს“ ყველაზე ხელსაყრელი წინადადება შესთავაზა. როგორც ბელგიური კლუბის პრესატაშემ საინფორმაციო საშუალებებს განუცხადა, ინგლისელებს ფორვარდის შეძენა 85 მილიონი ბელგიური ფრანკი (დაახლოებით 2,13 მილიონი დოლარი) დაუჯდათ. რუსელი უახლოეს მომავალში ეწვევა ინგლისს.**

**ბრაზილიელი** თავმდამსხმელი დენილსონი თავისი კლუბის, „რეალ ბეტისის“ პრეზიდენტს შეხვდა და მომავალ გეგმებზე ესაუბრა. გავრცელდა ხმები, თითქოს დენილსონს „ბეტისის“ რიგებში თამაში აღარ სურდა და გუნდის დატოვებას აპირებდა. ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ კი გაირკვა, რომ ბრაზილიელი ალბათ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე, ესე იგი 2004 წლამდე, კლუბში დარჩება. „შეხვედრამ გაცილებით მეტი ნაყოფი გამოიღო, ვიდრე ველოდით, დენილსონი კონტრაქტის ბოლომდე „ბეტისში“ ითამაშებს“ — აცხადებს ფეხბურთელის აგენტი ლუის ვიანა.

**იამაიკელმა ფორვარდმა რიკარდო ფულერმა თავისი ქვეყნის ჩემპიონის, „ტივოლის“ რიგები დატოვა და ინგლისის პირველდივიზიონელ „ჩარლტონ ატლეტიკში“ გადავიდა. ბრიტანელებმა 20 წლის ფორვარდში 1,65 მილიონი დოლარი გადაიხადეს. „ტივოლის“ პრეზიდენტმა ედვარდ სააგამ, რომელიც იმავდროულად იამაიკის პარლამენტის ოპოზიციური პარტიის ლიდერია, განაცხადა, რომ ახალი კონტრაქტით კმაყოფილია და მომავალში ევროპულ კლუბებთან ურთიერთობას გააღრმავებს. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნით ადრე ფულერი „ჩარლტონში“ შემოწმებაზე იმყოფებოდა და სარეზერვო გუნდში ორჯერ გამოიჩინა თავი, ახალგაზრდა ფეხბურთელმა ორჯერვე ჰეთ თრიქი შეასრულა.**

**ინგლისის** ნაკრები 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს, გერმანიის წინააღმდეგ მატჩით დაიწყებს, ხოლო უკანასკნელ შეხვედრას ინგლისელები 2001 წლის 6 ოქტომბერს შინ, ბერძნების წინააღმდეგ ჩაატარებენ. ეს გადაწყვეტილება მე-9 შესარჩევ ჯგუფში გაერთიანებული ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენლებმა ერთ-ერთ შეხვედრაზე მიიღეს.

# თურქეთი — საბერძნეთი 2008?

თურქეთმა და საბერძნეთმა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე თავიანთი კანდიდატურის წამოყენება გადაწყვიტეს.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გეორგე პაპანდრეუ თურქეთს ეწვია, სადაც ერთ-ერთ საკითხად სწორედ ამ თემას განიხილავს, თუმც იგი აცხადებს, რომ საბოლოო სიტყვა ამ ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებს ეკუთვნით. „ვიზიტის დროს ერთ-ერთ საკითხად 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის თემასაც შევეხეთ. იმედი მაქვს, თურქ კოლეგებთან ბევრ საინტერესო საკითხს შევათანხმებთ, მაგრამ ვთვლი, რომ საბოლოო სიტყვა მაინც ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებს ეკუთვნით“ — განაცხადა პაპანდრეუმ თავის თურქ კოლეგასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

ცნობილია, რომ თურქეთი და საბერძნეთი ტრადიციული დიპლომატიური მეტოქეები არიან, თუმც ბოლო ხანს ამ ორ ქვეყანაში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ ისინი საკმაოდ დააახლოვა. გარდა ამისა, მათ ერთმანეთის მიმართ ეკონომიკური ინტერესებიც გაუჩნდათ. უახლოეს მომავალში თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებასაც აპირებს, ხოლო საბერძნეთი ამ ორგანიზაციის საკმაოდ სტაჟიანი წევრია.

პარალელურად ორ ქვეყანაში ჩემპიონატის ერთდროულად ჩატარება ბოლო ხანს ჩვეულებად იქცა. მოგეხსენებათ, მომავალი ევროპის ჩემპიონატი ბელგია-ჰოლანდიაში გაიმართება, ხოლო 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლები კორეა-იაპონია არიან.

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილს ერთი პერიოდი ავსტრია-უნგრეთი გამოთქვამდა, მაგრამ უეფამ საბოლოო უპირატესობა პორტუგალიის კანდიდატურას მიანიჭა.

# გამოსათხოვარი

**საფეხბურთო** მსოფლიოს ბელგრადის სასტუმროში ტყვიადახლილი „ობილიჩის“ პრეზიდენტი არკანი მაინცდამაინც არ უგლოვია. ალბათ, იმიტომ, რომ იგი სინამდვილეში ჟელკო რაჟნიატოვიჩი გახლდათ, კაცი, რომელმაც სერბეთის ომის ბარონის სახელი დაიგდო და 1997 წელს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალმა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ სისასტიკეთა გამო სამხედრო დამნაშავედ გამოაცხადა. კერძოდ არკანს ბრალად 1991 წელს ხორვატებთან და 1992-95 წლებში ბოსნიასთან ომებში ხალხის ჟლეტა დაედო.

მას ინტერპოლიც ეძებდა. 1995 წელს, „ბათუმს“ თასების თასზე „ობილიჩი“ რომ შეხვდა, მისი პრეზიდენტი თურმე 70-80-იანებში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ბანკებს ძარცვავდა და ყველაფრისთვის ერთად რომ გაესამართლებინათ, 25 წელიწადს მიუსჯიდნენ.

არკანის ყველაფრისთვის გასამართლება ვერ მოხერხდა. მან მხოლოდ ერთი სასჯელი მოიხადა, შვედეთის სასამართლო დარბაზიდან კი სროლით გაიკაფა გზა თავისუფლებისკენ.

1990 წლიდან ანუ მას მერე, რაც ყოფილ იუგოსლავიაში ეთნიკური შუღლი და სისხლისღვრა ატყდა, არკანი „ცრვენა ზვეზდას“ გულშემატკივართა კლუბის თავმჯდომარედ მოგვევლინა. 1991-ში, როდესაც „ცრვენა ზვეზდა“ ზაგრებში „დინამოსთან“ (დღევანდელ „კროაციასთან“) სათამაშოდ ჩავიდა, სტადიონზე დიდი ჩხუბი ატყდა. „ცრვენა ზვეზდას“ გადარეული გულშემატკივრები „დინამოს“ ქომაგების სექტორში შეცვივდნენ. იმ დღეს დინამოელმა ნახევარმცველმა, მაშინ ახალგაზრდა ზვონიმირ ბობანმა სერბ პოლიციელს მუშტი დაარტყა, არკანი კი დაიჭირეს.



მაგრამ იგი ხორვატიაში დაბრუნდა. დაბრუნდა თავისი ბანდით, ნაძირლებით, რომლებსაც იარაღი ეჭირათ და სისხლი სწყუროდათ. „ცრვენა ზვეზდას“ კი ეს ამბავი არ აღელვებდა. კლუბის სტადიონს დღესაც ამშვენებს 1991 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდის ფოტო, რომლიდანაც სხვებთან ერთად არკანი შემოგვცქერის.

როდესაც „ცრვენა ზვეზდამ“ ტოკიოში ჩილეს „კოლო კოლოს“ მოუგო და საკონტინენტთაშორისო თასი დაისაკუთრა, ბელგრადში დიდი ზეიმი გაიმართა. ზეიმმა ნაციონალისტური სახე მიიღო და ჯილდო სტადიონს ირგვლივ რომ შემოატარეს, არკანმა მას ხელი დასტაცა და შინ წაიღო — ეს უკვე თავზეხელაღებული კაცის მოქმედება გახლდათ, რაც გასაკვირი არ იყო, რადგან არკანსა და მის რაზმს ხორვატულ სოფელ ნისეში წმენდა ახალდამთავრებული ჰქონდათ.

ბოსნიური კონფლიქტის შემდეგ იუგოსლავიის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა არკანი „ცრვენა ზვეზდას“ ჩამოაშორა. თუმცა, ფეხბურთისადმი სიყვარულმა თავისი გაიტანა და იგი ბელგრადის შედარებით უცნობი გუნდის, „ობილიჩის“ პრეზიდენტად ეკურთხა. თუმცა, უკაცრავად, ოფიციალურად ამ თანამდებობაზე არკანმა თავისი მეუღლე დასვა.

ვინ არის არკანის ქვრივი? იგი გახლავთ სერბეთის სექს-სიმბოლო სესა, მამაკაცთა ოცნების დედოფალი.

„ობილიჩი“ მეტეორივით აიჭრა იუგოსლავიის საფეხბურთო ცის კაბადონზე. 1998 წელს მან ჩემპიონის წოდება თვით „ცრვენა ზვეზდას“ წარსტაცა, თუმცა გულშემატკივრები ასე ამბობდნენ: „არკანის გუნდს გოლს თუ გაუტან, სტადიონიდან გასვლაზე ოცნებასაც დაემშვიდობე“. კიდევ (ეს უკვე „ობილიჩის“ ქომაგთა შეძახილი გახლდათ): „ჩვენ ფეხებს მოგამტვრევთ და სტადიონიდან ხელებით მოგიწევთ გასვლა“.

იმ წელიწადს მოდაში შემოვიდა „ობილიჩის“ მოწინააღმდეგე ფეხბურთელებისთვისა და მსაჯებისთვის ტრიბუნიდან თოფის დამიზნება.

„ეს ფეხბურთია და არა ომი. ჯობს ქვეყნიდან წავიდე“ — თქვა მაშინ „ცრვენა ზვეზდას“ ახალგაზრდა თავდამსხმელმა პერიცა ოგნიენოვიჩმა და მადრიდის „რეალს“ მიაშურა.

მილორად კოსანოვიჩი, „ცრვენა ზვეზდას“ მწვრთნელი: „სამ შეხვედრაში, „ობილიჩის“ წინააღმდეგ რომ გავმართეთ, იმაზე მეტი ჯარიმა ვნახე, მთელი 30 წლის განმავლობაში რომ მენახა“.

**მიხეილ სურგულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესეც აფრიკა, ესეც თასი

22 იანვარს აფრიკის თასის მორიგი გათამაშება დაიწყება. „სარბიელი" მასში მონაწილე გუნდებს წარმოგიდგენთ. ამასთანავე, ტურნირის ჩატარების სტრუქტურა, მისი ისტორია და მასპინძელ ქვეყანათა გაცნობაც არ უნდა იყოს ურიგო.

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის მიერ ორგანიზებული შეჯიბრი ორ წელიწადში ერთხელ იმართება. შესარჩევ ეტაპზე გუნდები შვიდ ქვეჯგუფად განაწილდნენ. ცამეტმა საუკეთესომ ფინალური ეტაპის საგზურები მოიპოვა. მათ მასპინძლები და მოქმედი ჩემპიონი დაემატნენ. მასპინძლობასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო რამ მოხდა. თავდაპირველად თასის გათამაშება ნიგერიასა და ზიმბაბვეში იყო დაგეგმილი (ორი ქვეყნის თანამასპინძლობის იდეას საქმეში პირველად აფრიკელები შეამოწმებენ). შემდეგ ზიმბაბვემ კონფედერაციის მოთხოვნების შესრულება ვერ შეძლო და ორგანიზატორებს მისი შეცვლა განათი მოუხდათ.

გასული წლის 28 აგვისტოს ნიგერიის ოდინდელ დედაქალაქ ლაგოსში ფინალურ ეტაპზე გასული გუნდების კენჭისყრა ჩატარდა — ისინი ოთხ ჯგუფში განაწილდნენ. ტურნირის სტრუქტურა ასეთია — პირველ ეტაპზე გუნდები ერთმანეთს თითოჯერ შეხვდებიან და ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასულები მეოთხედფინალებში გავლენ. შემდეგ შეჯიბრი ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება.

პირველი მატჩი, როგორც ვთქვით, 22 იანვარს ნიგერიის ქალაქ კანოში ჩატარდება. ერთმანეთს ეგვიპტის და ზამბიის ნაკრებები დაუპირისპირდებიან. ფინალს 13 თებერვალს ლაგოსი უმასპინძლებს.

დაბოლოს, ნიგერიელები და განელები ირწმუნებიან, შეჯიბრი უპრობლემოდ ჩაივლის და თანამასპინძლობის იდეა გაიმარჯვებსო. ამის დასადასტურებლად მათ პირდაპირ წილისყრის შემდეგ ამხანაგური მატჩიც გაუმართავთ, რომელიც ამხანაგურად — ფრედ დასრულდა.

**გიორგი დარჯანია**



აფრიკის თასის ახლანდელი მფლობელი — ეგვიპტე

## აფრიკის თასის ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1957 | სუდანი | ეგვიპტე 4:0 ეთიოპია |
| 1959 | ეგვიპტე | ეგვიპტე 2:1 სუდანი |
| 1962 | ეთიოპია | ეთიოპია 4:2 დ.დ.(2:2) ეგვიპტე |
| 1963 | განა | განა 3:0 სუდანი |
| 1965 | ტუნისი | განა 3:2 დ.დ. (2:2) ტუნისი |
| 1968 | ეთიოპია | კონგო-კინშასა 1:0 განა |
| 1970 | სუდანი | სუდანი 1:0 განა |
| 1972 | კამერუნი | კონგო 3:2 მალი |
| 1974 | ეგვიპტე | ზაირი 4:2 დ.დ. (2:2) ზამბია |
| 1976 | ეთიოპია | მაროკომ მოიგო ჯგუფური ტურნირი |
| 1978 | განა | განა 2:0 უგანდა |
| 1980 | ნიგერია | ნიგერია 3:0 ალჟირი |
| 1982 | ლიბია | განა 1:1 (პენ. 7:6) ლიბია |
| 1984 | კოტ დივუარი | კამერუნი 3:1 ნიგერია |
| 1986 | ეგვიპტე | ეგვიპტე 0:0 (პენ. 5:4) კამერუნი |
| 1988 | მაროკო | კამერუნი 1:0 ნიგერია |
| 1990 | ალჟირი | ალჟირი 1:0 ნიგერია |
| 1992 | სენეგალი | კოტ დივუარი 0:0 (პენ. 11:10) განა |
| 1994 | ტუნისი | ნიგერია 2:1 ზამბია |
| 1996 | სამხრეთ აფრიკა | სამხრეთ აფრიკა 2:0 ტუნისი |
| 1998 | ბურკინა ფასო | ეგვიპტე 2:0 სამხრეთ აფრიკა |

## აფრიკის თასის ბომბარდირები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1957 | სუდანი | ად ელ დიბა | ეგვიპტე | 5 |
| 1959 | ეგვიპტე | მაჰმუდ ალ გოჰარი | ეგვიპტე | 3 |
| 1962 | ეთიოპია | მოჰამედ ალ ბადავი | ეგვიპტე | 3 |
| | | ვორკუ მენგისტუ | ეთიოპია | 3 |
| 1963 | განა | აჰმედ ალ ჩაზლი | ეგვიპტე | 6 |
| 1965 | ტუნისი | აბრი ოსეი კოფი | განა | 3 |
| | | ოსტიჩ მანგლი | კოტ დივუარი | 3 |
| 1968 | ეთიოპია | ლორან პოკუ | კოტ დივუარი | 6 |
| 1970 | სუდანი | ლორან პოკუ | კოტ დივუარი | 8 |
| 1972 | კამერუნი | სალიფ კეიტა | მალი | 5 |
| 1974 | ეგვიპტე | მულამბა ნდაიე | ზაირი | 9 |
| 1976 | ეთიოპია | უილიამ ნჯო ლეა | გვინეა | 4 |
| 1978 | განა | ფილიპ ომონდი | უგანდა | 4 |
| 1980 | ნიგერია | სეგუნ ოდეგბამი | ნიგერია | 3 |
| 1982 | ლიბია | ჯორჯ ალ ჰასანი | განა | 4 |
| 1984 | კოტ დივუარი | ტაჰერ აბუ ზეიდი | ეგვიპტე | 4 |
| 1986 | ეგვიპტე | როჟე მილა | კამერუნი | 4 |
| | | აბდულა ტრაორე | კოტ დივუარი | 4 |
| 1988 | მაროკო | ლაკდარ ბელუმი | ალჟირი | 4 |
| | | როჟე მილა | კამერუნი | 4 |
| | | ჟამალ აბდელჰამი | ეგვიპტე | 4 |
| | | აბდულა ტრაორე | კოტ დივუარი | 4 |
| 1990 | ალჟირი | ჟამელ მენადი | ალჟირი | 4 |
| 1992 | სენეგალი | რაშიდ იეკინი | ნიგერია | 4 |
| 1994 | ტუნისი | რაშიდ იეკინი | ნიგერია | 4 |
| 1996 | სამხრეთ აფრიკა | კალუშა ბვალია | ზამბია | 5 |
| 1998 | ბურკინა ფასო | ჰოსამ ჰასანი | ეგვიპტე | 7 |
| | | ბენი მაკკარტი | სამხრეთ აფრიკა | 7 |






## განა



განის პრეზიდენტი
ჯერი ჯონ რავლინგსი

ადგილმდებარეობა: დასავლეთ აფრიკა, ესაზღვრება გვინეას, კოტ დივუარს და ტოგოს
ფართობი: 238.540 კვ.კმ
კლიმატი: ტროპიკული: ცხელი და მშრალი სამხრეთ აღმოსავლეთში, ტენიანი სამხრეთ დასავლეთში, მშრალი ჩრდილოეთით
მდებარეობა ზღვის დონიდან: უმდაბლესი წერტილი ატლანტიკის ოკეანე 0 მ. უმაღლესი წერტილი აფაჯატოს მთა 880 მ.
მოქალაქეობა: განელი
ენები: ინგლისური (ოფიციალური), აკანი, მოში-დაგომბა, ევე, გა.
რელიგიები: ადგილობრივი რელიგიის მიმდევრები 38%, მუსლიმები 30%, ქრისტიანები 24%, სხვა 8%
ეთნიკური ჯგუფები: შავკანიანები 99.8%, ევროპელები 0.2%
მოსახლეობის ზრდა: 2.13%
შობადობა: 32.81/1000 კაცზე
სიკვდილიანობა: 10.63/1000 კაცზე
სიცოცხლის ხანგრძლივობა: მამაკაცები 54 წელი, ქალები 58 წელი
უმაღლესი თანამდებობის პირი: პრეზიდენტი ჯერი ჯონ რავლინგსი (1993 წლიდან)
ქვეყნის სრული სახელი: განას რესპუბლიკა
წყობილება: კონსტიტუციური დემოკრატია
დედაქალაქი: აკრა
დამოუკიდებლობა: 1957 წლის 6 მარტიდან (იყო ბრიტანეთის კოლონია)
რესურსები: ოქრო, ხე-ტყე, ალმასი, ბოქსიტები, მანგანუმი, კაუჩუკი
დასაქმებულთა რაოდენობა: 3.7 მილიონი ადამიანი
უმუშევრობის დონე: 20%
ინფლაცია: 27.7%
ერთიანი ეროვნული პროდუქცია: 36.2 მილიარდი დოლარი
ქვეყნის ბიუჯეტი: 1.5 მილიარდი დოლარი
საგარეო ვალი: 5.2 მილიარდი დოლარი
ექსპორტი: 1.6 მილიარდი დოლარი (ოქრო, კაკაო, ხე-ტყე, ბოქსიტები, ალუმინი, მანგანუმი, ალმასი)
იმპორტი: 1.7 მილიარდი დოლარი (ნავთობი, ფართო მოხმარების საქონელი, საკვები პროდუქტები)

## ნიგერია



ნიგერიის პრეზიდენტი
ოლუსეგუნ ობასანჯო






ადგილმდებარეობა: დასავლეთ აფრიკა, ესაზღვრება გვინეას, ბენინს და კამერუნს
ფართობი: 923.770 კვ.კმ
კლიმატი: ეკვატორული სამხრეთში, ტროპიკული ცენტრალურ რაიონებში, მშრალი ჩრდილოეთით
მდებარეობა ზღვის დონიდან: უმდაბლესი წერტილი ატლანტიკის ოკეანე 0 მ. უმაღლესი წერტილი ჩაპალ ვადი 2419 მ.
მოქალაქეობა: ნიგერიელი
ენები: ინგლისური (ოფიციალური), იგბო, ჰაუსა, იობურა.
რელიგიები: მუსლიმები 45%, ქრისტიანები 45%, ადგილობრივი რელიგიის მიმდევრები 10%
ეთნიკური ჯგუფები: იბო, ჰაუსა, ფულანი, იორბა, იჯაუ, კანური, იბიბიო
მოსახლეობის ზრდა: 2.96%
შობადობა: 42.24/1000 კაცზე
სიკვდილიანობა: 12.95/1000 კაცზე
სიცოცხლის ხანგრძლივობა: მამაკაცები 52 წელი, ქალები 54 წელი
უმაღლესი თანამდებობის პირი: პრეზიდენტი ოლუსეგუნ ობასანჯო
ქვეყნის სრული სახელი: ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა
წყობილება: კონსტიტუციური დემოკრატია
დედაქალაქი: აბუჯა (1991 წელს დედაქალაქი გადაიტანეს ლაგოსიდან)
დამოუკიდებლობა: 1960 წლის 1 ოქტომბრიდან (იყო ბრიტანეთის კოლონია)
რესურსები: ნავთობი, კალა, რკინა, გაზი, ქვანახშირი, ტყვია
დასაქმებულთა რაოდენობა: 42.8 მილიონი ადამიანი
უმუშევრობის დონე: 28%
ინფლაცია: 12%
ერთიანი ეროვნული პროდუქცია: 132.7 მილიარდი დოლარი
ქვეყნის ბიუჯეტი: 13.9 მილიარდი დოლარი
საგარეო ვალი: 34 მილიარდი დოლარი
ექსპორტი: 15 მილიარდი დოლარი (ნავთობი და ნავთობ პროდუქტები, კაკაო, კაუჩუკი)
იმპორტი: 8 მილიარდი დოლარი (საინჟინრო მანქანები, ქიმიკატები, საკვები პროდუქტები)



GhanaNigeria2000

# აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი



A და B ჯგუფის გუნდები განაში დავტოვოთ და ნიგერიაში გადავინაცვლოთ. ჩვენი ყურადღება ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ კანოსკენარის მიმართული. აფრიკის თასის გათამაშება სწორედ ამ ქალაქში დაიწყება. თუმცა იქაურ ხელისუფალთ სხვა რამ უფრო აწუხებთ. ბოლო დღეებში კანოში ქოლერით 115 ადამიანი დაავადდა, ცხრა მათგანი უკვე გარდაიცვალა. მთავრობა C-ჯგუფელებს ამშვიდებს, არაფერი გემუქრებათო. ისინი კი მაინც ღელავენ. ჯგუფის შემადგენლობა კი ასეთია:

## C ჯგუფი ბურკინა ფასო, ეგვიპტე, სენეგალი, ზამბია

### ბურკინა ფასო

აფრიკის თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე 16 გუნდი მოხვდა. თითოეულ მათგანს მეტ-ნაკლები ამბიციები გააჩნია. ბურკინა ფასო გამონაკლისია. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ონორე ტრაორეს უთქვამს, ფინალურ ეტაპზე გასვლითაც კმაყოფილები ვართო.

წინა ჩემპიონატზე, სადაც ბურკინაფასოელები მასპინძლები იყვნენ, მათ ნახევარფინალამდე გააღწიეს. შემდეგ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან ბრინჯაოსთვის მატჩი წააგეს და მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

ახლა ორი წლის წინანდელი შემადგენლობიდან სულ რამდენიმე კაცია დარჩენილი. ნაკრები მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავდა. ბურკინაფასოელი „ულაყები" მწვრთნელებსაც მალიმალ იცვლიან და უცხოელთა მიწვევას ამჯობინებენ. თასის წინა გათამაშებაზე ნაკრებს ფრანგმა ფილიპ ტრუსიემ უხელმძღვანელა. წლევანდელი ციკლი „ულაყებმა" მის თვისტომ დიდიე ნოტოსთან ერთად დაიწყეს. ნოტომ გუნდი ფინალურ ეტაპზე გაიყვანა, მაგრამ ივლისში რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა წააგო და გადააყენეს. ნაკრები ბელგიელმა რენე ტელმანმა ჩაიბარა. ბელგიელს აქამდე კონგოს, მაროკოს, კოტ დივუარის და ქუვეითის კლუბებში უმუშავია. ნაკრები პირველად ანდეს.

ტელმანს დიდი არჩევანი არ აქვს. ნაკრები უმეტესწილად ადგილობრივ გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.

ბურკინაფასოელებს მიზნად 2002 წლის აფრიკის თასის გათამაშებისთვის, მალიში რომ ჩატარდება, კარგად მომზადება დაუსახავთ. ამიტომაც უხმეს ახალგაზრდა მოთამაშეებს, რომლებიც პრესტიჟულ ტურნირში თამაშით დიდ გამოცდილებას შეიძენენ.

### ეგვიპტე

ზემოთ ვთქვით, აფრიკის თასის გათამაშება ნიგერიულ ქალაქ კანოში დაიწყებაო. კანოელები ამ პატივს ეგვიპტელებს უნდა უმადლოდნენ. წესია, ტურნირის პირველ მატჩში მონაწილე ერთ-ერთი გუნდი მოქმედი ჩემპიონი უნდა იყოს. წლეულს ასეთი ეგვიპტეა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ნოემბერში ახალი მწვრთნელი მიიწვია. ფრანგი ჟერარ ჟილი, ვისაც მარსელის „ოლიმპიკშიც" უმუშავია, ოპტიმისტურად არის განწყობილი. ის თასის მოგებას გეგმავს და აცხადებს: „აფრიკის თასზე თამაშს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ, სადაც აუცილებლად უნდა ვიასპარეზოთ. ნაკრებში ძალიან კარგი ფეხბურთელები მყავს, რაც მუშაობას მიადვილებს. ეგვიპტის ნაკრებს დიდი პოტენციალი გააჩნია".

მწვრთნელი მართალია. ეგვიპტე, როგორც თასის მფლობელი, შესარჩევი ეტაპიდან განთავისუფლებული იყო და ჟილის მოთამაშეთა საქმეში სრულყოფილად შემოწმების საშუალება არ ჰქონდა. ჟილიმ აქამდე მხოლოდ სამი ამხანაგური მატჩის გამართვა მოასწრო. ეგვიპტელებმა ტოგოს და გაბონს სძლიეს, გასულ უქმეებზე კი კოტ დივუართან დამარცხდნენ. ჟილი C ჯგუფში თავმოყრილ დანარჩენ გუნდებზე ვერაფერს ამბობს. მათი რამდენიმე თამაში კი ვნახე, მაგრამ ვეჭვობ, თავიანთი შესაძლებლობები ბოლომდე ეჩვენებინათო, თვლის ფრანგი.

საერთოდ, ეგვიპტეში ფეხბურთს დიდ ყურადღებას უთმობენ. გასულ აგვისტოში, მექსიკაში, კონფედერაციათა თასზე ეგვიპტელთა სამარცხვინო წაგებას (საუდის არაბეთმა მათ 5:1 მოუგო) ქვეყნის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქიც გამოეხმაურა და ნაკრების თამაში გააკრიტიკა. ეგვიპტელთა იმ მარცხმა ლეგენდარული მწვრთნელი მაჰმუდ ალგოჰარი შეიწირა.

ეგვიპტის დღევანდელ ნაკრებში ორ ფეხბურთელს გამოარჩევენ — გერმანიაში გადაბარგებულ ლიბერო ჰანი რამზის და ჰოსამ ჰასანს. ამ უკანასკნელს ნაკრების მაისურა 140-ჯერ მოურგია.

ეგვიპტელებს აფრიკის თასი ოთხჯერ მოუგიათ. ხვალიდან ისინი მეხუთე ჯილდოსთვის ბრძოლას დაიწყებენ.

### სენეგალი

სენეგალელებმა აფრიკის თასის წინა ორი ფინალური ეტაპი გამოტოვეს, ახლა დაბრუნდნენ და წარმატების მიღწევის იმედიც აქვთ.

ნაკრებს სათავეში 59 წლის გერმანელი სპეციალისტი პეტერ შნიტგერი უდგას. აფრიკელები მას კარგად იცნობენ. 32 წელია, რაც გერმანელი ერთი აფრიკული ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობს და იქაურ გუნდებს წვრთნის. შნიტგერის სურვილს, სენეგალს თავის ისტორიაში პირველდ თასი მოაგებინოს, პირველი წინაღობა უკვე შეხვდა — ეგვიპტის და ზამბიის ბარიერის დაძლევა იოლი არ არის. ამიტომაც მწვრთნელს უთქვამს: „პირველი მატჩი ბურკინა ფასოსთან უცილობლად უნდა მოვიგოთ. სხვაგვარად ჯგუფიდან გასვლა გაგვიჭირდება".

შნიტგერი, ვისაც ხუმრობით „თეთრ აფრიკელსაც" უწოდებენ, ნაკრებს 1998 წლიდან ხელმძღვანელობს. მან ამ პოსტზე ამსატა ფალი შეცვალა. ფალისეულმა ნაკრებმა ორი წლის წინ ბურუნდის დამარცხება ვერ შეძლო და მწვრთნელის გათავისუფლების მიზეზიც ეს გახდა. პეტერ აფრიკელი სენეგალურ ფეხბურთს კარგად იცნობს. მწვრთნელად დანიშვნამდე სამი წლის განმავლობაში ის ქვეყნის ფეხბურთის განვითარების პროგრამას კურირებდა. ფინალურ ეტაპზე გაღწევა კი ნაკრებს მეტად გაუჭირდა. ამისთვის სენეგალელებს ზიმბაბვესთან და ერითრიასთან პლეი ოფის გამართვაც მოუხდათ.

ოპონენტები შნიტგერს პრეტენზიას უყენებენ, დაცვას მეტისმეტად დიდ ყურადღებას უთმობს, რითაც შეტევის ხაზი ზარალდებაო. ამ ბრალდებას პეტერ აფრიკელი ასე პასუხობს: „თავდასხმაში ჩინებული ფეხბურთელები მყავს. მათთვის გოლის გატანა პრობლემას არ წარმოადგენს. აი, დაცვას სწორედ რომ გაძლიერება სჭირდება". შნიტგერი მეგოლეებში პეპ სარს და კალილუ ფადიგას გულისხმობს. სარი ფრანგულ „სენტ ეტიენში" თამაშობს, ფადიგა კი ბრიუგელია. თუმცა უკანასკნელს არაპატრიოტიზმს აბრალებენ. საქმე ისაა, რომ ფადიგა კარგა ხნის მანძილზე ამაოდ ცდილობდა ბელგიის მოქალაქეობის მიღებას. იმედი რომ გადაეწურა, უთამაშებლობას ისევ სამშობლოს ღირსების დაცვა ამჯობინა.

### ზამბია

ზამბიელებს არ უმართლებთ. ბოლო ათ წელიწადში ისინი ორჯერ გავიდნენ აფრიკის თასის ნახევარფინალში, 1994-ში ფინალსაც მიაღწიეს, მაგრამ სამჯერვე დამარცხდნენ, ორი წლის წინ კი საერთოდ გათამაშების მიღმა დარჩნენ. რაც იყო, იყო — ამბობენ ზამბიელები — წლეულს აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთო.

ამ აზრს იზიარებს ნაკრების ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი, 36 წლის ნახევარმცველი კალუშა ბვალია. ბვალია მექსიკურ „ვერა კრუზში" თამაშობს და სამშობლოში დაბრუნებულმა ლუსაკას აეროპორტშივე გააკეთა განცხადება. მან თქვა: „აფრიკის თასის ფინალურ ეტაპებზე ხუთჯერ მითამაშია. ვფიქრობ, მეექვსე გამოსვლა წინამორბედებზე წარმატებული იქნება. ნაკრებში ვეტერანი ფეხბურთელები და ახალგაზრდები გვერდიგვერდ ვთამაშობთ, რაც ჩემს უმცროს მეგობრებს უფრო მეტ გამოცდილებას შესძენს".

ცოტაოდენი ხნის წინ ზამბიელებმა რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართეს. 1:7 ჰონდურასთან, 3:4 და 2:2 ზიმბაბვეს ახალგაზრდულ ნაკრებთან — მეტი მათ ვერ შეძლეს. ჰონდურასთან მატჩზე და ზამბიელთა ამერიკულ ტურნეზე ცალკე უნდა ითქვას. „სარბიელი" უკვე წერდა და მოკლედ შეგახსენებთ. აფრიკის თასის გათამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად ზამბიელები შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ. მაიამიში დაბანაკებულთ ცენტრალური ამერიკის და კარიბეთის ზღვის აუზის ქვეყნებში სპარინგ-პარტნიორების მოძებნა სურდათ. მათ სურვილს პირველად კაიმარის კუნძულებიდან გამოეხმაურნენ, ჩამოდით და ვითამაშოთო. ზამბიელებმა იუარეს, თქვენისთანა უსახელო გუნდს თავს ვერ გავუყადრებთო და ჰონდურასს ესტუმრნენ. ის შეხვედრა როგორც დასრულდა, ზემოთ მოგახსენეთ. შემდეგ იყო შიმშილი და სირცხვილი. მაიამიში დაბრუნებულმა ფეხბურთელებმა აღმოაჩინეს, რომ ფეხბურთის ფედერაციას მათთვის საკმარისი თანხა არ გაუტანებია. აფრიკელები სასტუმროდან გამოყარეს და ძლივს შეკოწიწებული უკანასკნელი დოლარებით სამშობლოში რის ვაი-ვაგლახით დაბრუნდნენ. ბვალია, აფრიკის ოდინდელი საუკეთესო ფეხბურთელი და მისი მეგობრები კი იხტიბარს მაინც არ იტეხენ.

ზამბიელთა, „ჩიპოლოჩიპოლოს" (როგორც ნაკრებს უწოდებენ და ქართულად „ტყვიებს" ნიშნავს) მწვრთნელი ბენ ბამფუჩილი შეგირდთა წინასათასო განწყობას იზიარებს. მან თქვა: „სასტარტო პირობები არასახარბიელო გვაქვს. ბევრი აუტსაიდერადაც გვთვლის. ეს მცდარი აზრია და ამას დავამტკიცებთ. დღეს პროგნოზებს აკეთებენ, თუ ვინ გახდება ჩემპიონი. არ გამოვრიცხავ, რომ ეს გუნდი ზამბია იყოს".

**გიორგი დარჯანია**

### ბურკინა ფასო

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1964 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (3): 1994, 96, 98; ჩემპიონი: არ ყოფილა; ფინალისტი: არ ყოფილა; სულ ფინალურ ეტაპზე: 12 თამაში, 2 მოგება, 2 ფრე, 8 წაგება, 13:27 ბურთები

| | | | |
|---|---|---|---|
| **მეკარეები:** | | | |
| 1. | მეთიუ ტრაორე | 27 | USFA |
| 16. | იუსფუ სავადოგო | 24 | RC კადიოგო |
| 22. | აბდულაე ტრაორე სულამა | 25 | ASF ბობო-დიულასო |
| **მცველები:** | | | |
| 3. | ბრაჰიმა კისე | 23 | USFA |
| 4. | ისა სანოგო | 28 | USFA იენეგა |
| 5. | მადუ დოსამა | 27 | ეტოილ ფილანტე |
| 6. | ბრაჰიმა კორბეოგო | 24 | USFA |
| 8. | მამადუ კონე | 25 | ეტოილ ფილანტე |
| 13. | ჟან-მიშელ გრონკა ლიადე | 19 | USFA იენეგა |
| 15. | უსმან ტრაორე | 22 | USFA იენეგა |
| **ნახევარმცველები:** | | | |
| 7. | ისმაელ კუდუ | 24 | USFA იენეგა |
| 12. | ბრაჰიმა ტრაორე | 25 | ალ დაიდი, საუდეთი |
| 17. | ამადუ ტიდიან ტალი | 24 | ეტოილ ფილანტე |
| 18. | რაჰიმ უედრაოგო | 19 | ტვენტე, ჰოლანდია |
| 20. | მამადუ კერე | 18 | შარლერუა, ბელგია |
| **თავდამსხმელები:** | | | |
| 2. | სეიდუ ტრაორე | 29 | ალ აინი, ემირატები |
| 9. | ალასან უედრაოგო | 19 | შარლერუა, ბელგია |
| 10. | მამადუ ზონგო | 19 | ვიტესი, ჰოლანდია |
| 11. | უსმან სანუ | 21 | ტილბურგი, ჰოლანდია |
| 14. | მუმუნი დაგანო | 19 | ეტოილ ფილანტე |
| 19. | უმარ ბარო | 25 | ბრონდბიუ, დანია |
| 21. | აბრაამ ლოლიგა | 17 | USFA იენეგა |

*მწვრთნელი: რენე ტაელმანი*

### სენეგალი

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1962 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (6): 1965, 68, 86, 90, 92, 94; ჩემპიონი: არ ყოფილა; ფინალისტი: არ ყოფილა; სულ ფინალურ ეტაპზე: 20 თამაში, 7 მოგება, 4 ფრე, 9 წაგება, 22:17 ბურთები

| | | | |
|---|---|---|---|
| **მეკარეები:** | | | |
| 1. | ომარ დიალო | 27 | OC ხურიგბა, მაროკო |
| 18. | უსეინუ ნდიური | 28 | FUS რაბატი, მაროკო |
| 22. | დაუდა ლი | 27 | ASC ნდიამბური |
| **მცველები:** | | | |
| 2. | ომარ დაფი | 22 | სოშო, საფრანგეთი |
| 4. | პეპ მალიკ დიოპი | 25 | სტრასბური, საფრანგეთი |
| 5. | პეპ ამადუ ნდიაე | 25 | ASC ნდიამბური |
| 9. | ასან ნდიაე | 25 | ჟანა დარკი |
| 13. | უსმან დიოპი | 24 | ქსანტი, საბერძნეთი |
| 16. | შეიხ სიდი ბა | 31 | ლინცერი, ავსტრია |
| **ნახევარმცველები:** | | | |
| 3. | უმარ ტრაორე | 23 | უგუნდოდ |
| 6. | პეპ დაუდა სენე | 23 | CA ბიზერტი, ტუნისი |
| 8. | მბაი ბაჯი | 23 | სპორტინგ სალე, მაროკო |
| 12. | იბრაჰიმ მამე ტურე | 28 | ASC ნდიამბური |
| 15. | პეპ ნიოხორ ფალი | 22 | ჟანა დარკი |
| 17. | პეპ ბრაჰიმ სარი | 22 | სენტ ეტიენი, საფრანგეთი |
| 19. | მამადუ სილა | 24 | AS დუანსი |
| **თავდამსხმელები:** | | | |
| 7. | ანრი კამარა | 22 | ქსამაქსი, შვეიცარია |
| 10. | კალილუ ფადიგა | 25 | ბრიუგე, ბელგია |
| 11. | სალიფ კეიტა | 24 | ჰანოვერ 96, გერმანია |
| 20. | ფარი ფაიე | 25 | ბეირა მარი, პორტუგალია |
| 21. | აბდულა მბაიე | 26 | კლუბ აფრიკანი, ტუნისი |

*მწვრთნელი: პეტერ შნიტგერი*

### ეგვიპტე

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1957 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (16): 1957, 59, 62, 63, 70, 74, 76, 80, 84, 86, 88, 90, 92, 94, 96, 98; ჩემპიონი (4): 1957, 59, 86, 98; ფინალისტი (1): 1962; სულ ფინალურ ეტაპზე: 61 თამაში, 30 მოგება, 11 ფრე, 20 წაგება, 99:65 ბურთები

| | | | |
|---|---|---|---|
| **მეკარეები:** | | | |
| 1. | ნადერ ელ საიედი | 27 | ბრიუგე, ბელგია |
| 16. | ესამ ალ ჰადარი | 27 | ალ აჰლი |
| 22. | აბდელაუდ ელ საიედი | 22 | ზამალექი |
| **მცველები:** | | | |
| 2. | იბრაჰიმ ჰასანი | 33 | ალ აჰლი |
| 3. | მოჰამედ ომარა | 25 | ჰანზა, გერმანია |
| 4. | ჰანი რამზი | 30 | კაიზერსლაუტერნი, გერმანია |
| 5. | აბდელზაჰერ ელ საკა | 25 | დენიზლისფორი, თურქეთი |
| 7. | მოჰამედ იუსუფი | 29 | დენიზლისფორი, თურქეთი |
| 8. | იასერ რადვანი | 27 | ჰანზა, გერმანია |
| 15. | იბრაჰიმ საიდი | 20 | ალ აჰლი |
| **ნახევარმცველები:** | | | |
| 6. | საიდ აბდელჰაფიზი | 22 | ალ აჰლი |
| 13. | ალი აბდელჰალიმი | 26 | ზამალექი |
| 17. | აჰმედ ჰასანი | 24 | ქოჯაელისფორი, თურქეთი |
| 20. | ჰადი ხაშაბა | 27 | ალ აჰლი |
| 21. | აიმან აბდელაზიზი | 21 | ზამალექი |
| **თავდამსხმელები:** | | | |
| 9. | ჰოსამ ჰასანი | 33 | ალ აჰლი |
| 10. | აბდესატარ საბრი | 29 | ბენფიკა, პორტუგალია |
| 11. | ტარეკ საიდი | 21 | ზამალექი |
| 12. | ჰოსამ აბდელმონემი | 24 | ქოჯაელისფორი, თურქეთი |
| 14. | ჰაზემ იმამი | 24 | გრააფსხაპი, ჰოლანდია |
| 18. | მოჰამედ ფარუკი | 21 | ალ აჰლი |
| 19. | აჰმედ სალაჰ ჰოსნი | 20 | შტუტგარტი, გერმანია |

*მწვრთნელი: ჟერარ ჟილი*

### ზამბია

აფრიკის კონფედერაციის წევრი: 1964 წლიდან; აფრიკის თასზე მონაწილეობდა (6): 1965, 68, 86, 90, 92, 94; ჩემპიონი: არ ყოფილა; ფინალისტი (2): 1974, 94; სულ ფინალურ ეტაპზე: 39 თამაში, 18 მოგება, 7 ფრე, 14 წაგება, 51:36 ბურთები

| | | | |
|---|---|---|---|
| **მეკარეები:** | | | |
| 1. | დევის პირი | 23 | კაბუვე უორიორზი |
| 16. | ემანუელ მსჩილი | 21 | ნკანა FC |
| 22. | კენი მუვილა | 27 | პაუერ დინამოსი |
| **მცველები:** | | | |
| 2. | ლაუტერ ჩილემბი | 24 | ნჩანგა რეინჯერსი |
| 3. | ელია ლიტანა | 29 | ალ ჰილალი, საუდეთი |
| 4. | მოსეს სიჩონე | 22 | კიოლნი, გერმანია |
| 5. | ელია ტანა | 24 | ნჩანგა რეინჯერსი |
| 6. | ჩინტუ კამპამბა | 19 | კაბუვე უორიორზი |
| 7. | ჰილარი მაკასა | 25 | აიაქს კეიპ თაუნი, ს. აფრიკა |
| 8. | მანას მვანზა | 21 | პაუერ დინამოსი |
| 20. | ჯონს მვევა | 26 | პაუერ დინამოსი |
| **ნახევარმცველები:** | | | |
| 11. | კალუშა ბვალია | 36 | ვერა კრუზი, მექსიკა |
| 12. | ანდრეუ ტემბო | 28 | ოდენსე, დანია |
| 13. | ნუმბა მუმამბა | 21 | კონკოლა ბალდესი |
| 14. | პერი მუტაპა | 20 | ფარენსე, პორტუგალია |
| 15. | როტსონ კილამბე | 21 | პაუერ დინამოსი |
| 17. | ანდრეუ სინკალა | 20 | ბაიერნი, გერმანია |
| 18. | მუვაპე მიტი | 26 | ოდენსე, დანია |
| 19. | არტურ ლუნგუ | 23 | ზამსური |
| **თავდამსხმელები:** | | | |
| 9. | მასაუსო ტემბო | 23 | ალ ორუბა, საუდეთი |
| 10. | დენის ლოტა | 26 | ორლანდო პაირატსი, ს. აფრიკა |
| 21. | ბერნარდ მაკუფი | 21 | შალ ჰასლეოლმი, შვედეთი |

*მწვრთნელი: ბენ ბამფუჩილი*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა. 23-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 024 | ასტონ ვილა-ჩელსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 025 | ბრედფორდი-უოტფორდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 026 | დერბი-ქოვენტრი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 027 | ლესტერი-ვესტ ჰემი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 028 | ლივერპული-მიდლსბრო | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 029 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 030 | ტოტენჰემი-უენსდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 031 | უიმბლდონი-ნიუკასლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 23 იანვარი | | | |
| 032 | სანდერლენდი-ლიდსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 24 იანვარი | | | |
| 033 | მანჩესტერი-არსენალი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

ინგლისი. I დივიზიონი. 28-ე ტური

21 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 034 | სუინდონი-კრისტალ პალასი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 22 იანვარი | | | |
| 035 | ბარნსლი-ბლექბერნი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 036 | ბოლტონი-იფსვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 037 | ქრიუ-უოლსოლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 038 | ფულემი-გრიმსბი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 039 | ჰადერსფილდი-ტრანმერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 040 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 041 | ნოტინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 042 | პორტ ვეილი-ბირმინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 043 | შეფილდი-მანჩესტერ სიტი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 044 | სტოკპორტი-პორტსმუთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 045 | ვულვერჰემპტონი-ქუინზ პარკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ინგლისი. II დივიზიონი. 28-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 046 | ბრენტფორდი-ბერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 047 | ბრისტოლი-უიგანი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 048 | ბარნლი-ოლდემი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 049 | კემბრიჯი-ჩესტერფილდი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 050 | კოლჩესტერი-ბორნმუთი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 051 | ჯილინგემი-ბლეკპული | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 052 | ლუტონი-რედინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 053 | მილუოლი-სტოკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 054 | ოქსფორდი-როვერსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 055 | პრესტონი-უიკომბი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 056 | სკანთორპი-ნოტსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 057 | რექსემი-კარდიფი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

ინგლისი. III დივიზიონი. 28-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 058 | ბარნეტი-ლინკოლნი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 059 | დარლინგტონი-შრიუსბერი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 060 | ჰარტლპული-კარლაისლი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 061 | ჰალი-ჩელტენემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 062 | ლეიტონი-პიტერბრო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 063 | მენსფილდი-საუთენდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 064 | ნორთჰემპტონი-ჩესტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 065 | პლიმუთი-ჰალიფაქსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 066 | როჩდეილი-იორკი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 067 | როტერჰემი-ექსეტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 068 | სუონსი-მაკლსფილდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 069 | ტორკი-ბრაიტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

იტალია. სერია "ა". მე-18 ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 070 | რომა-პიაჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 071 | კალიარი-ლაციო | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 23 იანვარი | | | |
| 072 | ბარი-ფიორენტინა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 073 | მილანი-ლეჩე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 074 | რეჯინა-იუვენტუსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 075 | ტორინო-ბოლონია | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 076 | უდინეზე-ვენეცია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 077 | ვერონა-ინტერი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 078 | პარმა-პერუჯა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

იტალია. სერია "ბ". მე-20 ტური

21 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 079 | პესკარა-ჩეზენა | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| | 23 იანვარი | | | |
| 080 | ატალანტა-კოზენცა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 081 | ფერმანა-ემპოლი | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 082 | მონცა-ალძანო | 2,0 | 2,4 | 4,2 |
| 083 | რავენა-ნაპოლი | 2,4 | 2,5 | 3,0 |
| 084 | სალერნიტანა-კიევო | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 085 | სამპდორია-პისტოიეზე | 1,35 | 3,5 | 9,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 086 | სავოია-ბრეშა | 3,3 | 2,6 | 2,2 |
| 087 | ვიჩენცა-ტრევიზო | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 24 იანვარი | | | |
| 088 | ტერნანა-ჯენოა | 2,0 | 2,6 | 3,8 |

იტალია. სერია "ც1/ა". მე-20 ტური

23 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 089 | ალბინოლეფე-ლივორნო ($17^{30}$) | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 090 | ბრეშელო-ჩიტადელა ($17^{30}$) | 3,2 | 2,5 | 2,3 |
| 091 | კრემონეზე-მონტევარკი ($17^{30}$) | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 092 | ლეკო-კარარეზე ($17^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 093 | ლუკეზე-ლუმეცანე ($17^{30}$) | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 094 | მოდენა-კომო ($17^{30}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 095 | პიზა-რეჯანა ($17^{30}$) | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 096 | სანდონა-სპალ ($17^{30}$) | 3,0 | 2,5 | 2,4 |
| 097 | სიენა-ვარეზე ($17^{30}$) | 1,5 | 3,0 | 7,5 |

იტალია. სერია "ც1/ბ". მე-20 ტური

23 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 098 | არეცო-ანკონა ($17^{30}$) | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 099 | ასკოლი-გუალდო ($17^{30}$) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 100 | ატლეტიკო-დი სანგრო ($17^{30}$) | 2,3 | 2,6 | [illegible] |
| 101 | ბენევენტო-კატანია ($17^{30}$) | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 102 | ფ.ანდრია-ვიტერბეზე ($17^{30}$) | 3,1 | 2,6 | 2,3 |
| 103 | ჯულიანოვა-პალერმო ($17^{30}$) | 2,5 | 2,6 | 2,8 |
| 104 | ლოდიჯანი-კროტონე ($17^{30}$) | 3,3 | 2,6 | 2,2 |
| 105 | მარსალა-აველინო ($17^{30}$) | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 106 | ნოჩერინა-სტაბია ($17^{30}$) | 1,9 | 2,6 | 4,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. I დივიზიონი. 21-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 107 | დეპორტივო-ბეტისი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 23 იანვარი | | | |
| 108 | მალიორკა-რაიო ვალეკანო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 109 | სევილია-სელტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 110 | ოვიედო-სარაგოსა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 111 | ბარსელონა-რასინგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 112 | ვალენსია-ესპანიოლი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 113 | მალაგა-ალავესი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 114 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 115 | ნუმანსია-რეალი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 116 | ატლეტიკო-სოსიედადი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

ესპანეთი. II დივიზიონი. 23-ე ტური

22 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 117 | ლეიდა-ლევანტე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 118 | კორდობა-უელვა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 119 | ლეგანესი-ატლეტიკო "ბ" | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 120 | ლას პალმასი-სპორტინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 23 იანვარი | | | |
| 121 | ესტრემადურა-ხეტაფე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 122 | ბადახოსი-ეიბარი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 123 | ალბასეტე-ელჩე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 124 | სალამანკა-ვილიარეალი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 125 | ლოგრონიესი-ტენერიფე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 126 | კომპოსტელა-ტოლედო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 127 | ოსასუნა-მერიდა | 1,8 | 2,9 | 4,2 |

პორტუგალია. მე-18 ტური

21 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 128 | ბელენენსეში-ამადორა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 22 იანვარი | | | |
| 129 | ბენფიკა-რიუ ავე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 130 | კამპომაიორენსე-ჟილ ვისენტე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 131 | გიმარაეში-სეტუბალი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 132 | სპორტინგი-სანტა კლარა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 23 იანვარი | | | |
| 133 | მარიტიმუ-სალგეირუში | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 134 | ბრაგა-ალვერკა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 135 | ლეირია-ფარენსე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 136 | პორტუ-ბოავიშტა | 1,5 | 3,4 | 5,6 |

ბელგია. მე-20 ტური

21 იანვარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 137 | ბეერსხოტი-ბრიუგე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 22 იანვარი | | | |
| 138 | ლოკერენი-სენტ ტრუიდენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 139 | გენტი-სტანდარდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 140 | მეხელენი-მუსკრონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 141 | გენკი-გეელი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**23 იანვარი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 142 | ვესტერლო-შარლერუა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 143 | ჰარელბეკე-ბევერენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 144 | აალსტი-ლომელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 145 | ანდერლეხტი-ლიერსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### საბერძნეთი. მე-16 ტური

**23 იანვარი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 146 | არისი-კალამატა (17$^{00}$) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 147 | ტრიკალა-აეკ (17$^{00}$) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 148 | იონიკოსი-ოფი (17$^{00}$) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 149 | კავალა-პაოკ (17$^{00}$) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 150 | ოლიმპიაკოსი-ქსანთი (17$^{00}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 151 | აპოლონი-პანათინაიკოსი (17$^{00}$) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 152 | პანილიაკოსი-პანაჰაიკი (17$^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 153 | პანიონიოსი-ეთნიკოსი (17$^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 154 | პროდეფტიკი-ირაკლისი (17$^{00}$) | 4,2 | 2,9 | 1,8 |

### თურქეთი. მე-17 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **21 იანვარი** | | | |
| 155 | დენიზლი-ფენერბაჰჩე | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | **22 იანვარი** | | | |
| 156 | ვანი-გიოზთეფე (14$^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 157 | ქოჯაელი-ბურსა (15$^{30}$) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 158 | გაზიანთეფი-ადანა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,1 |
| | **23 იანვარი** | | | |
| 159* | გენჩლერბირლიგი-სამსუნი (12$^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 160 | ისთანბული-გალათასარაი (15$^{30}$) | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| 161 | ალთაი-ანთალია (15$^{30}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 162 | ტრაბზონი-ანკარაგიუჯუ (15$^{30}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 163 | ბეშიქთაში-ერზურუმი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### შოტლანდია. 21-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **22 იანვარი** | | | |
| 164 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 165 | ჰართსი-დანდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 166 | რეინჯერსი-აბერდინი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 167 | სენტ ჯონსტონი-მოზერუელი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | **23 იანვარი** | | | |
| 168 | კილმარნოკი-სელტიკი | 6,5 | 3,4 | 1,45 |

### საფრანგეთის თასი. I ეტაპი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **21 იანვარი** | | | |
| 169 | ამიენი-ოსერი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 170 | ლორიანი-მონპელიე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 171 | რენი-შატორუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 172 | გენიონი-კრეტეი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | **22 იანვარი** | | | |
| 173 | ლავალი-სედანი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 174 | ნიმი-ლუანი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 175 | სოშო-ლე ავრი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### აფრიკის თასი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **22 იანვარი** | | | |
| 501 | განა-კამერუნი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | **23 იანვარი** | | | |
| 502 | ნიგერია-ტუნისი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 503 | ეგვიპტე-ზამბია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 504 | ს.აფრიკა-გაბონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | **24 იანვარი** | | | |
| 505 | კოტ დივუარი-ტოგო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 506 | ალჟირი-დრ კონგო | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**** 159-ე წყვილზე გენჩლერბირლიგი-სამსუნი ფსონები მიიღება პარასკევსა (21.01) და შაბათს (22.01)***

### კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **21 იანვარი** | | | |
| 850 | ბოსტონი-სიეტლი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 851 | ვაშინგტონი-ინდიანა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 852 | მაიამი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 853 | დენვერი-ფინიქსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 854 | კლიპერსი-მინესოტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 855 | გოლდენ სტეიტი-კლივლენდი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| | **22 იანვარი** | | | |
| 856 | ნიუ ჯერსი-დალასი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 857 | ფილადელფია-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 858 | შარლოტი-ბოსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 859 | ატლანტა-ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 860 | ჩიკაგო-დეტროიტი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 861 | სან ანტონიო-ნიუ იორკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 862 | ფინიქსი-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 863 | ლეიკერსი-პორტლენდი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 864 | საკრამენტო-იუტა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 865 | ვანკუვერი-ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | **23 იანვარი** | | | |
| 866 | ტორონტო-სიეტლი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 867 | დეტროიტი-დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 868 | ჰიუსტონი-მაიამი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 869 | კლიპერსი-ორლანდო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 870 | გოლდენ სტეიტი-მინესოტა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | **24 იანვარი** | | | |
| 871 | ნიუ იორკი-სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 872 | ჩიკაგო-ინდიანა | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 873 | დენვერი-ვანკუვერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 874 | იუტა-ლეიკერსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 875 | პორტლენდი-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### ჰოკეი. NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **21 იანვარი** | | | |
| 876 | ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 877 | ატლანტა-ფლორიდა | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 878 | ჩიკაგო-სენტ ლუისი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 879 | კალგარი-ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 880 | ანაჰაიმი-კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | **22 იანვარი** | | | |
| 881 | კაროლინა-ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 882 | ტორონტო-ვაშინგტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 883 | მონრეალი-პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 884 | ოტავა-დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 885 | აილენდერსი-ტამპა ბეი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 886 | ფლორიდა-ბოსტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 887 | სენტ ლუისი-რეინჯერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 888 | ედმონტონი-ვანკუვერი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 889 | სან ხოსე-ანაჰაიმი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | **23 იანვარი** | | | |
| 890 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 891 | პიტსბურგი-ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 892 | ჩიკაგო-დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 893 | ფინიქსი-სან ხოსე | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 894 | ვანკუვერი-ნეშვილი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | **24 იანვარი** | | | |
| 895 | ბოსტონი-კალგარი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 896 | ვაშინგტონი-ტამპა ბეი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 897 | ტორონტო-ოტავა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 898 | კაროლინა-მონრეალი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 899 | ატლანტა-რეინჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 900 | ედმონტონი-ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობაში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ნუ ესვრით კორეტხას

REUTERS მელბურნიდან



იუნეს ელ აინაუი

**ალექს კორეტხასა** და მასპინძელთა ჯილა ლეიტონ ჰიუიტის შეხვედრის დაწყებიდან 80 წუთის შემდეგ ერთი შეხედვით მეტად უცნაური რამ მოხდა: ჩვეულებრივ პატრიოტულად განწყობილი ავსტრალიელები ფეხზე წამოვარდნითა და ოვაციებით მიესალმნენ ესპანელს, რომელმაც გეიმი მოიგო.

არა, მელბურნელ გულშემატკივრებს თავისიანის დამარცხება სულაც არ სურდათ, უბრალოდ, ეს ერთადერთი გეიმი იყო, რომელიც კორეტხამ მთელი მატჩის მანძილზე მიითვალა.

„კორტზე იმისთვის გავდივარ, რომ რაც შეიძლება, იოლად მოვიგო. არ მივეკუთვნები იმ ჩოგბურთელებს, რომლებიც უკან იხევენ, თითოეული გეიმში 100 პროცენტით დახარჯვა მსურს“ — განაცხადა ესპანელის უმოწყალოდ, 6:0, 6:0, 6:1 განადგურების შემდეგ კიკინიანმა ავსტრალიელმა, რომელმაც წლეულს უკვე ზედიზედ მე-12 მატჩი მოიგო, თუმცა პირველ წრეში ამერიკელ პოლ გოლდსტაინის დასამარცხებლად სამ საათზე მეტი და მსაჯების გვარიანი დახმარება დასჭირდა.

რა სჭირდა კორეტხას? ამაზე ხეირიანად პასუხის გაცემა თავად ესპანელსაც არ შეეძლო. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მსოფლიოს მეორე ჩოგანი ბურთს ხან საერთოდ აცილებდა ჩოგანს, ხან უაზრო გადაწყვეტილებებს ღებულობდა და, როგორც წესი, ერთი-ორი დარტყმის შემდეგ ცდებოდა, მეორე სეტში კი პირველი მოწოდების მხოლოდ 10 პროცენტი ჩააგდო.

მატჩის შემდეგ ესპანელს მოახსენეს, რომ ავსტრალიის ღია პირველობის ისტორიაში მშრალად არც ერთი კაცი არ დამარცხებულა. „ეს რომ მცოდნოდა, შევეცდებოდი, ის ერთი გეიმიც არ მომეგო, რეკორდების წიგნში მაინც მოვხვდებოდი“ — მწარედ იხუმრა როლან გაროსის ყოფილმა ფინალისტმა — „როცა ეს-ესაა ცხოვრებაში ყველაზე უარესი შეხვედრა ჩაატარე, სჯობს ყველაფერი ღიმილით დაივიწყო. მეორე სეტის ბოლოს უკვე ვიცოდი, რომ კატასტროფა მელოდა.“

ცხადია, ჰიუიტი შესანიშნავ ხასიათზე იყო. კლასიფიკაციის ახალი სისტემით მსოფლიოს პირველ ჩოგანს თავდაჯერება ისეც არ აკლია, მაგრამ ამ გამარჯვების შემდეგ უკვე ჩემპიონობაზეც განაცხადა სერიოზული პრეტენზია: „კორტზე როცა გავდივარ, მგონია, არ შეიძლება წავაგო. ასე კარგად არასოდეს მითამაშია, დღეს ბურთს ფეხბურთის ბურთივით ვხედავდი. ვცდილობდი, ბადის მეორე მხარეს არც გამეხედა. არ ვისურვებდი კორეტხას მდგომარეობაში ყოფნას, ეს დამამცირებელი იქნებოდა.“

როდესაც კორეტხას ჰკითხეს, ჰიუიტმა როგორ ითამაშაო, ჩვეულებრივ ყველაზე თავაზიანმა და მეგობრულმა ჩოგბურთელმა ცოტა ხნით თავი ვერ მოთოკა: „ფეხებზე მკიდია. კორტზე სულ მარტო ვიყავი, ძალიან ძნელი იყო... მაგრამ ის კარგად თამაშობს, ასე შორს შეუძლია წასვლა.“

უცნაური რამ დაემართა მეორე წრის შეხვედრაში მეშვიდედ განთესილ ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტისაც. „მოულოდნელად ენერგიისგან დავიცალე. სხეულს არ სურდა იმის გაკეთება, რაც მე მინდოდა. ასე მეგონა, შენელებული კადრივით ვმოძრაობდი.“

ლაპენტის უკვე სამი კვირაა გრიპი შეჰყრია და თამაშისთვის თავის დანებებას ჯერ კიდევ ანდრეი მედვედევთან პირველ მატჩში აპირებდა. იმ ხუთსეტიან შეხვედრას „მაუგლიმ“ შარშან მელბურნში წარმატებული ასპარეზობის ხათრით გაუძლო, თუმცა ფრანგ არნო კლემანს უკვე ვეღარ გაუმკლავდა.

ანგარიში 3:6, 7:6 (7:4), 6:2, 4:1 იყო კლემანის სასარგებლოდ, როდესაც ლაპენტიმ თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა: „არ შემეძლო უბრალო მაყურებლად დავრჩენილიყავი კორტზე და მატჩი ისე დამესრულებინა. მე თითოეული ქულისთვის ბრძოლა მიყვარს და თუ ამის ძალა არ შემწევს, მირჩევნია საერთოდ არ ვითამაშო.“

მეორე წრეში წააგო შარშანდელი ავსტრალიის ღია პირველობის კიდევ ერთმა ნახევარფინალისტმა, მეათედ განთესილმა ტომი ჰაასმა.

ლაპენტის არ იყოს, წლეულს 21 წლის გერმანელსაც არა აქვს ყველაფერი რიგზე: „ერთი კვირის წინ ოკლენდში მოულოდნელად ბარძაყი ამტკივდა და ჯერაც მაწუხებს. თითქოს ეს საკმარისი არ იყოს, ამ დილით ნეკნის ტკივილმა გამაღვიძა, მატჩის დროს სუნთქვაც კი მიჭირდა.“

ისე, ჰაასის თამაშის შემხედვარე პირველ სეტში ამას ძნელად თუ იფიქრებდი. მაღალ და ძვალტყავა მაროკოელ იუნეს ელ აინაუის იგი აქეთ-იქეთ დაარბენინებდა და შესამჩნევი უპირატესობაც ჰქონდა, სანამ 5:5-ზე არ ანერვიულდა და უნებლიე შეცდომებით მოწოდება არ დაკარგა.

აინაუიმ ეს საჩუქარი მშვენივრად შეირგო, მძლავრი მოწოდებისა და ყუმბარისებური ფორჰენდის დახმარებით მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალა და თვალის დახამხამებაში ორი სეტი მოიგო.

მაროკოელს მხოლოდ გადამწყვეტ ხელში გამარჯვების პირას აუკანკალდა ხელი და ჰაასს ლამის ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, თუმცა მოულოდნელად წამოპარულ შიშს ბადესთან თამამი გავარდნებით სძლია და ტრიბუნებზე შეკრებილი არაბული საზოგადოება ძალიანაც გაახარა: 7:5, 6:3, 6:3.

„არ მსურდა, ცენტრალურ კორტზე გავსულიყავი და უბრალოდ კარგად მეთამაშა. მინდოდა, ეს მატჩი მომეგო. ჩოგბურთელი რომ გავმხდარიყავი, იმდენი სირთულის გადალახვა მომიხდა, დასავლელი კაცი ვერც წარმოიდგენს. ეს იმ მძიმე დღეებისთვის კომპენსაცია იყო“ — განუცხადა ჟურნალისტებს გახარებულმა აინაუიმ, რომელსაც 1997-98 წლები ფეხის ტრავმის გამო გაუცდა.

მაროკოელმა თავის დროზე დიდი გაჭირვებით დაიყოლია მშობლები, ნება მიეცათ, ჩოგბურთელი გამხდარიყო: „ჩემამდე მაროკოში ჩოგბურთით ფული არავის გაეკეთებინა. მათ ვერ ვეტყოდი, რომ მინდოდა მაკინროის ან ლენდლის მსგავსი ვყოფილიყავი, ამისგან ძალიან შორს იყვნენ. მათ სურდათ, მესწავლა.“

აინაუიმ დიდი ხვეწნა-მუდარით დაითანხმა დედ-მამა, ორი კვირით, ფლორიდაში ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიაში სავარჯიშოდ გაეშვათ. „იქ რვა თვე დავყავი. დამირეკეს, ჩამოდიო, მაგრამ ვუპასუხე, არა, აქ ვრჩები, ჩოგბურთი უნდა ვითამაშო, ბედნიერი ვარ-მეთქი.“

ჩოგბურთის თამაშით არანაკლებ სიამოვნებას ღებულობს მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისიც. 19 წლის შვეიცარიელმა პირველ წრეში განადგურებულ ერთ ამომავალ ვარსკვლავს — მირიანა ლუჩიჩს მეორეში 17 წლის ბელგიელი ჟუსტინ ენენიც მიაყოლა — 6:3, 6:3.

მარტინას მელბურნში 1996 წლის მეოთხედფინალის შემდეგ არ წაუგია და თავის წარმატებას ჩაგბურთის სიყვარულით ხსნის: „დეკემბერში, ხანგრძლივი სეზონის მერე ყველას უყვარს დასვენება, ჩემთვის კი ეს ერთი თვე ზოგჯერ ძალიან იწელება. ვფიქრობ, რა გავაკეთო, არც ტურნირებია, არც არაფერი-მეთქი და ბევრს ვვარჯიშობ. ახალი სეზონის დაწყებაც ძალიან მიხარია.“

კაცები. მეორე წრე: **ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი)** — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:0, 6:1; **ნიკოლას კიფერი (4, გერმანია)** — ტომას ბერენდი (გერმანია) 7:6 (7:5), 6:0, 6:2; **მაგნუს ნორმანი (12, შვედეთი)** — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:4, 6:3, 6:4; **ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი)** — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 7:6 (7:5), 6:4, 6:2; **უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა)** — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 6:2, 6:7 (2:7), 4:6, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიცარია)** — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 7:6 (7:1), 6:2, 6:3.

ქალები. მეორე წრე: **სერენა უილიამსი (3, აშშ)** — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 7:5, 6:1; **ბარბარა შეტი (6, ავსტრია)** — მიროსლავა ვავრინეცი (შვეიცარია) 6:4, 6:4; **არანჩა სანჩეს ვიკარიო (13, ესპანეთი)** — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:1, 3:6, 6:3; **სანდრინ ტესტიუ (12, საფრანგეთი)** — ანხელიკა გავალდონი (მექსიკა) 6:1, 6:2; **კრისტინა ბრანდი (აშშ)** — ამანდა კუტცერი (8, სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:3; **კონჩიტა მარტინესი (10, ესპანეთი)** — ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) 6:3, 4:6, 6:3; **საბინე აპელმანსი (ბელგია)** — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:1, 3:6, 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**

REUTERS მელბურნიდან



მარტინა ჰინგისი

## სხვადასხვა



უჯიგრობისთვის მარატ საფინს მაგრად მოხვდება

**მარატ საფინს** ათასწლეულის პირველი დიდი სლემის ტურნირი ტკბილად ნამდვილად არ დაამახსოვრდება: გარდა იმისა, რომ 19 წლის გიგანტმა რუსმა გოლითმა პირველივე წრეში უსახელოდ დაასრულა ასპარეზობა, გუშინ იგი 2000 დოლარითაც დააჯარიმეს.

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელთა განცხადებით, საფინი პირველი ჩოგბურთელი გახდა დიდი სლემის ტურნირების ისტორიაში, რომელიც მოგების სურვილის არქონაში დაადანაშაულეს. რუსეთის დევისის თასის გუნდის წევრმა დაარღვია წესდება, რომელიც მოითხოვს, რომ „ჩოგბურთელი ყოველნაირად ეცადოს და ბოლომდე იბრძოლოს დიდი სლემის ტურნირზე მატჩის მოსაგებად“.

სამხრეთაფრიკელ გრანტ სტაფორდთან შეხვედრისადმი ინტერესი საფინმა პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ დაკარგა. ბურთების განზრახ აცილების გარდა, მას სირბილიც ეზარებოდა, რის გამოც ამერიკელმა მსაჯმა ნორმ ქრაისთმა ოთხჯერ გააფრთხილა. ერთ-ერთი გაფრთხილების მერე ზორბა რუსმა სტაფორდის მოწოდებისთვის ჩოგნის დახვედრების ნაცვლად ბურთი ხელით დაიჭირა.

ქრაისთმა შური იმით იძია, რომ ჩოგბურთელი მატჩის შემდეგ ტურნირის ორგანიზატორებთან „ჩაუშვა“ და მათაც საფინი დაუსჯელად არ დატოვეს, თუმცა ჯარიმის მაქსიმალური რაოდენობის, 10 ათასი დოლარის დაკისრებისგან თავი მაინც შეიკავეს.

თუმცა რუსი ერთადერთი ჩოგბურთელი არ არის, ვისაც თავქარიანი საქციელისთვის საკუთარი ჯიბით მოუხდა პასუხისგება. უკრაინელი ანდრეი მედვედევი 1000 დოლარით გაღარიბდა „უწმაწური სიტყვის ხმამაღლა წარმოთქმისთვის“, გორან ივანიშევიჩს და უეინ ფერერას კი ამის ნახევარ თანხად დაუჯდათ თავიანთი ჩოგნების დამტვრევა.

* * *

გაინტერესებთ, რას ფიქრობენ ავსტრალიის ღია პირველობის შესახებ წარსულის ცნობილი ჩემპიონები? ჟურნალმა „ტენისმა“ რამდენიმე დღის წინ მათ გამარჯვების პრეტენდენტთა დასახელება სთხოვა და ლამის მსგავსი პასუხები მიიღო — გამოკითხვაში თითქმის ყველგან პიტ სამპრასისა და ლინდსი დევენპორტის სახელები ჭარბობდა.

ტრეისი ოსტინი:

ქალებში ლინდსი დევენპორტს მივანიჭებ უპირატესობას, წინა სეზონის კარგად დასრულებისთვის. ჰინგისს კი აქვს ზედიზედ სამჯერ „ავსტრალიის ღია პირველობა“ მოგებული, მაგრამ ბოლო ხანებს აშკარად ჯაბნის მას ლინდსი.

კაცებში ტურნირს პიტ სამპრასი მოიგებს, მიუხედავად იმისა, რომ აგასი შესანიშნავ ფორმაშია და კორტიც მის სტილს უფრო შეეფერება, სამპრასს „მეიჯორების“ ტიტულების რაოდენობით რეკორდის გაუმჯობესება სურს და, მგონი, მიაღწევს კიდეც თავისას.

მარტინა ნავრატილოვა:

ჩემი ფავორიტები ლინდსი დევენპორტი და პიტ სამპრასი არიან. პიტი ყველაზე დასვენებული და მოწადინებული იქნება, თანაც სწრაფი საფარი მას შეუწყობს ხელს.

პემ შრაივერი:

მე პიტ სამპრასსა და ლინდსი დევენპორტს დავასახელებდი, თუმცა ამაში მაინცდამაინც დარწმუნებული არ ვარ, სეზონის პირველმა „მეიჯორმა“ შეიძლება ბევრი მოულოდნელობა მოიტანოს.

უენდი ტერნბული:

ქალებში დევენპორტი მოიგებს — ის კარგად თამაშობს და როგორც ყოველთვის, მასმედია უფრო ახალგაზრდა და ათლეტურ ჩოგბურთელებზე გაამახვილებს ყურადღებას.

კაცებში პროგნოზი ძნელი გასაკეთებელია, მაგრამ მე მარკ ფილიპუსისს ავირჩევდი. მთავარია, ზეწოლას გაუძლოს. მან ეს მოახერხა დევისის თასის ფინალში და იმედია, სწორი დასკვნები გამოიტანა იმ მატჩიდან. დროა, მასპინძელმაც მოიგოს ჩემპიონატი.

* * *

კორტსგარეთა ამბები ამ დღეებში დოკიჩების ოჯახის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. თავისი ქალიშვილის .აბსურდული ბრალდებებიდან ერთი დღის შემდეგ სკანდალში უკვე ელენას შერეკილი მამილო დამირი გაეხვია.

ოთხშაბათს იუგოსლავიაში გადასახლებულმა სერბმა სატელევიზიო ოპერატორთან დავა წამოიწყო. ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც სპორტული არხის „ჩენელ 7“-ის ჟურნალისტები მელბურნში სასტუმროდან გამოსულ მამა-შვილ დოკიჩებს ილებდნენ.

დამირი ჟურნალისტების დანახვამ გააცოფა, მათკენ გაიწია და კამერას მიკროფონი მოაგლიჯა. საომარი ნადავლის შენარჩუნება მრისხანე გამომეტყველების ყოფილმა ტაქსის მძღოლმა მაინც ვერ მოახერხა: იქვე მყოფმა პოლიციელმა მას მიკროფონის დაბრუნება უბრძანა.

მერე უფროსი დოკიჩი საქმის გამოსწორებას იმით შეეცადა, რომ ოპერატორს გადაღებული მასალისთვის 500 დოლარი შესთავაზა. „მომეცი ფირი. 500-ს მოგცემ კასეტისთვის“— იმავე დღეს თითქმის ყველა ავსტრალიურ არხზე გაიჟღერა დამირის ამ სიტყვებმა.

თავადაც მიხვდებით, ჟურნალისტებმა ამ მადიანი ლუკმის ასე იაფად ხელიდან გაშვება არ ისურვეს.

შეგახსენებთ, რომ უფროსმა დოკიჩმა გასულ ზაფხულში ინგლისელებსაც დაამახსოვრა თავი უცნაური გამოხტომებით. არყის ორი ბოთლის გამოცლის შემდეგ ბირმინგემში ტრიბუნებიდან მან მასპინძლებს ნაცისტები უძახა, სტადიონიდან ძალით გაგდებული იქვე ქუჩაში გაწვა, მერე კი მანქანებს თავზე შეახტა და პოლიციის განყოფილებაშიც ამოყო თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს და ზეგ: ვირუსი და ბელარუსი

## ქართულ-გერმანული სახელბურთო ვახტანგური

ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ისევ გრძელდება, თუმც საქართველოს ნაკრებისთვის ბელარუსთან დღეს და კვირას შინ გასამართი ორი მატჩის მიუხედავად, უკვე ფაქტობრივად დასრულდა. დასრულდა იგი „ალთქმულ მიწაზე", სადაც ქართველებმა შესარჩევი ციკლის ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგეს


ბადრი ქეთილაძის ფოტო

ზაზა დოლიძე

ამაში ბრალი უფულობასაც მიუძღვის, რის გამოც ჩვენებმა ოთხივე შეხვედრა სტუმრად ჩაატარეს. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფში თამაშის რეალური შანსი მირაჟივით გაქრა. თავად განსაჯეთ, ჩვენმა ხელბურთელებმა პირველი მატჩი (წესით, თბილისში რომ უნდა გამართულიყო) ერთი ბურთით წააგეს და უბრძოლველად არც სხვა თამაშები დაუთმიათ.

მას მერე, რაც გადაწყდა, შვეიცარია-ისრაელთან ყველა შეხვედრა სტუმრად ჩატარებულიყო, ამ მარცხს კიდეც მოველოდით. ამდენი თამაშის წაგები გუნდის მწვრთნელს თითქოს სათქმელიც არაფერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ... ნაკრების მწვრთნელ **ზაზა დოლიძესთან** საუბარში პირველად გაიჟღერა გერტ ბუცეკის, მავანი გერმანელის სახელმა, აქაური ტალანტებით მოხიბლულს ჩვენთან ფულის დაბანდება რომ გადაუწყვეტია. სწორედ მისი მეშვეობით უპირებენ სულთმობრძავ ქართულ ხელბურთს მოსულიერებას. ამ პერსპექტივის კვალზე წაგებული თამაშები და ისიც, რომ ევროპაში გავრცელებულმა გრიპის ვირუსმა მთელი გუნდი ლაზარეთს დაამსგავსა, უმნიშვნელოდ გვეჩვენება.

**— ბატონო ზაზა, ჯერ ჩატარებულ მატჩებზე გვიამბეთ.**

— ჯერ შვეიცარიასთან ვითამაშეთ 6 და 8 იანვარს. მასპინძლებმა მოსამზადებლად ნორმალური პირობები შეგვიქმნეს. პირველი შეხვედრა ერთი ბურთით წავაგეთ. არადა, მოგება შეგვეძლო, რაც პლეი ოფში გასვლის შანსს გაგვიზრდიდა. ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს საამისოდ, თუმცა... მე არ მჩვევია მსაჯების კრიტიკა, მაგრამ ისინი აშკარად მასპინძლებს მიემხრნენ. მატჩის ბოლოს არბიტრები სულაც უნამუსოდ მოიქცნენ. ბოლო წამებზე, როცა ანგარიში საყაიმო იყო, ბურთი ორჯერ ჩამოგვართვეს. ორი გაფრთხილების მერე საერთოდ გაგვიძევეს ტიტე კალანდაძე.

არანაკლებ დაძაბული იყო მეორე მატჩი. 48-ე წუთზე ანგარიში 14:14 იყო. მერე კი თავი იჩინა დაღლილობამ და უთამაშებლობამ. თან დათუკიშვილს, ერაძეს და კიდევ რამდენიმე ხელბურთებს გრიპის ნიშნები პირველად მაშინ შეეტყოთ. საერთოდ, ისრაელში მთელი გუნდი ჩაწვა. იქ რომ ჩავედით, უკვე ექვს კაცს მაღალი სიცხე ჰქონდა. მეორე დღეს კი ცხრა კაცი დაგვიავადდა. მათ დელეგაციის რამდენიმე წევრიც დაემატა ექიმის ჩათვლით. სამკურნალოდ იქაურ დასტაქრებს ვუხმეთ. მათაც პროფესიულად შეასრულეს თავიანთი საქმე, მოგვცეს სათანადო საბუთები, რამდენიმე ხელბურთელს თამაში სასტიკად აუკრძალეს და მატჩის გადატანა გვირჩიეს.

ადგილობრივ საავადმყოფოებში თავისუფალი ადგილები არ იყო ბიჭები სამკურნალოდ რომ მოგვეთავსებინა, თამაშის გადატანა კი დამატებით ხარჯებს მოითხოვდა. ამიტომ მატჩის გადავადება ვიუარეთ. მოედანზე არ იყვნენ დათუკიშვილი, კეკელიძე, ერაძე, მეიფარიანი. შეუძლოდ იყვნენ თურქია და კალანდაძე, რომელსაც წელიც ასტკივდა. ისრაელთან ორივე შეხვედრის სიმძიმემ ახალგაზრდა მეკარე შოთა თევზაძეზე გადაიარა, რომელმაც ძალიან კარგად ითამაშა. ახლაც თითქმის ყველა ავადაა. გუშინ ვარჯიშზე მხოლოდ ყიფიანი და თურქია მოვიდნენ. ბელარუსთან გასამართი მატჩებისთვის კი ვემზადებით, მაგრამ მათ ალბათ ახალგაზრდული ნაკრების წევრებს დავუპირისპირებთ. ფაქტი ერთია-ამ თამაშებს უეჭველად ჩავატარებთ, თუმცა არ ჩამოვა დელეგატი სომხეთიდან. მან დაგვირეკა და გვითხრა, რომ დიდთოვლობის გამო უკან გაბრუნდა.

**— ესე იგი, იმ თამაშებში მოგება შეგეძლოთ?**

— მე მაინც შვეიცარიელებთან შეხვედრებზე ვიტყვი, რადგან ისინი ებრაელებზე გაცილებით ძლიერნი არიან. შვეიცარიელთა მწვრთნელიცა და მოთამაშეებიც კმაყოფილებას ვერ მალავდნენ მოგების გამო. მეორე თამაშში კი, როგორც გითხარით, 48-ე წუთამდე საყაიმო ანგარიში იყო, ხოლო მერე იღბალმა გვიმტყუნა და ზედიზედ ოთხჯერ მეკარესთან პირისპირ გასულებმა ვერ გავიტანეთ. ვთვლი, რომ შვეიცარიასთან ერთი მატჩი მაინც უნდა მოგვეგო.

**— წაგება მხოლოდ გრიპის ბრალი არ ყოფილა. ერთი ერთზე გოლის გატანას იღბალის გარდა ოსტატობაც სჭირდება.**

— გეთანხმებით. მე ბიჭებს არ ვამართლებ. ეს რომ ერთს მოსვლოდა, არაფერს ვიტყოდი. თუმცა დაცვა უფრო უკეთ გაირჯა, ვიდრე აქამდე. თავის დროზე საწვრთნელი მატჩებიც რომ ჩაგვეტარებინა...

**— იმ დროს, როცა მოთამაშეთა უმრავლესობა ავადაა, იქნებ ბელარუსთან მატჩები გადაგედოთ, [illegible] გამოჯანმრთელებამდე?**

— ეს უაზრობაა, რადგან აქამდე ყველა თამაში წავაგეთ. აქ ერთსაც დავამატებ. ჩვენ გვესაუბრა გერმანელი გერტ ბუცეკი, რომელიც ბელარუსის ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ნაკრების სპონსორია. მან ჩვენც ის ვარიანტი შემოგვთავაზა, რომლითაც ბელარუსებს ეხმარება. კერძოდ, ნებისმიერი ასაკის მოთამაშეს გადაიყვანს გერმანულ კლუბებში. საუბარია უფრო გლობალურ დახმარებაზეც. დღეს ყველა ქვეყანას ესაჭიროება ლობი საერთაშორისო ორგანიზაციებში.

**— ბუცეკი ამას მხოლოდ თავისი სახელით დაგპირდათ თუ გერმანიის ფედერაციის?**

— ფედერაციის სახელით, თუმცა თავადაც გავლენიანი კაცია. ვნახოთ, მომავალში რა მოხდება.

**— ასოციაციაში რაიმე თანამდებობაზე მოყვანასაც ხომ არ უპირებთ?**

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა. ბუცეკს სურს მჭიდრო კავშირი ჰქონდეს ჩვენს ასოციაციასთან და ნაკრებს შეეწიოს. თუ მისი წინადადებები ჩვენთვის მისაღები იქნება, მერწმუნეთ, ასოციაციას საწინააღმდეგო არაფერი ექნება. დღეს მთავარია, როგორმე გადავრჩეთ.

**— ეს მაინც მომავლის საქმეა, ისევ დღევანდელობას დავუბრუნდეთ. ჯერ ის ვთქვათ, ამ თამაშებზე წასასვლელად საბოლოოდ ვინ დაგაფინანსათ.**

— მოდით, ამ საკითხს ნუ მივუბრუნდებით, გახსენებაც კი არ მინდა. უბრალოდ გეტყვით, რომ თანხა ნაცნობ-მეგობრებში მოვიძიეთ.

**— ამ მატჩებში ყველაზე მეტად ვინ გამოირჩეოდა?**

— ვინმეს განსაკუთრებით გამოყოფა არ მინდა, მაგრამ შოთა თევზაძე, ომარ ყიფიანი და სერგო დათუკიშვილი თანაგუნდელებისგან ოთხივე თამაშში გამოირჩეოდნენ. დათუკიშვილი ევროპისთვის აღმოჩენად იქცა. მასპინძლებმა, იტალიელმა მსაჯებმა, ბუცეკმა და სხვებმაც ერთხმად აღიარეს, რომ ევროპაში ასეთი ახალგაზრდა და შედეგიანი თავდამსხმელები თითზე ჩამოითვლებიან.

ირაკლი თავაძე




# შვედეთ-რუსეთის ომი ხორვატიის მიწაზე

დღეს ხორვატიაში ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი იწყება. სამწუხაროდ, ამ ტურნირში საქართველოს ნაკრები არ მონაწილეობს. ჩვენებმა, გეხსომებათ, შესარჩევი ტურნირის პლეი ოფი დათმეს დანიასთან და ხორვატიაც აუხდენელ ოცნებად დარჩა, ისევე, როგორც გაისად საფრანგეთში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველომ თავის შესარჩევ ჯგუფში ოთხი ჩატარებული თამაშიდან ოთხივე წააგო (ორ-ორი შვეიცარიასა და ისრაელთან) და პლეი ოფს ველარ უწია. მეხუთე მატჩი ქართველებს დღეს აქვთ ბელარუსთან. იგი 17 საათზე დაიწყება არმიის სპორტული კლუბის დარბაზში. ისე, ფინანსური გაჭირვების გამო შინ ჩასატარებელი ორი შეხვედრა შვეიცარიასა და ისრაელში რომ არ გაგვემართა, იქნებ ახლა ერთი ქულა მაინც გვქონოდა. თუმცა ეს სულ სხვა თემაა და ჩვენც ხორვატიის ევროპის ჩემპიონატს დავუბრუნდეთ.

ეგვიპტის მსოფლიოს პირველობის შემდეგ შვიდი თვე გავიდა, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე კი რვა თვეა დარჩენილი. ამ შუალედში გასამართ ევროპის ჩემპიონატს 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ხორვატია მასპინძლობს, რომლის გარდა კიდევ თერთმეტი გუნდი იბრძოლებს ევროპის უძლიერესი ნაკრების სახელის მოსაპოვებლად. გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი — A ჯგუფი: ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ხორვატია, ნორვეგია, უკრაინა; B ჯგუფი: რუსეთი, შვედეთი, პორტუგალია, დანია, სლოვენია, ისლანდია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლებზე უარს არავინ იტყვის და ხელბურთელებიც მათ მოსაპოვებლად გვარიან ოფლს დაღვრიან, ეს შეჯიბრი, ალბათ, მაინც სიდნეის ოლიმპიადის სამზადისის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. ავსტრალიაში წასვლა ჯერჯერობით მხოლოდ რუსეთს, შვედეთს, ესპანეთს, გერმანიასა და საფრანგეთს აქვთ განალდებული და სწორედ ისინი ეცდებიან ახალი ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებასა და სრულყოფას, გუნდების უფრო შედულაბებას და კომბინაციების ავტომატიზმამდე დახვეწას. სხვებს კი დამატებითი სტიმული და თავსატეხიც ექნებათ. ევროპას ოლიმპიადაზე კიდევ ერთი გუნდის გაგზავნის უფლება აქვს და სწორედ ამ ერთი საგზურისთვისაც გაჩაღდება ფიცხელი ბრძოლა. მწვანე კონტინენტზე კი ის გაემგზავრება, ვინც უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს. რა თქმა უნდა, ამ კონკურსში ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი გუნდი „მონაწილეობას არ მიიღებს".

ერთადერთი საგზურის ხელში ჩაგდება ნამდვილად უძნელესი საქმე იქნება, რადგან ეს შეჯიბრი ძალიან მოკლე ვადაში იმართება (21-30 იანვარი) და მისი შემადგენლობაც ეგვიპტის მსოფლიოს ჩემპიონატისაზე გაცილებით ძლიერი ჩანს. ამ დავაში ფავორიტად ხორვატია ითვლება, რომელსაც შინაური კედლების ფაქტორი, ცხადია, ძალიან დაეხმარება. თუმცა ხელბურთის ბურთიც ხომ მრგვალია და ამიტომაც, ყველაფერია მოსალოდნელი.

A ჯგუფი შემადგენლობით გაცილებით ძლიერია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩემპიონი ამ ჯგუფიდან ნახევარფინალში გასული რომელიმე გუნდი გახდება. ხელბურთის კარგად მცოდნე ხალხი ლამის ერთხმად აცხადებს, რომ ფინალში ერთმანეთს რუსეთი და შვედეთი დაუპირისპირდებიან. ვიდრე ჯგუფებზე ოდნავ უფრო დაწვრილებით მოგახსენებდეთ, მანამდე ჩემპიონატის ფორმულას და კალენდარს გაგაცნობთ.

დღეს, ხვალ და ზეგ გაიმართება პირველი სამი ტურის მატჩები. შემდეგ გუნდები დაისვენებენ და 25 იანვარს ისევ ითამაშებენ. ბოლო ტური კი 27 იანვრისთვისაა დაგეგმილი. ნახევარფინალები და 5-12 ადგილებისთვის შეხვედრები 29 იანვარს ჩატარდება. ფინალი და მესამე ადგილისთვის მატჩი 30 იანვარსაა დანიშნული. ნახევარფინალებში ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასული ნაკრებები გადიან.

**29 იანვარი**

მატჩი მე-11 ადგილისთვის **A6-B6**

მე-9 ადგილისთვის **A5-B5**

მე-7 ადგილისთვის **A4-B4**

მე-5 ადგილისთვის **A3-B3**

ნახევარფინალი

**A1-B2, A2-B1**

**30 იანვარი**

მე-3 ადგილისთვის

ფინალი

როგორც ზემოთ ვთქვით, A ჯგუფში უფრო თანაბარძალიანი გუნდები არიან თავმოყრილნი. ისე ჩანს, აქედან ნახევარფინალში გასვლა ოთხ გუნდს — ესპანეთს, გერმანიას, საფრანგეთსა და მასპინძელ ხორვატიას ძალუძთ. ნორვეგია და უკრაინა მათთან შედარებით სუსტები არიან, თუმცა გულხელდაკრეფილნი, ალბათ, არც ისინი იქნებიან. მათგან სიურპრიზებსაც უნდა ველოდოთ. ფავორიტთა ოთხეულიდან კი სხვებზე წინ მაინც ესპანეთი უნდა დავაყენოთ, რომელიც ბოლო ორი წელია, დიდი ტურნირების ნახევარფინალში უპრობლემოდ გადის. 1998 წელს ესპანეთი იტალიის ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც გაძვრა, მაგრამ იქ შვედეთთან ველარაფერი გააწყო და ვერცხლის მედლებს დასჯერდა. შარშან ეგვიპტეში კი პირინეელებმა მე-3 ადგილისთვის მატჩი იუგოსლავიასთან დათმეს. ესპანეთის მერე გერმანია მოდის, რომელმაც იტალიაში ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა, ეგვიპტეში კი მე-5 ადგილი დაიკავა. 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი და 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ხორვატია მათ ძნელად თუ შეეცილებიან ნახევარფინალების საგზურს, თუმცა რეალურად ამის გარკვეული შანსი და შესაძლებლობა ნამდვილად აქვთ.

B ჯგუფში ბრძოლა ნახევარფინალში გასასვლელად წინასწარ აქვთ მოგებული რუსეთსა და შვედეთს. ყოველ შემთხვევაში, ტურნირის დაწყების წინ საწინააღმდეგოს ნამდვილად ვერავინ დაამტკიცებს. ბოლო ათწლეულია, ეს ორი გუნდი ხელბურთის სამყაროში უძლიერესები არიან. თითქმის ყველა დიდი შეჯიბრის ფინალი მათი მონაწილეობით იმართება. 90-იან წლებში შვედეთ-რუსეთის ფინალი 5-ჯერ გაიმართა, აქედან ორჯერ სლავებმა იმარჯვეს, სამჯერ კი შვედებმა. ეგვიპტეში სკანდინაველებმა ცხვირწინ ააცალეს რუსებს ოქროს მედლები. და საერთოდ, 1990 წლიდან მოყოლებული შვედეთი მუდმივად გადის ოლიმპიადების, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ნახევარფინალებში, რუსეთი კი მხოლოდ სამჯერ დარჩა მათ მიღმა. ერთი სიტყვით, არც საქართველოს მძლეველი დანია, არც პლეი ოფში იუგოსლავიის მომგები პორტუგალია, არც სლოვენია და ისლანდია არიან რუსეთისა და შვედეთის დამმარცხებელნი. ნახევარფინალებში კი ტურნირის ფავორიტებს, სავარაუდოდ ესპანეთთან და გერმანიასთან უფრო გაუჭირდებათ, მაგრამ ფინალში, ალბათ, მაინც ისინი შეხვდებიან ერთმანეთს და დიდი ხნის წინ დაწყებულ დავასაც გააგრძელებენ.



რუსულ-შვედური ბრძოლების ვეტერანი მაგნუს ვისლანდერი (№3) ხორვატიაშიც აპირებს ძველ მეტოქეებთან შებმას

გაიოზ თალაკვაძე

# დათვური საჩუქარი

19 იანვარი

**ატლანტა — ბოსტონი 3:4**

0:0 2:1 1:3

1:0 ბუზეკი 21'40 (5); 1:1 გილი 23'31 (3); 2:1 ემერსონი 31'05 (8); 2:2 კარტერი 46'55 (19); 3:2 ემერსონი 50'19 (9); 3:3 მაკლარენი 51'38 (6); 3:4 აქსელსონი 55'43 (7)

**მონრეალი — აილენდერსი 3:0**

1:0 1:0 1:0

1:0 ეშამი 3'20 (3); 2:0 მაკლირი 35'58 (1); 3:0 კორსონი 57'35 (3)

**ნიუ ჯერსი — ჩიკაგო 4:1**

1:0 0:1 3:0

1:0 პანდოლფო 3'07 (4); 1:1 მარჩა 33'36 (4); 2:1 ელიაში 49'31 (17); 3:1 სარნოტი 54'36 (12); 4:1 ელიაში 59'46 (18)

**პიტსბურგი — სენტ ლუისი 3:1**

2:0 1:0 0:1

1:0 სტრაკა 2'03 (7); 2:0 ტიტოვი 2'44 (13); 3:0 სტრაკა 28'46 (8); 3:1 დემიტრა 49'03 (18)

**კოლორადო — სან ხოსე 0:0**

**ედმონტონი — კალგარი 7:0**

2:0 1:0 4:0

1:0 უეიტი 6'56 (8); 2:0 შ. ბრაუნი 12'51 (2); 3:0 რ. სმიტი 31'02 (18); 4:0 პოტი 43'56 (4); 5:0 გრინი 44'17 (5); 6:0 სელივანოვი 45'27 (19); 7:0 გერინი 58'29 (13)

**ფლორიდა — ვაშინგტონი 1:3**

1:1 0:2 0:0

1:0 უიტნი 5'39 (19); 1:1 ბლეკი 9'41 (8); 1:2 ზედნიკი 25'38 (11); 1:3 ზედნიკი 28'22 (12)

**ვანკუვერი — დეტროიტი 3:3**

3:0 0:3 0:0 0:0

1:0 შეფერი 4'58 (12); 2:0 შარიფიანოვი 12'50 (5); 3:0 ჰოგუდი 19'37 (4); 3:1 შენაჰანი 24'21 (25); 3:2 შენაჰანი 33'11 (26); 3:3 ლაპოინტი 58'52 (10)

ნჰლ-ის გუნდების უმრავლესობისთვის სტუმრად მოპოვებული ქულა, მით უმეტეს, როცა თამაშის მსვლელობისას 0:3 აგებს, დიდი წარმატებაა. დიახ, უმეტესობისთვის, მაგრამ არა დეტროიტისთვის, რომელიც კალგარისთან მატჩის მსგავსად, უკვე პირველი პერიოდის შემდეგ სამარცხვინოდ აგებდა ვანკუვერთან, მაგრამ „წითელფრთიანებმა“ დროზე იგრძნეს, მეორედაც თუ სირცხვილს ჭამდნენ, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ, რიცხვმრავლობა მარჯვედ გამოიყენეს და შინ ერთი ქულა მაინც წაიღეს.

მიუხედავად იმისა, რომ დეტროიტმა ფრეს რის ვაი-ვაგლახით მიაღწია, იგი კვლავ დასავლეთის ლიდერია, რადგან მისი უშუალო კონკურენტი სენტ ლუისი ერთობ მოულოდნელად დამარცხდა პიტსბურგში და ეს იმ დროს, როცა „ბლუზმენები“ პარასკევიდან ისვენებდნენ, ხოლო მათ მეტოქეს დაშავებული იარომირ იაგრი აკლდა. მასპინძლებმა პირველივე შესაძლებლობა ჩინებულად გამოიყენეს, რამაც მატჩის საბოლოო შედეგიც განაპირობა. შეხვედრის მე-8 წუთზე სენტლუისელმა მიხაილ ჰანდზუსმა ორმაგი ჯარიმა მიიღო უხეშობის გამო და მასპინძლებმა მისი გაძევებით ორჯერვე ისარგებლეს. საინტერესოა, რომ პიტსბურგს აქამდე რიცხვმრავლობაში 20 ცდა ვერ გამოეყენებინა. ამის შემდეგ მარტინ სტრაკამ, რომელმაც იაგრის არყოფნაში ლიდერობა იკისრა, საჯარიმოს ზუსტი შესრულებით თავისიანთა უპირატესობა სამამდე გაზარდა, ხოლო მეკარე ტომი ბარასომ (30 მოგერიება) მეტოქეს მხოლოდ ერთხელ გაატანინა.

რა ცოტა რამაა საჭირო თურმე იმისთვის, რომ ხანგრძლივი წარუმატებლობით იმედგაცრუებული ჰოკეისტები აამოქმედო. ვაშინგტონელთა თავკაცმა ამას ვეტერან ულფ დალინის (1 პასი) რინარდ ზედნიკის და იან ბულისის დუეტთან შეერთებით მიაღწია და აგერ უკვე მესამე მატჩია, მისი შვედურ-სლოვაკურ-ჩეხური ხაზი შეუჩერებელია. ზედნიკმა 3 მატჩში ორი დუბლი შეასრულა და დედაქალაქელები ერთობ აზეირა. აღსანიშნავია, რომ როგორც ვაშინგტონს, ასევე ფლორიდას ამ ორთაბრძოლამდე 5-5 მატჩი მოეგოთ. პაველ ბურემ კი უკვე ზედიზედ მეორე შეხვედრაში ვერ გაიტანა და იაგრთან მიახლოების შესაძლებლობა დაკარგა.

როგორც იქნა, გაახარეს თავიანთი თავკაცი ბოსტონელებმა. ზედიზედ 7 მატჩიანი წარუმატებლობის შემდეგ „დათვებმა“ პეტ ბერნსს კარიერის მე-400 მოგება აჩუქეს. თუმც ამჯერად მათი განსაკუთრებული მოწადინების მიზეზი ისიც იყო, რომ კაპიტნის, სახელოვანი რეი ბურკისთვის ეს შეხვედრა კარიერაში 1500-ე აღმოჩნდა, რისთვისაც ნჰლ-ის ისტორიაში მხოლოდ 5 მოთამაშეს მიუღწევია.

ეტყობა, დეტროიტის 6:1 დამარცხების შემდეგ კალგარელები ისე გათამამდნენ, რომ მომდევნო მეტოქის ძლევა ძალების დაზოგვით მოინდომეს, მაგრამ ახლა მათი მეტოქე ხომ ედმონტონი იყო, „ალები“ სამმა გაშვებულმა შაიბამაც ვერ გამოაფხიზლა, მესამე პერიოდში რიცხვმრავლობაში ყოფნისას ორიც (!) გაუშვეს და სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

მიუხედავად უდიდესი უპირატესობისა, კოლორადომ ვერაფერი იღონა ახალბედა მეკარე ევგენი ნაბოკოვის წინააღმდეგ. მისმა გუნდმა წმინდა დაცვითი ვარიანტი აირჩია და ნჰლ-ში პირველად მოთამაშე ყაზახს საწყისი წუთებიდანვე გვარიანმა ოფლის ღვრამ მოუწია. თვით პეტერ ფორსბერგმაც კი, რომელმაც ჯო საკიკის არყოფნაში ერთობ მოიწადინა, დებიუტანტი ვერა და ვერ დაიბრიყვა. ოვერტაიმში სან ხოსე უმცირესობაში დარჩა, მაგრამ ნაბოკოვმა შვიდი დარტყმა მოიგერია.

**სამველ ლარიბიანი**

REUTERS ედმონტონიდან




ედმონტონელმა ალექსანდრ სელივანოვმა (29), როგორც იქნა, კალგარისთან გაიტანა





ზაზა ფაჩულია

# დიდინი ფაჩულიას დიდ კალათბურთში შეყვანას უპირებს

## ქართველ ჭაბუკს „ულქერმა“ სულგრძელად გაუღო კარი

*ზაზა ფაჩულია — ქართული კალათბურთის ხვალინდელი დღე...*

*სწორედ რომ ასეა და არაფერია გადაჭარბებული. ამაში თავად ფაჩულიას ყოფაც გვარწმუნებს, წარსული და აწმყო, განვლილი პერიოდი და დღევანდელობა...*

*რეალობა კი მართლაც ისეთია, გულს რომ გაუხარებს ქომაგს, მომავლის იმედს ჩაუსახავს და ოპტიმისტურად განაწყობს.*

*ფაჩულიამ თავისი გზა მონახა, გზა, რომელიც უეჭველად უნდა განვლოს მაღალი მიზნებისკენ მიმავალმა სპორტსმენმა...*

*რა ხანია, უკვე თურქეთშია ზაზა და თავის ბედს ჭედავს. ღვთისგან მომადლებული ნიჭი და სალი აზრი გამოარჩევს მას სხვათაგან. დღითიდღე პროფესიონალად ყალიბდება თექვსმეტი წლის ბიჭი, იცის, რა და როგორ აკეთოს და იმიტომ.*

*ნელ-ნელა უფასდება, ახლა უკვე ამჩნევენ ფაჩულიას. უფრო მეტიც, აღიარებენ...*

*ზაზა ფაჩულია მესამე წელია, თურქულ „ულქერში“ ირიცხება. ახალგაზრდულ გუნდში მომავრდა, მოძლიერდა და სულ ახლახან ძირითადი გუნდის მესვეურებმაც შენიშნეს. ყოველივე კი დიდ პერსპექტივას უქადის ნიჭიერ ქართველს.*

*ყველაფერი კარგი, და, მისი ინტელექტიც სამაგალითოა. უზომოდ თავაზიანია ფაჩულია, ბავშვურად გულუბრყვილოა, თუმცა ასაკის კვალობაზე საკმაოდ ჭკუადამჯდარი.*

*შინ, სტამბოლში დავუკავშირდით, დაღლილი ჩანდა. ინტერვიუ ვთხოვეთ და უმალ გამოცოცხლდა...*

— ყოველდღე ასე ვარ. უთენია გავდივარ შინიდან, ჯერ კოლეჯში თანატოლებთან ერთად ვვარჯიშობ, მერე „ულქერის“ ახალგაზრდულ გუნდთან, ამის შემდეგ ლექციებს ვესწრები, ვმეცადინეობ, საღამოობით კი დიდებთან მიწევს ვარჯიში. ეს-ესაა, შინ დავბრუნდი.

**— დიდი ხანია, რაც „ულქერის“ ძირითად გუნდში ჩაირიცხე?**

— ჯერ არ ჩავრიცხულვარ, სანამ კოლეჯს არ დავამთავრებ, კონტრაქტის გაფორმების უფლება არ მაქვს. ჯერჯერობით მხოლოდ ვვარჯიშობ მათთან ერთად.

**— ეს ხომ ერთ-ერთი წინაპირობაა საამისოდ, რომ...**

— რა თქმა უნდა. ძალიან დიდ ყურადღებას ვგრძნობ ხელმძღვანელობის მხრიდან. მათ ჩემი ეიმედებათ, მითხრეს კიდეც, მომავალი სეზონიდან „ულქერის“ ძირითადში ითამაშებ და ამ კლუბის სრულუფლებიანი წევრი იქნებიო.

**— ამ ზაფხულში სულ სხვას ამბობდი. არცთუ კმაყოფილი იყავი, თითქოს გულიც აცრუებული გქონდა...**

— ერთხანს იუგოსლავიაში ვაპირებდი წასვლას. „პარტიზანი“ იყო ჩემით დაინტერესებული. თუმცა ახლა გადავიფიქრე, შეიცვალა სიტუაცია და მირჩევნია, აქვე დავრჩე.

**— „ულქერის“ მწვრთნელის შეცვლამ რაიმე გავლენა ხომ არ მოახდინა შენს არჩევანზე?**

— სწორედ რომ ასეა. ძველი მწვრთნელი ახალგაზრდებს შანსს არ გვაძლევდა, ძირითადად ვეტერანებს ეყრდნობოდა და მეც ხელი მქონდა ჩაქნეული. ორი თვეა, რაც მწვრთნელად მურათ დიდინი დანიშნეს და ახლა სულ სხვა ვითარებაა. მან ძირითადად ახალგაზრდებზე გადაიტანა აქცენტი და უკვე სამი მოთამაშე აგვიყვანეს დუბლებიდან.

**— უფროსებთან არ გაგჭირვებია?**

— არც ისე, როგორც თავიდან მეგონა. ყველაფერს ადვილად ავუღე ალღო, ეგ არის, ჯანით მჩაგრავენ, ფიზიკურად ჩემზე გაცილებით ძლიერები არიან, მაწვებიან, მეჯაჯგურებიან, მე კი ჯერჯერობით ვერ ვუძალიანდები.

**— რომელ პოზიციაზე სათამაშოდ გამზადებს დიდინი?**

— მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლე ხელს მიწყობს, დიდინი ცენტრზე თამაშს მიკრძალავს. არ დაგინახო, ცენტრი დააყენოო, მეუბნება. ერთი-ორჯერ არ დავუჯერე და ძალიან დამტუქსა. ძირითადად საჯარიმოს გარედან მიწევს თამაში, ფრთად ან თავდამსხმელად.

**— ახალგაზრდულ გუნდშიც მესამე-მეოთხე ნომერს თამაშობ?**

— იქ არ მზღუდავენ. რასაც დამავალებენ, იმას ვაკეთებ. ბოლო შეხვედრაში „გალათასარაის“ დუბლებთან სულაც გამთამაშებლობა დამაკისრეს. ბურთი მე გადამქონდა და პასებსაც მე ვანაწილებდი. რამდენჯერმე კი დავკარგე ბურთი, მაგრამ ათამდე შედეგიანი გადაცემა მივითვალე, რითაც მწვრთნელი საბოლოო ჯამში კმაყოფილი დარჩა. ასეა, ჩემს ამპლუას მეტოქის გათვალისწინებით საზღვრავენ ხოლმე.

**— „ულქერის“ მთავარ მწვრთნელთან პირადად თუ გისაუბრია?**

— ძალიან ბევრჯერ. დიდინი ხშირად მესაუბრება ხოლმე. სულ რაღაცას მიხსნის, მასწავლის. ამ ერთი კვირის წინ სპეციალური სავარჯიშო პროგრამაც შემიდგინა, მიმითითა, თუ რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება.

**— ერთი სიტყვით, კმაყოფილი ხარ...**

— ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასე წავიდოდა საქმე. ახლა ყველაფერი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული. რაც მთავარია, თურქებმა კარი გამიღეს, თუ ვივარჯიშებ და ვიშრომებ, ჩემსას მივაღწევ.

**— რაზე ფიქრობ, რაზე ოცნებობ?**

— ოცნებაც და მიზანიც ნბა-ში თამაშია. თუმცა მე ჩემი გეგმები და შეხედულებები მაქვს. ხვალვე ხომ შემომთავაზონ პროფესიონალებში თამაში, ნამდვილად არ წავალ, ამას აბსოლუტურად წრფელად ვამბობ. მირჩევნია, აქ, ევროპაში ვითამაშო, ვიდრე იქ ვიყო და სკამზე ვიჯდე. მე ჯერაც ბევრი უნდა ვისწავლო, ევროპული სკოლა უნდა გავიარო, საამისოდ კი, ვფიქრობ, ხუთი წელი კიდევ მჭირდება.

**— რამდენადაც ვიცი, შენ იუგოსლავიაში და საფრანგეთშიც გიწვევდნენ...**

— ბევრ გუნდზე იყო საუბარი. ესპანეთიდან თვით „ბარსელონას“ და „რეალის“ წინადადებები მივიღე, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ამ ეტაპზე აქ დარჩენა უფრო საჭიროდ ჩავთვალე. ბევრ უცხოელს შევხვედრივარ, მისაუბრია და ყველას აღუნიშნავს, რომ ჭაბუკთა ასაკში თურქული პირველობა სხვებზე გაცილებით მაღლა დგას. სლოვენიიდანაც თითქმის ყოველდღე მირეკავდნენ, „სლოვანში“ ჩემი მეგობრები, ბოისა, ცქიტიშვილი და უგრეხელიძე თამაშობენ და ერთხანს სერიოზულად ვფიქრობდი იქ წასვლას, ჩამოდი, კორაჩის თასს გათამაშებთო, მეუბნეოდნენ, მაგრამ, რომ დავფიქრდი, აზრი შევიცვალე. აქ ხომ ევროლიგაში თამაშის პერსპექტივა გამიჩნდა.

**— ზაზა, შენ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი ხარ. სულ მალე, აპრილში, საფრანგეთში შესარჩევ ტურნირზე გიწევთ თამაში...**

— იმედი მაქვს, რომ პირადპირ საფრანგეთში არ შევიკრიბებით. საამისოდ სათანადოდ უნდა მოვემზადოთ.

**— თავად უპირობლემოდ ჩამოხვალ თბილისში?**

— წინააღმდეგობას, რა თქმა უნდა, წავაწყდები, მაგრამ ჩამოსვლას ყველანაირად ვეცდები. ტურნიზე აუცილებლად ვიქნები, უფლება არ აქვთ, რომ დამაკავონ. მანამდე კი მეც მაქვს რაღაც გეგმები.

**— რას გულისხმობ?**

— ამ კვირაში თურქეთის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელს უნდა შევხვდე. მან მოისურვა ჩემი ნახვა, შითხრა, თქვენებურებთან ამხანაგურად გაჯიბრება გვინდაო და ამ საქმეში დახმარება მთხოვა. ამათთვის სულ ერთია, გინდ თბილისში ვითამაშოთ და გინდ სტამბოლშიო, ამბობენ. ახლა მთავარია, ჩვენებიც დათანხმდნენ. ვფიქრობ, არ იქნება ურიგო. ერთი სიტყვით, უახლოეს დღეებში ყველაფერი უფრო კონკრეტულად მეცოდინება.

**— შენ ეროვნული გუნდის მწვრთნელებმაც დაგადგეს თვალი. ამაზე რაღას იტყოდი?**

— ეს ჩემთვის ძალიან საამაყოა. მიხარია, რომ მთავარი ნაკრების ხელმძღვანელებიც დაინტერესდნენ ჩემით. ბევრსაც ვერაფერს გეტყვი ამაზე, ალბათ, ხედავენ ჩემში რაღაც პერსპექტივას. მოდი, ეს საუბარი სამომავლოდ გადავდოთ. არ მინდა, თავის ქებაში ჩამომართვას ვინმემ.

**— ერთხანს თურქებმა პრობლემები შეგიქმნეს. მოქალაქეობის მიღება მოგთხოვეს, მახსოვს, სერიოზულად წუხდი ამაზე. მსგავსი წინადადებებით აღარ მოუმართავთ?**

— ამ საუბრებს საბოლოოდ მოეღო ბოლო. აქ უკვე ყველამ შეიგნო ჩემი წარმომავლობა. მათ იციან, რომ მე ქართველი ვარ, ბოლოს და ბოლოს გაიგეს ეს და შეეგუენ. ამ მხრივ აღარაფერია სანერვიულო, ვაკეთებ იმას, რაც მინდა და როგორც მინდა. ქართველი ვარ და აქედან გამომდინარე ჩემი ქვეყნის ნაკრებში მსურს თამაში...

**გიორგი გიკაშვილი**

ბადრი [illegible] ფოტო

რეგულარული ჩემპიონატი

# დანკანი ორნიშნას ვერ შეწვდა

19 იანვარი

**ლეიკერსი 95:86 კლივლენდი**
ლეიკერსი: ონილი (27 ქულა, 23 მოხსნა, 6 დაფარება), ბრაიანტი (25 ქულა, 13 მოხსნა)
კლივლენდი: მილერი (20)

**იუტა 88:91 მინესოტა**
იუტა: სტოქტონი (23 ქულა, 12 პასი), მელოუნი (21)
მინესოტა: გარნეტი (31 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), სილი (19)

**სან ანტონიო 95:105 პორტლენდი**
სან ანტონიო: რობინსონი (29 ქულა, 12 მოხსნა), ჯონსონი (18)
პორტლენდი: ვოლესი (22)

**ჩიკაგო 86:96 შარლოტი**
ჩიკაგო: ბრენდი (24)
შარლოტი: ჯონსი (24 ქულა, 7 ჩაჭრა), კოულმენი (20 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ იორკი 90:89 ნიუ ჯერსი**
ნიუ იორკი: ვორდი (19)
ნიუ ჯერსი: მარბერი (23 ქულა, 10 პასი)

**ვაშინგტონი 86:104 დალასი**
ვაშინგტონი: მიურეი (17)
დალასი: ფინლი (23), ნოვიცკი (22), ბრედლი (20)

**ფილადელფია 107:89 ატლანტა**
ფილადელფია: აივერსონი (25), ჰიუზი (18)
ატლანტა: ჰენდერსონი (22)

**ბოსტონი 94:90 ტორონტო**
ბოსტონი: პირსი (30), უოლკერი (19 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი)
ტორონტო: კარტერი (20)

**ინდიანა 106:84 მილუოკი**
ინდიანა: მილერი (29)
მილუოკი: რობინსონი (25)

19 იანვარს ერთბაშად ორმა შუადასავლელმა ბობოლამ ჩააფლავა საშინაო მატჩი. დასუსტებული „სან ანტონიოს“ მარცხი, ასე თუ ისე მაინც მოსალოდნელი იყო. „იუტა ჯაზის“ წაგება კი მცირე სენსაციაა თუნდაც იმიტომ, რომ იგი საკუთარ კედლებში განსაკუთრებით კარგად თამაშობს და იშვიათად აგებს. ამასთან ერთად, „მინესოტა“ ერთ-ერთი ლიდერის, ტერელ ბრენდონის გარეშე ესტუმრა სოლტ ლეიკ სიტის. „იუტას“ კარლ მელოუნი 36 წლისაა. მართალია, თავს 25 წლის ბიჭივით გრძნობს, მაგრამ იგი მაინც ველარ პირველობს ძველებურად თავის ამპლუაში. ახლები ისეთები მოდიან, ამ მთაკაცს ტოლს არ უდებენ. ტიმ დანკანი პირად შეხვედრებში ყოველთვის სჯობნის „მეილმენს“, ახლა კი მასთან კევინ გარნეტმაც გამოაჩინა კლანჭები. გარნეტი თავის მეხუთე და საუკეთესო სეზონს ატარებს და თამაშის იშტაზეა. წინა შეხვედრაში მან 37 ქულა შეაგება „ინდიანას“. ამჟამად გარნეტმა მელოუნის კოლოსალურ ძალას თავისი სისწრაფე და ჟინი დაუპირისპირა და 31 ქულა შეაწია „მინესოტას“.

ბრენდონის არყოფნით ისარგებლა და სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა „იუტას“ გამთამაშებელმა ჯონ სტოქტონმა, ვისაც მელოუნზე უფრო მეტად შეეტყო ასაკი, მაგრამ ვერც მან უშველა მასპინძლებს. ისინი უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ აგებდნენ 12 ქულის სხვაობით და მატჩის დანარჩენ დროს ამაოდ ცდილობდნენ სხვაობის გაქვითვას.

წინა დღით ჰიუსტონში დამარცხებული „პორტლენდი“ ალესილი კბილებით შეხვდა მეორე ტეხასულ გუნდს, ჩემპიონ „სან ანტონიოს“. სტუმრებს მშვენივრად ახსოვდათ, შარშანდელ დასავლეთის ფინალში „სფურზმა“ 4:0 მოუგო მათ.

ცუდი დღე გაუთენდა „სან ანტონიოს“ ლიდერ ტიმ დანკანს.

მაშინ, როცა ამ მოთამაშის საშუალო შედეგიანობა 24,8 ქულაა თამაშში, აქ სულ რაღაც 9 ქულას დასჯერდა და შეწყვიტა 61-მატჩიანი სერია, რომელშიც ათ და მეტ ქულას აგროვებდა. იგი მთლიანად გამოთიშა თამაშიდან „პორტლენდის“ თავდამსხმელმა რაშიდ ვოლესმა. მის ხელში მომწყვდეულ მრისხანე სანანტონიოელი ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რათა საკუთარი თავი ეპოვა, მაგრამ შეტევაში ჩაფლავდა და ვერც ვოლესი დააკავა.

გუნდის ლიდერი რომ ასეთ დღეში ნახა, ერთ დროს მსოფლიოს პირველმა ცენტრმა დევიდ რობინსონმა სცადა ხელის გამოღება და ეს არც თუ ცუდად გამოუვიდა. მან თანაგუნდელებიც აიყოლია, მაგრამ „პორტლენდს“ ვოლესის გარდა სხვაც ბევრი ჰყავს რიგიანი მოთამაშე, მაგალითად, ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი და კიდევ სხვები. ლიტველი საკმაოდ კარგად ეთამაშა მოსისხლე „ადმირალს“ და 17 ქულაც მოუტანა თავისიანებს. შეხვედრამ კი მაშინ დაკარგა აზრი, როცა მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სტუმარმა სკოტი პიპენმა სამქულიანით 98:90 გახადა.

**ირაკლი ფირაშვილი**



ნიუ იორკი — ნიუ ჯერსი. ჯიმ მაკლვეინი ნიუიორკელ ლატრელ სპრიუელს (ბურთით) გადაეღობა



REUTERS

მაიკლ ჯორდანი ეს-ესაა გამოცხადდა „ვაშინგტონ ვიზარდსის“ თანამფლობელად და საკალათბურთო ოპერაციების ხელმძღვანელად

# კლინტონმა ჯორდანს მხნეელი უწოდა

კალათბურთის ლეგენდის, „მის უჰაეროვანესობად“ წოდებული მაიკლ ჯორდანისა და კალათბურთის გაყრა არც თუ ხანგრძლივი გამოდგა. ერთი კვირის წინ ჯორდანმა კლუბ „ვაშინგტონ ვიზარდსის“ აქციების ნაწილი იყიდა და ერთ-ერთი ადმინისტრაციული სავარძელიც დაიკავა. კერძოდ, იგი კლუბის საკალათბურთო ოპერაციებს უხელმძღვანელებს. ეს ამბავი ოფიციალურად გასულ ოთხშაბათს გაფორმდა, თუმცა მაიკლი, როგორც ჩანს, აჟიოტაჟის ატეხვას ერიდებოდა და ამჯობინა, არაფერი ეთქვა, მაგრამ... ბოლოს და ბოლოს, ჟურნალისტებისგან შეწუხებული, იძულებული გახდა პრესკონფერენცია მოეწყო. ეს მოხდა 19 იანვარს, „ვაშინგტონ“-„დალასის“ შეხვედრის დღეს. ჯორდანმა უკვე მომხდარი ფაქტი თავად დაადასტურა.

ახლა შტატების დედაქალაქში დიდი ბუმია. ყველას პირზე მისი სახელი აკერია. ის კი არა, ერთგული გულშემატკივრები ლეგენდარულ მაიკლს მოედანზე გასვლასაც სთხოვენ — შენ ისეთი კაცი ხარ, სკამსაც კარგად მოერგები, მოედანი ხომ შენია და შენიაო, მაგრამ 36 წლის ჯორდანი უარზეა, ცამეტი წლის განმავლობაში მეხატა ზურგზე ხარი და ახლა, ამ სიბერის ჟამს ნამდვილად ვერ ჩავიცმევ „ვიზარდსის“ ფორმასო.

როგორც ჩანს, ჯორდანი უკვე გაუშინაურდა სიტუაციას და თავს საკმაოდ კარგად გრძნობს. პრესკონფერენციაზე მასთან ერთად კლუბის სხვა ბოსებიც მივიდნენ. ეიბ პოლინმა, 75 წლის კაცმა, რომელმაც თავისი წილიდან მიჰყიდა კლუბის აქციები ჯორდანს, აღფრთოვანება ვერ დამალა და აღნიშნა, მაიკლი ისეთი პიროვნებაა, როგორიც კალათბურთელი იყოო.

პრესკონფერენციაზე მაიკლმა გულახდილად ისაუბრა გუნდში არსებულ პრობლემებზე და არც თავისი აზრი დაუმალავს: „გუნდში მეტად არასასიამოვნო ატმოსფეროა და ამაზე არანაირად არ შეიძლება თვალის დახუჭვა. სათქმელი უნდა ითქვას და ამის დამალვა საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულებად მიმაჩნია. მოთამაშის შეფასების საუკეთესო გზაა, ჩახედო მას თვალებში, გულახდილად გაესაუბრო, მოისმინო მისი აზრი. მრავალ კალათბურთელთან მქონია საქმე, რომლებიც საზოგადოებამ თავისთვის მიუღებლად მიიჩნია და შეეცადა, გაერიყა. მე მათთან არავითარი პრობლემა არ შემქმნია. ისინი დღესაც რჩებიან ჩემ მეგობრებად“.

მაიკლ ჯორდანი თავისი გუნდის შეხვედრასაც პირველად დაესწრო. 19 იანვარს „ვაშინგტონი“ „დალასს“ მასპინძლობდა. თვით ქვეყნის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, რომელიც მეტნაკლებად მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენას არ ტოვებს უყურადღებოდ, დასდო პატივი ყველა დროის უძლიერეს კალათბურთს და მატჩის დროს მოინახულა, გულითადად გადაეხვია მას, კლუბის მხნელიც უწოდა. პირთამდე სავსე დარბაზი მხურვალე აპლოდისმენტებით მიესალმა ქვეყნის გამორჩეულ სპორტსმენს და პირველ პოლიტიკოსს, მაგრამ ამ ორი დიდი ადამიანის დარბაზში ყოფნამ ვერ აალელვა მასპინძლები — „ვაშინგტონმა“ არცთუ ძლიერ „დალასთან“, 86:104 წააგო.

**ივანე ძოძიაშვილი**

## ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. III ტური. 20 იანვარი

**E ჯგუფი**
თოფაში 86:65 ბენეტონი
ალბა 72:64 ბარსელონა
ჟალგირისი 84:76 ცსკა

**F ჯგუფი**
ცრვენა ზვეზდა 83:77 ოლიმპია
შოლე 83:90 რეალი
(ძირითადი დრო 81:81)

**G ჯგუფი**
კახა სან ფერნანდო 51:75 მაკაბი

**H ჯგუფი**
ულქერი 93:87 ეფესი

## კორაჩის თასი

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. 19 იანვარი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

არისი (საბერძნეთი) — *ტელეკომი (თურქეთი)* 62:73 (59:82)
პოგონი (პოლონეთი) — *აეროპორტი (იტალია)* 75:77 (64:66)
ცსკა (უკრაინა) — *ლიმოჟი (საფრანგეთი)* 71:100 (73:86)
*მარუსი (საბერძნეთი)* — ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) 70:54 (77:80)
*ნობილესი (პოლონეთი)* — ანტვერპენი (ბელგია) 75:56 (65:71)
პეზსი (იტალია) — *ხირონა (ესპანეთი)* 72:79 (65:67)
*ესტუდიანტესი (ესპანეთი)* — პერისტერი (საბერძნეთი) 79:71 (85:75)
*უნიკახა (ესპანეთი)* — გალათასარაი (თურქეთი) 86:68 (64:67)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში*

**მეოთხედფინალი. 9 და 16 თებერვალი**

უნიკახა (ესპანეთი) — მარუსი (საბერძნეთი)
ხირონა (ესპანეთი) — აეროპორტი (იტალია)
ნობილესი (პოლონეთი) — ესტუდიანტესი (ესპანეთი)
ლიმოჟი (საფრანგეთი) — ტელეკომი (თურქეთი)

# ელისმა შეცვალა ფილზი

ერთ კვირაზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ავტოკატასტროფაში დაიღუპა „შარლოტ ჰორნეთსის“ უკანახაზელი ბობი ფილზი. ისედაც მოკლე სათადარიგოთა სკამის მქონე „შარლოტს“ წამყვანი მოთამაშეის გარეშე ძალიან გაუჭირდა და ახლის აყვანის საკითხიც დადგა. როგორც კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ბობ ბასმა აღნიშნა, მან და მწვრთნელმა პოლ საილასმა გადაწყვიტეს, შეემატებინათ ვეტერანი კალათბურთელი, რომელსაც კარგად ეხერხება სროლა. ასეთიც მალე გამოჩნდა — გასულ სეზონში ვლადიმერ სტეფანიას თანაგუნდელი „სიეტლში“ დეილ ელისი, რომელიც წლეულს „მილუოკიში“ თამაშობდა, ახლა კი განსვენებული ფილზის ადგილს დაიკავებს „შარლოტში“.

დეილ ელისი ვეტერანიცაა და კარგი მსროლელიც, თუმც აჯობებდა, რამდენიმე წლით ახალგაზრდა ყოფილიყო, რადგან იგი არც მეტი, არც ნაკლები, 38 წლისაა. სროლა ელისს კარგად ეხერხება, ყოველ შემთხვევაში, ეხერხებოდა. ახლა მისი საშუალო შედეგიანობა 6,8 ქულა მატჩში — ორჯერ ნაკლები იმაზე, რამდენიც ცხონებულ ფილზს ჰქონდა. არადა, 1988-89 წლების სეზონი მან მატჩში საშუალოდ 27,3 ქულით დაამთავრა და ნბა-ს მესამე ხუთეულში მოხვდა. გარდა ამისა, ელისმა სეზონში თავისი პირველი და უკანასკნელი „ოლ სტარი“ ითამაშა. სამქულიანებში ამ ვეტერანს ძნელად მოეძებნება ბადალი, ელისს 1185 მატჩი აქვს ჩატარებული, ჩაუგდია 1705 სამქულიანი, რომელთა რაოდენობით იგი მხოლოდ ინდიანელ რეჯი მილერს ჩამორჩება. მის სანაცვლოდ „მილუოკიმ“ „შარლოტისგან“ 2000 და 2002 წლების დრაფტების მეორე წრის არჩევნის უფლებები მიიღო. ახალ კლუბს საშუალება აქვს, ვეტერანს ორი მილიონი დოლარი მისცეს სეზონში.



დეილ ელისი

REUTERS ჰავანიდან



# ფეხბურთი ჰავანაში

ჰავანა, ელ მალეკონის პარკი. პატარა ბიჭებს ბურთი გამოუტანიათ და მონდომებით დასდევენ. კუბელთა სპორტი უფრო ბეისბოლი, კრივი და ფრენბურთია, მაგრამ გუშინ ხომ დიეგო მარადონა ესტუმრათ. თუნდაც კოკაინით გაბერილი დიადი ფეხბურთელი ამ თამაშისკენ უბიძგებს ბიჭებს. ეჰ, რა სამაგალითო კაცი იქნებოდა?

REUTERS ვაშინგტონიდან




# ტიტანი გორი

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიული პარტიის რჩეული იქნება. არადა, საარჩევნო კამპანია თითქმის დაწყებულია. პირადი თვითმფრინავით აიოვადან ნიუ ჰემპშირისკენ მიმფრინავ გორს „ტენესი ტიტანზის“ საკლუბო მაისურა უჭირავს ხელში. ზედ კი აწერია „ჩვენ სუპერბოულისკენ მივიწევთ“. გორი ტენესელთა ძველი ქომაგია და ამასწინათ უთქვამს, თუ „ტიტანები“ სუპერბოულში გავლენ, თამაშს უეჭველად დავესწრებიო.

# ახალი ფერები

საბეისბოლო გუნდ „კოლორადო როკიზის“ მოთამაშეებს მაიკ მაიერსს, ჯერი დი პოტოს, სკოტ კარლსა და ჯეფ სირელოს წილად ხვდომიათ გუნდის ახალი საშინაო და საგარეო ფორმები წარედგინათ ჟურნალისტებისთვის. თეთრი, რუხი და მეწამული — აი, კოლორადოელთა ახალი ფერები.

REUTERS დენვერიდან




# ტრინიდადი და რიდი

REUTERS ნიუიორკიდან




ველთერის წონის ორი საჩემპიონო ქამრის მპყრობელი ფელიქს „ტიტო“ ტრინიდადი (მარცხნივ) მშობლიურ პუერტო რიკოდან მერამდენედ მოსულა ლას ვეგასს, რათა კიდევ ერთი დიდი ბრძოლა გადაიხადოს. ამჯერად „ტიტო“ მესამე დიდი ვერსიის ჩემპიონ დევიდ რიდს შეერკინება და მათ შორის გამარჯვებული ველთერის უდავო ჩემპიონად გამოცხადდება. ეს ყველაფერი 3 მარტს გაირკვევა ლას ვეგასის „სიზარზ პალასში“.

# სპარსნი და ამერიკელნი

REUTERS თეირანიდან



*ირანი და ამერიკა ბარე ოცი წლის წინათ წაეკიდნენ ერთმანეთს. სანამ აიათოლა ჰომეინი ცოცხალი იყო, ამერიკას ირანისგან ლანძღვა და ტერორი არ მოჰკლებია, ირანს კიდევ ამერიკისგან მუქარა და სპარსეთის ყურეში ავიამზადების ტრიალი. მაგრამ დრო ყველაფრის წამალიაო და სპარსნი და ოკეანისგაღმელნი ისე აღარ გაურბიან ერთმანეთს, როგორც თუნდაც ათი წლის წინათ. შემხვედრ ნაბიჯებს სპორტსმენები დგამენ — პირველ რიგში, ფეხბურთელები და მოჭიდავენი. ზედიზედ მესამე წელია სპარსელი და ამერიკელი ბერძნულ-რომაულად მოჭიდავენი გუნდურად ეჯიბრებიან ერთმანეთს თეირანში. ფოტოზე ხედავთ, როგორ წამოულია ირანელ რასულ ჯაზინის ამერიკელი რენდი კუჩური. მანამდე რენდის მოჰამად შაჰსაავანდი წაუქცევია, მაგრამ რასული ველარ უძლევია. ალბათ, მეგობრობა გაიმარჯვებს.*

# სალდათებს ამუშავებენ

*ავსტრიის კიცბიუელში გამალებით მიმდინარეობს სწრაფდაშვების მსოფლიოს თასისთვის მზადება. იქაური სალდათები თოვლს კვალავენ. უკან კი იქაურობის სიმბოლოს, ზღაპრული ირემ-აქლემის (ჩვენის აზრით ჯიხვის) ქანდაკსა ვხედავთ.*

REUTERS კიცბიუელიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli